

ძ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოსცემი № 149

K8118
2

სპაპი

ნ გ ე-ნ კ ე ვ რ

საქართველო

გამოცემა მეორე

აკაკი

ი გ ბ ვ - ა რ ბ კ ე ბ ი

პრილოვისა

გამოცემა მეორე

ტიფლისი

სტამბა ვარ. აღ. რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 1.

1918.

იზავ-არაკმეზი

1. ყვავი და მელა.

სადლაცა ყვავსა-ყვანჩალას
ემოვნა ყველის ნაჭერი;
ხეზე შემოჯდა, საუზმეს
ემზადებოდა მშიერი.

ამ დროს, სად იყო, სად არა
გაჩნდა მსუნაგი მელია,
და ყველის სუნი რომ ეცა,
კინალამ სული დალია.

პირს ნდომის ნერწყვი მოადგა,
ტუჩები ააცმაცურა;
სურვილმა ააცახცახა
და ქირის ოფლში გასწურა.

ყვაფი მალლაა, ის დაბლა
რას იზამს ბევრიც იბტუნოს?
ერთად ერთიდა ღონეა,
რომ თავი მოიკატუნოს.

და მართლაც ამ ხერხს დაადგა,
ფარისეველობა დაიწყო;
ჩაცუცქდა საცოდავათ იქ
და თავი მალლა აიღო.

შესძახა: „მადლი შენს გამჩენს!
რა მშვენიერი რამ ხარო!!

ნეტავი შენის ქვრეტითა
გამაძლო სწორ-უპოვარო!

შენი თვალების ქირიმე,
ნისკარტის, ბოლოფრთებისო!

რად არ ხარ მეფედ ფრინველის?
შვენებით ვინ გედრებისო?

მაგ შვენებასთან, ცხადია,
ხმაც კარგი უნდა გქონდესო
და, რომ იმღერო, მგონია,
ბუღბუღი და გვიღონდესო!“

თავბრუ დაესხა ყვანჩალას,
სთქვა: „მართალს ამბობს მელაო!
რატომ არ უნდა ვიმღერო?

დეე, გაჰკვირდეს ყველაო!

დასძახა თავისი „ყვა“-„ყვა“-„ყვა“!
გავარდა ყველის ნაჭერი;
ის მელა-კუდამ ჩასანსლა,
ყვაფი კი დარჩა მშიერი.

ეს პირუტყვების არაკი
მხოლოდ იმისი მთქმელია,
რომ ყვაფი ჩვენშიც ბევრია
და უფრო მეტი მელია.

2. მუხა და ლელწამი.

ერთხელ მუხამ და ლელწამმა
ჩამოაგდეს საუბარი
და ერთმანეთს გულს უხსნიდენ,
როგორც ორი მეგობარი.

მუხამ უთხრა: მეზობელო!
გიყურებ და მტკივა გული,

რომ უკუღმართ ბედის-წერას
მგრე ჰყავხარ დაჩაგრული

მარტო სიო და თელხიც კი
გიბრიყვებენ, — გერევიან...
აკვანივით რომ გარწევენ,
როგორც უნდათ ისე გხრიან.

ჩიტი რაა? ჰაწაწინა!...
როცა თავზე დაგაჯდება,
იმასაც ვერ უმაგრდები:
იღუნები, წელი გწყდება.

აბა, ახლა მეც მიყურე
როგორა ვარ გაჯგიმული?!
სიმსოცა მაქვს და სიმაღლეს,
საგულეში მიდევს გული.

ყოველი მხრით მელიდურად
შტოები მაქვს გადაშლილი;
წვერს ცას ვაბჯენ და ფესვები
ქვესკნელში მაქვს ჩატანილი.

ვინ რას მიზამს? რას დამაკლებს?
სიმაგრითაც კლდე ვარ სალი!
ჩემთვის მხოლოდ ნიაფია
გრიგალი და ქარიშხალი.

შენც რომ იყო ამ ჩემ ძირში
ამოსული, შენის ნებით,
მფარველობას გაგიწევდი,
იქნებოდი მოსვენებით.

ლერწამმა სთქვა — გეთანხმები
მართალია რასაც ამბობ;
სუსტი რომ ვარ, გებრალეები,
ძლიერი ხარ და თავს ამკობ.

მაგრამ საქმე არც მაგრეა
შენ რომ ზეიქრობ, ჩემო ძმაო,
ზოგჯერ ფეხის წამკვრელია
თავ-ვასული გულის თქმაო.

მე რა მიზავს? ქარი მხოლოდ
ხან გადამხრის, ხან გადმოხრის,

მისი ნების მიმყოლი ვარ,
ვერც გამტებს და ვერც ამომთხრის.

შენ კი ძალზე რომ აღვიხარ
გულ-მაგრად და შეუპოვრად,
სიფთხილე და შიშიც გამართებს
ჩემზე მეტი ერთი ორად.

მჯობნის მჯობნეს ვინ გამოლევს?
შეებლება ძალი ძალსო...

ნათქვამია: „სუყოველთვის
ვერ მოიტანს კოკა წყალსო?“

ვაი თუ შენც ერთხელ ბედმა
გილალატოს და გაგწიროს?..

შენზე უფრო ღონიერი
სადმე დაგიპირდაპიროს!

ეს რომ უთხრა, სწორეთ იმ ღროს
მოიღურბლა, ატყდა ქარი!

წამოვიდა გრიგალივით
შეარყია მთა და ბარი;

დაეძგერა ჩვენს მუხასაც,
ბევრი აღარ დააცალა...

ამოთხარა ძირიანათ...
გადიყვანა ყირამალა!

3. უფავი და ჭათამი.

იმ ღროს როცა ფრანსუზზეები
შეესიენ რუსეთს მჭრულად,
წკიპზე მიდგა თვით მოსკოვიც —
საქმე ჰქონდა კრიმანჭულად.

მაშინ თავად სმოლენსკიძაც
ველარ შესძლო მისი დაცვა;
უხრიკა და არ მისცა მტერს:
თვისის ხელით შთლად გადასწვა.

გაიხიზნა ერთად ყველა.
აღარ დარჩა აღარ ვინა;

გარბოდენ და გამორბოდენ,
ვინ უკანა და ვინ წინა.

მხოლოდ მარტო ერთი ყვავი
დამჯდარიყო სახლის თავზე
და არაფერს შიშს არ გრძნობდა
ამ უჩვეულ სანახავზე.

გადმოსძახა დაბლა ქათამს:
შენ რას უცდი? არ მიხვალო?
მტერი ხომ სულ ბურტყოს გაგადენს,
რომ შემოვა, დღეს თუ ხვალო?

დავიქერს და თავს წაგაჭრის,
ან მოგხარშავს, ან შეგწვავსო!
მე კი მაგის შიში არ მაქვს
ვიცი კაცი არ შემტამსო!

შენ კი გირჩევ, ჩემო დავო,
წადი, რომ მტერს გადარჩეო,
მე პირიქით, შეიძლება
ან ძვალს, ან ყველს ჩამოვრჩეო.

დარჩა ყვავი მართლა, მაგრამ
იმედობა კი უმტყუნეს,
რომ მოშივდათ იქ ფრანსუზებს,
აღარც ყვავი დაიწუნეს.

სხვა რომ ველარ ჰპოვს საზრდო,
რა გზა ქონდათ? თავს უშველეს:
დაიჭირეს ყვავი და მით
პირი ჩაიგემრიელეს.

ზოგჯერ კაცსაც ანგარიში
რომ შეაცდენს, წაუხდება...
ულოდნელად ამ გვარი რამ
ქირი თავზე დაატყდება.

4. მ რ მ ლ მ რ ლ მ ბ ი.

მეზობელმა მეზობელი
პოიწვია იმ განზრახვით,

რომ ის გაეკვირვებია
მისის მომღერლების ნახვით.

რადგანც თვითონ მას მოსწონდა
მისი გუნდი გატაცებით,
წინდაწინვე გააყრუა
მეზობელი მათის ქვებით.

მაგრამ როცა მალალის ხმით
გაჰკიოდენ მგალობლები
და ზუოდენ არეულოდ
ალთა-ბალთად, როგორც მგლები,

მაშინ უთხრა: „მასპინძელო,
სიმღერაა განა ესო?
ნეტავ, გულს არ მიწუხებდენ,
ყურთა სმენა წაიღესო!“

მასპინძელმა უპასუხა:
„რა ვუყოთ, რომ აკლიათო?
მაგიერად ღვინოს არ სმენ
და ზნეობაც კარგი აქვსთო!“

ვინც არც სვამს და ვერც აკეთებს,
ნეტავ ტყვილა თავს რად იქებს?
ამ ორ ჭირში ისევ ის სჯობს,
ვინც სვამს, მაგრამ ბევრს აკეთებს.“

5. პ ა ტ ა რ ა კ ო ლ ო ზ ი.

იქ ჰგონიათ ზოგიერთებს
საძნელო რამ დახვლანჯული,
სადაც საქმე უბრალოა,
არაფერი არ აქვს რთული.

ძღვნათ მიართვეს ერთს ვისმე
კოლოფი ხარატული,
ფერადი, სახეებით
მორთული... მოკახშული.

სათამაშოს მსგავსი რამ,
რომ ნახეს მოეწონათ,

და რაღაც უცნაურად
დაკეტილი ეგონათ.

მაგრამ ამ დროს მოვიდა
ერთი ხუროთ მოძღვარი
და სთქვა: ბევრი მინახავს
მე კოლოფი ამ გვარი.

ვიცი მაგის გაღება
მეტად კრიმანჭულია!
ან თავში, ან ბოლოში
სადმე მიმალულია.

კოდნა უნდა და ხერხი
მაგის ჭახრაკობასო,
მაგრამ მე კი მივხვდები
დურგლის ეშმაკობასო.

აილო, ატრიალებს
ხან აღმა და ხან დაღმა;
შეპყურებენ ტრაბახას,
გაიკმიდა ყველამ ხმა.

ხან თითს აჭერს აქა-იქ,
ხან კუნჭულში უყურებს,
მაგრამ ვერაა გააწყო,
ოფლი ჩამოწურწკურებს.

რომ გაუწყდა ილაჯი,
ხელი მაშინ აიღო!
ის კოლოფი კი თურმე
დაკეტილიც არ იყო!..

6. ბაყაყი და ხარი.

ბაყაყმა რომ საძოვარზე
დაინახა ხარი,
მეტის შურით და სიხარბით
თავს დაეცა ზარი.

მისი სიმსხო და სიმაღლე
გულში ისრად ეცა.

დაიჟინა: „ემოდენა
უნდა გავხდე მეცა!“

გაიბერა, გაიგულა,
სიმწრით სული სძვრება;
„შემომხედე, ყიყინაო!“
დობილს ევედრება.

„ხარის ხელა ხომ მეცა ვარ!?
აღარა მაკლია?!“

პასუხს აძლევს: „იმოდნობა
ჯერ სად შეგიძლია!“

—მაშ არც ეხლა! აბა კიდევ
შემომხედე ჩქარა!..

ახლა, ვგონებ, მეტიცა ვარ?“
—„არა! არა! არა!!!“

არ იამა დიდ-გულასა!
შურმა გაამწარა,
გასქდა ბერვით და წელები
აქვე გადმოჰყარა.

„მეტის მეტი, ბრეტის-ბრეტი“,
ეს უთქვამსთ ჩვენს ძველებს.

„ვინც ზომაზედ არა ჰყლაპავს,
სიმწრით დაახველებს.“

7. წუნია გასათხოვარი.

გასათხოვარი ქალი
ქმარს ეძებდა მისთანას,
რომ ჯერ იმისი მსგავსი
არ ენახოს ქვეყანას:

გვარიშვილი, მდიდარი,
ლამაზი და ჰკვიანი,
ახალგაზდა და თანაც
ორდენ-ჩინებიანი.

სხვების უარის მყოფი
ცოლის მოსამსახურე;

მისი მონა მორჩილი
 და თვალეში შემეყურე,
 რომ თითქმის გულის თქმითაც
 არ გასცვალოს სხვაზედა
 და თვითონ კი ვერ დასძრას
 კრინტიც მის ქცევაზედა.

ასე შემეკულს ყოვლიფრით
 ნეტავ, სად ვინ ნახავდა,
 როგორც გასათხოვარი
 მის გულში ისახავდა?

ახალგაზდა კაცები
 ტყვილად იხიბლებოდენ
 და როგორც თაფლს ბუხები
 გარს ისე ეხვევოდენ.

ყველა იმას სცდილობდა,
 რომ მას მოსწონებოდა,
 მაგრამ ქალი კი ყველას
 უარს ეუბნებოდა.

ამბობდა: სულ სხვა არის
 ჩემი იდეალიო;
 არა აქვთ რა მისთანა,
 რომ ზედ დამრჩეს თვალიო.
 რად ლალავენ უბრალოდ
 ამდენ მაშუალებსო?
 ესენი თუ შევირთე,
 ნეტავი ჩემს თვალეებსო!..

და ან კი რა მაჩქარებს?
 სად წამივა ქმარიო?
 იმათი არჩევანი
 ხომ ჩემ ხელში არიო?..

ამნაირის ქცევითა
 მოიშორა მან ყველა,
 და მოტფივალთა გუნდიც
 მალე შემოითხელა.

ალარავინ თხოვილობს,
 არც უგზავნის მაშუალს,

მაგრამ თავის იმედი
 მაინცა აქვს ლამაზ — ქალს.

გადის დრო და ახლოსაც
 აღარავინ ეკარება!..
 ახლა კი რომ გათხოვდეს
 თვითონაც ეჩქარება.

ფიქრობს: ჩემი ტოლები
 კიდევ დაქორწინდნენო
 და მე კი ჩემ იდიილს
 ვგონებ ვერ ავიხდენო.

აწ აღარ გავარისხებ
 გულ-დიდობით ღმერთსაო;
 წინანდელ საქრმოებში
 ავირჩევ ერთ-ერთსაო!

და პირიქით აგზავნის
 მაშუალს და მაჭანკლებს,
 მაგრამ ხმას აღარ სცემენ!..
 ვერ უყურებთ საძაგლებს?

გულ-გრილობა კაცების
 უკვირს... გულ-მოსულია!
 და იმას კი ვერა ჭგრძნობს,
 რომ დრო გადასულია!

იხედება სარკეში,
 უკვირდება თავის თავს
 და რას ხედავს საბრალო?
 იმისთანა მტერს და ავს?
 სახე დამჭკნარს, ფერ მიხდილს,
 შეპარვია ქალარა
 და რომ იყო მისთანა
 ველარ არის!.. აღარა!!

დაფაცურდა ახლა კი!..
 აღარ ვიტყვი უარსო
 და პირველი ვინც მითხოვს
 გადავიწერ ზედ ჯვარსო!

და მართლაც რომ არ დარჩეს
 სრულად გაუთხოვარი,

იშოვნა, როგორც იქმნა,
ვილაც ოხერი ქმარი.

8. პ ა რ ნ ა ს ი.

როცა საბერძნეთიდან
ღმერთები გამოყარეს
და მათი სამფლობელო
კაცებს გაუზიარეს,

პარნასიცი წილში ერგო
ერთ ვინმე მენახირეს,
და იმას მოუზომეს,
როგორც მცირე რამ მცირეს.

ახალი მებატონეც
არ დამდგარა უარზე
და ვირები გარეკა
იქითკენ საძოვარზე.
დიდ ყურაანთ სცოდნოდათ
ეს მიდამო და გზები;
რომ აღრე ღმერთებს ჰქონოდათ
და სცხოვრობდენ მუზები.

უკრავდენ და იმღერდენ
„მზეშინას“ და „ზევსურსა“
და მითი ქვეყანასაც
უწევდენ სამსახურსა.

იფიქრეს—მათი მღერა.
სწორეთ მოსწყენიათო!
და იმათ მოადგილედ
ვერ ვინ უბადენიათო!

რიგი ჩვენზე მომდგარა,
მიტომ მოგვიყვანესო;
მოგვდეგდენ სულ „ჩოქშით“,
აღარ გვაგვიანესო!

და აბა, ახლა გვმართებს
თავის გამოჩენაო,

რომ იადონ-ბულბულებს
გავუწბილოთ სტვენაო.

და ერთი ჩვენებურად
დავკრათ კრიმანჭულიო,
რომ მოგხიბლოთ, მოვიგოთ
მთელი ქვეყნის გულიო.

ვირებს გარდა, სხვა მღერლებს
ნუ შივილებთ! ვერაო...
რომ არ წაგვახდენიონ
ჩვენი ტკბილი მღერაო.

შეადგინეს გუნდი და
აირჩიეს ლოტბარი;
ისე მალლა დასძახეს,
რომ შესძრეს მთა და ბარი.

ჰგონიათ რომ გალობენ
ნამდვილ კანდელაკურებს;
ტაშსაც უკვრენ თითონვე
აპარტყუნებენ ყურებს.

მათმა ყროყინ-ღრიალმა
წაილო ყურთა სმენა,
ასე რომ პატრონსაც კი
დაეკარგა მოთმენა.

ამისთანა სძლის პირებს
ან კი როგორ გაუძლებს?
წამოაველო ჯოხს ხელი,
დაერია მგალობლებს.

გადარეკა ისევე
მათს ძველ სადგურ-ბინაზე
და ახლაც იქ ჰგალობენ
ძველ მუზების ჯინაზე.

ეს იგავი რას ამბობს?
—შემცდარია!... სტყუაო,
ვინც ამბობს, რომ დიდ ადგილს
როდი უნდა ჰკუთნაო?!

9. ზრელი ცხვრები

საზოგადოთ ჭრელი ცხვრები
ამოითვალწუნა ლომმა
და გაწყობა მათი გულში
ერთიანად მოანდომა.

მართალია, საიმისოს
თუმცა არას შერებიანო,
მაგრამ მაინც უნებურად
თვალში მეჩხირებიანო.

აშკარად კი მათი დასჯა
ძნელი არის! არ ვარგაო,
რომ არა სთქვან: „ის საწყლები
უმიზნოდ დაჰკარგაო!“

მოდით ერთი, დარბაზს შევჭყრი,
რჩევას ვკითხავ ვეზირებსო
და ისინი გადასწყვეტენ,
თუ რა უყოთ იმ ჭრელ ცხვრებსო?

ვინც კი ჰყავდა ერთგულები
დაუძახა ერთად ყველას,
საიდუმლო სადარბაზოთ
და სიტყვა ხვდა დათვის და მელას.

მოახსენა დათვმა: მიკვირს!
საბოდიშო რა გაქვთ თქვენო?
მიბრძანეთ და ყველას ერთად
ქერეხივით დავაწვენო!..

დავტორავ და ისე გავხდი...
გაუერთებ რბილს და ძვალსო
და მაშინ ვინ რაღას ჰკადრებს
თქვენს კანონს და სამართალსო?..

მელა ამბობს: „ნუ ინებებთ
მაგას ჩემო ხელმწიფეო!
უცუნი და ეკალ-ნარი
სხვისი ხელით მოჰკრიფეო!..“

გვიბრძანეთ და ჩვენ ვიკისრებთ
თქვენ საამო სამსახურსო!

და თქვენ ვითომ არც კი იცით...
„ნურც მწვადს დასწვავთ, ნურც შამ-
ფურსო“.

პირ იქით, თქვენ გამობრძანდით,
მათ მოწყალედ და შემწედო
და შორს სადმე საბალახო
საძოვარად უბოძეთო.

მაგრამ მგელი მიუჩინეთ
მომვლელადა და მწყემსადო
და მაგაზე მეტი ფიქრი
არ ღირს არც ერთ ნევსადაო!

ვეზირებმა ტაში დაჰკრეს
ერთხმად მელის საუბარზე
და მართლაც მგელს გაატანეს
მთელი ფარა საძოვარზე.

მგელი ფიქრობს: „მეც ეს მინდა!..
მათი სისხლი მწყურიაო!“

„გაუსვა და გამოუსვა
ვითომ ჭიანჭურიაო!“

ბატონ-კაცობს, აღარვისი
არც რიდი აქვს და არც შიში,
დღეს ერთს ჰქიჩნის, ხვალ მეორეს,
აღარ არის ანგარიში! .

დაიგეშა, ის მსუნავი!
უმადლარ გულს ვერ იჯერებს!..
მარტო ჭრელებს კი არ არჩევს..
აღარ სწუნობს არც სხვა ფერებს.

აურია ერთმანეთში,
ერთიც აღარ გაახარა,
და ასე დღეს-ხვალობაში
ამოსწყვიტა მთელი ფარა!

ვინც ხედავდა — იძახოდა
მართალია ბატონიო,
მაგრამ მგელი ვერ გამოდგა
კარგი მომვლელ-პატრონიო!

10. შავილ-ქონდარა.

მინდორში ამოსულიყო
პატარა ყვავილ-ქონდარა,
სახარბიელო ამ ქვეყნად
თუმცა კი არა ჰქონდა რა.

მაგრამ სიკვდილი მაინც კი
საბრალოს ენანებოდა,
რომ ღამის სუსხით შემკრთალი
სულს ძლივს დათავდა, სჭკნებოდა.

ამბობდა: ნეტავ გათენდეს!
მზე ენახო ამოსულიო,
რომ მისმა თბილმა სხივებმა
ისევ ჩამიდგას სულიო.

ხარაბუხამ ყური მოჰკრა
და აიგდო სასაცილოდ.
როგორ? განა მზის სხივები
უნდა გახდენ შენ საწილოდ?
როგორ არა?!. სხვა საქმები
აღარა აქვს თურმე მხესა,
რომ შენთვისაც მოიცალოს
და ისმინოს შენი კვნესა.

ის ამოდის დიდებისთვის,
სხივებსა ჰფენს მუხა ჰანდრებს;
სუნნელოვან ყვავილებსაც
აბიბინებს და ახარებს.

და შენ ვინ ხარ, რომ შენთვისაც
გამობრწყინდეს... მოიცალოს?
ყურადღება მოგაქციოს,
მომაკვდავი შეგიბრალოს?

უთხრა, მაგრამ მისი სიტყვა
არ გამოდგა კი მართალი,
რომ გათენდა და ქვეყანას
გადაავლო მზემან თვალი:

მოათინა მან სხივები
თანსწორ დიდს და პატარასა.

და ციური მოწყალება
ერგო ყვავილ-ქონდარასა.

გამობრუნდა, გამოცოცხლდა
და აიღო თავი მაღლა,
როცა სითბომ ცოცხალ-მკვდარი
გაანედლა!.. გაახლა.

დიდ-კაცებო, ვინც შემთხვევამ
აგამაღლათ... გაგადიდათ,
მაგალითი ბრწყინვალე მზის
უნდა გედვათ გზად და ხიდად:

დიდსაცა და პატარასაც
სხივებსა ჰფენს ის თანსწორად
და რასაც სთესს ქვეყნის გულში
მასვე იმკის ერთი ორად.

ქვეყნის გულში ჩასახული
სიყვარულით ისე ბრწყინავს,
ვით სხივები ნათალ-ბროლში
ათას ფერად კამკამ-ბზინავს.

11. ცეცხლი და ეწერი.

მგზავრებს ეწერში გზის პირად
ცეცხლი დაენტოთ ზამთარში,
აღარ დაექროთ და ცეცხლიც
ღარჩენილიყო იქ კარში,

და საცოდავად ბჟუტავდა,
აღარსად იყო ახლოს ხე;
მაგრამ მიჰმართა ცეცხლმა ტყეს,
აღერსით დაუგო მახე.

რათ გაქცევნია ფოთლები?
რათ არ ხარ მწვანით მოსილი;
გახმობას ხომ არ აპირებ?
ხომ არ მოგელის სიკვდილი.

—არაო! უთხრეს ხეებმა,
ზამთარი გვიშლის ხელსაო;

სიცივე გვძარცვავს სულ ერთად
ტყეებს, მთასა და ველსაო.“

—მაშ თუ ეგ არის მარტოკა,
სულ თქვენი გასაჭირიო,
მე შემიძლია გაგათბოთ,
გამოგიბრუნოთ პირიო.

თუმც არ მჩვევია ტრაბახი,
მაგრამ კი ვიტყვი მართალსო,
რომ მზე ვერ იჩენს ჩემოდენ
ვერც სიმხურვალეს, ვერც ძალსო!

ამდენი ხანი გაცხუნებთ,
ვერ გაუღზვია თოვლიო!
მე თუ მივსდები წყლად ვაქცევ!
მთელს ეწერს ერთ წუთს მოვლიო!

თუ გინდათ დაგემოყვრებით
გულწრფელად ძველებურადო;
გადავებვიოთ ერთმანეთს
ხელი ხელს მივსცეთ ძმურადო.

გაბრიყვდა, მართლა, ეწერი,
ცეცხლი მოედო მხურვალე
და რაც სთქვა კიდევ ასრულდა:
თოვლი გააღზო სულ მალე,

მაგრამ ხეებსაც ყოველგან
სასწრაფოთ მოედდა ალი:
ცეცხლში ჩავარდა ეწერი,
დაიწყო ბრიალ-ბრიალი.

ასე გადიწვა საბრალო,
რომ აღარ დარჩა ნასახი;
ხისა და ცეცხლის ერთობა
ტყვილად არ არის ნაძრახი.

12. ნარჩიტა და ბუშბი.

ნარჩიტამ მორთო ჭიკჭიკი
თავისთვის მყუდრო ადგილას;

ეტყობა, კარგ გუნებაზე
იყო ამდგარი იმ დილას.

მზის ამოსვლამდი ჰგალობდა,
მაშინ კი ჩაიწყვიტა ხმა;
მით უფრო როცა ბუღბუღლის
საამო სტვენა მოესმა.

ბუღბი მივიდა და კითხა:
ჩიტო რა დაგემართაო!
რომ შეკრთი მზის ამოსვლის დრო
და ენა ჩაგივარდაო?

მან უპასუხა: ჩემ ჭიკჭიკს
როგორ შევკადრებ მზესაო,
როცა სხვებს ვხედავ მომღერალს
მე ჩემზედ უკეთესაო!“

მეც ნარ-ჩიტას არ იყოს,
ვენდური ბედის წერასო,
რომ აღექსანდრეს საკადრისს
ვერ მოვახერხებ მღერასო.

13. მგელი და ძრავი.

ერთხელ პატარა ბეკეკას
დასცხა და წყალი მოსწყურდა,
მდინარის პირას მიადგა,
წყურვილის მოკვლა რომ ჰსურდა

თურმე იმავე დროს მახლობლად
საჭირ-ბოროტოდ კრავისა,
დაძუნძულებდა პირ-ღია
მგელი, მსურველი ავისა.

უეცრად სუნი რამ ეცა,
რადგანაც ჩიჩია უყვარდა,
გამოიგონა შარები
და საცოდავ კრავს მივარდა.

შემოუძახა: „შე ბრიყვო!
აქ როგორა სვამ წყალსაო,

რომ აღარ დასდევ კანონებს
და აღარც სამართალსაო?
ჩაგიდგამს წინა ფეხები,
შიგ ჰყოფ ტუჩს უწმინდურსაო!
წყალს მიმღვრევ, აღარად მაგდებ,
აღარც კი იბერტყ ყურსაო?“

— „რა ბძანებაა, ბატონო,
რას მერჩით მე საწყალსაო?
თქვენ ზეითა ხართ.— მე ქვეით,
როგორ ავიმღვრევთ წყალსაო?“

— „მაშ მე ვსტყუიო? გაჩუმდი!
ნუ წაგიგდია ენაო!..

შარშანწინდელიც-კი მახსოვს
შენგან ბრიყვული წყენაო!“

— „ჯერ ერთის წლისაც არა ვარ,
შარშანწინ როგორ მნახეო?“

— „მაშ ძმა ყოფილა ის შენი,
მიტომ მიგიგავს სახეო?“

— „არც ძმა მყავს, ჩემო ხელმწიფევე,
ტყვილა რაღა მღებთ ბრალსაო?“

— „შენი მოგვარე ხომ იყო?
გადახდა უნდა ვალსაო!

მომწყინდა შენი ბლავილი,
ხმა ჩაიკმიდე ჩქარაო!

შენი ჩაკვრება რომ მნებავს,
მიზეხად ისიც კმარაო!“

უთხრა და ზურგზედ მოიღვა,
ტყეში წაიღო საწყალი..

ღიღ კაცთან პატარა კაცსა,
როდის გასვლია მართალი!

14. შ ა ი მ უ ნ ე ბ ი .

კარგია, ჭკუაც თუ ახლავს,
მიბაძვა—წამხედურობა!

და უქკუოდ კი მხოლოდ-და,
სიფრთხე და უბედურება:

იქ სადაც მაიმუნები
სცხოვრებენ ტყე და ველადა,
ვილაცა მონადირემა
ბუდე გააბა ქსელადა.

მივიდა ჩახტა თითონვე,
გაძვრა. გამოძვრა მარდათა!..
ხან დროშად აფრიალებდა,
ხან დაუშვებდა ფარდათა.

ხეზე გასული მალლიდან
მაიმუნები დამხერდენ
და სვირს რომ უყურებდენ
სიცილსაც ველარ იჭერდენ.

ერთმანეთს ეუბნებოდენ:
შეხედეთ, როგორ წვალობსო?!
სწორეთ თევზივით ფართხალობს,
ჯორივით კოტრილობსო!

დიდი სიმარდე ჰგონია?..
რა არის გასაჭირიო?
ჩვენც მოვახერხებთ, წავიდეს?
აბა იბრუნოს პირიო!

მართლაც წავიდა ის კაცი,
ამოეფარა დიდ ხესა:
მაიმუნებიც იმ წამსვე
ერთად მიაწყდენ მახესა.

მარდათ ჩაცვინდენ ბადეში
ყარამულათ და ხტომითა:
კოტრილობდენ ხბორულათ
გატაცებულნი ნდომითა.

მხიარულობდენ და ის კი
არ ჰქონდათ, საწყლებს. სახეში,
რომ თვითონ იხლართებოდენ
და ებმეოდენ მახეში.

მერე კი მიხვდენ: მაგრამ რა?..
რომ აღარ ჰქონდათ საშველი,

მივიდა მონადირე და
ყველას ჩააბა საბელი.

ბევრი მინახავს ჩვენშიც, რომ
ჩვენებურს ყველას სწუნობდა;
სხვისას ჰბაძავდა გულ და გულ
და მხოლოდ მაიმუნობდა.

15. ზ ი ნ ზ რ ა მ ა,
(ღობემძვრალა).

ქინკრაქამ დაიტრაბახა:
„ჯერ რომ არ ექნას სხვასაო,
მისთანა საქმეს ჩავიდენ:

ცეცხლს მოუკიდებ ზღვასაო?

ავადუღებ და დავაშრობ,
ამოუმშრალებ ფსკერსაო
და თვალისიერს ვუჩვენებ
მოყვარესა და მტერსაო.

ხმა გაუვარდა შორს და შორს,
მთელი ქვეყანა გაჰკვირდა
და დარწმუნებით ელოდა:
რასაც ტრაბახა დაჰპირდა.

მოატყდა ერთად ზღვის კიდეს
ყოველი სული სულდგმული
საკვირველების საქვრეტად
სულ-წასულ, სულ-განაბული.

შეიძრა ზღვაში ნიანგი,
ზარი დაეცა შიშისა;
ხმა გამოისმა ტირილის,
ვაგლახისა და ვიშისა.

მოფრინდა გუნდი ფრინველთა,
მოდგა პირუტყვი ჯოგადა;
კაცებიც გამოერიენ
მათ რიცხვში ზოგად-ზოგადა.

ამბობდენ: „მზად გვაქვს მარილი,
მოველთ პურით და ღვინითო!

თევზიც ხომ მოიხარშება?
ღროს გავატარებთ ღვინითო!“

ზოგი რას ელის, ზოგი რას?
ზოგს კიდევ რა ენატრება?!
უცდიან, მაგრამ ჯერ-კი ზღვა
არც იწვის, არც სდუღს, არც შრება!

გულს არ იტყვენ, თავს ნუგემს
აძლევენ: „გამართლდებაო!

აწ სადაც არის, აღმური
ზეცამდი ავარდებაო.“

მაგრამ სად არის? გაფრინდა
ტრაბახა გამტყუნებული,
და ყველა მაყურებელი
დარჩა იქ პირდაღებული.

ჩვენშიაც კულაბიკები
თავს ვერ იჩენენ სხვა სახით,
თუ არ სხვის მოტყუებითა
და უსუსურის ტრაბახით.

16. ვ ი რ ი.

როდესაც განჩნდა ამ ქვეყნად
ყოველი სული სულდგმული,
ვირიც შიგ გამოერია,

მაგრამ წყ ებოდა კი გული.

რომ ტანად პატარა იყო.
ძლივს ეტყობოდა მწწნა,
სინარბე ჰკლავდა სხვებისა
და შეევედრა ზეცასა.

„რა დავაშაფე, ამბობდა,
რომ ასე დაჩაგრული ვარ
და თავის ოღნა ტანად
სიდიდის მონატრული ვარ?“

ვერ მაჯობებდა ვერც ლომი,
რომ ვყოფილიყავ იმ ხელა!

ამას ვგრძნობ!.. მაგრამ ახლა კი
არ შემიძლია გამხელა.

რომ გამადიდლო ხბოს ოღნად
არ შეგიძლია ეს განა?
მაშინ ჩემს ვინაობასაც
თვალთ ნახავდა ქვეყანა!

გულ-მხურვალეებით მათხოვარს
უსმინა ღმერთმა ვედრება
და იმავ დღიდან სიდიდით
ვირი მოზრდილ ხბოს ედრება.

რომ გაიზარდა, იამა,
სთქვა, აწ კი რალა მიჭირსო?
ყურებიცა მაქვს, ხმაც დიდი,
მოვმართავ ჩემსა საყვირსო.

17. კაცნი და მელა.

კაცს უთხრა ერთხელ მელიამ:
„მითხარი, ნუ მიმალაო,
მაგრე რომ გიყვარს ეგ ცხენი,
რა წავცხო, ნეტავ მალამო?“

ალარ იშორებ, თან დაგყავს
შინ, გარედ, მთას და ბარშიო!
თავლაში აბამ ხამთრობით,
რომ არ გაცივდეს კარშიო.

თან ოხრად უყრი ბზეს და ქერს,
იურვებ, თავს ევლებიო!
რას გამოელი მაგისგან,
და ან რას ეგულებიო?

ხომ ატყობ, ყოველ პირუტყვზე
უფრო უგნური არიო,
მაშ რალად დამოყვრებიხარ,
გეთაყვა, ეს მითხარიო?!“

კაცმაც მიუგო: „რას ამბობ,
რას მიედ-მოედებიო“,

იმისი ჭკუჯ რად მინდა,
როდესაც ზურგზე ვჯდებიო,
და ან საპალნეს რომ ვკიდებ,
ძვირად ის მიტომ მიღირსო,
რომ ამტანია მათრახის
და ემონება აღვირსო!“

18. ბუ და შირი.

ერთხელ ცოდვამ აატროვა
თვალ-დამდგარი ბეცი ვირი
და მგზავრობა მოინდომა,
გადიკიდა ჭირზე ჭირი.

სინათლეში, როგორც იყო,
გზას აგნებდა საცოდავი,
მაგრამ, როცა კი დაღამდა,
უტეხ ტყეში შერგო თავი.

აერია გზა და კვალი,
ველარაფერს ვერ ხედავდა,
აკანკალდა, შიშით ბიჯის
გადადგმასაც ვერ ბედავდა.

მაგრამ ბედზე გაეჩნდა ბუ
და აღუთქვა წინამძღვრობა:
ზურგს შეაჯდა, გზა უჩვენა,
გაუწია მეგობრობა!

საუცხოვოდ ატარებდა,
ოღრო-ჩოღრო ააცდინა,
მთელი ღამე დადიოდნენ
არც ერთმა არ დაიძინა.

ვინ არ იცის, რომ ბუ ბნელში
უფრო კარგად იყურება
და მზის სხივებს რომ შეხედავს,
თვალის ჩინი მთლად უქრება?!

რომ გათენდა, ბუს თვალეცაც
დაეკარგა ხედვის ძალა,

მაგრამ ბუმ კი მეტიჩრობით
მაინც აღარ დაიშალა.

ატარებდა ალაღ-ბედზე,
ვითომ დღითაც სწორ-მხედველი!
უძახოდა; „აქ კლდე არის,
აქ ქაობი და აქ ველი!

მარცხნივ!.. მარჯვნივ ნუ მიდიხარ!
ტლაპო არის, არ იქნება!“
მაგრამ თურმე მარჯვნივ იყო
ტლაპო, და შიგ გახდათ ტვლება.

19. მაიმუნნი და სათვალე.

მაიმუნმა თსქვა: „დავბერდი!
თვალმა დამიწყო კლებოა,
მაგრამ ამბობენ ამ სენის
შველაც-კი შეიძლებაო.

ადამიანსაც სიბერით
ესევე ემართებაო,
მაგრამ სათვალეს ხმარობს ის
და აღარ ენადვლებაო!

თუ მეტი არა უნდა-რა,
ეს ხერხი რა ძნელიაო?
სათვალეების შექმნა
ჩემთვისაც ადვილიაო!

წავიდა, ერთის მაგიერ
სადღაც ერთი ცხრა იშოვნა
და მხიარული დაბრუნდა,
ახლა მოვრჩიო, ეგონა.

აილო, სინჯვა დაუწყო,
გადადვა აქეთ-იქითა;
ხან კუდზედ წამოიცივა და
ხან ყურზედ ჩამოიკიდა.

თავზედ დაიდვა... ზედ დაჯდა...
უსუნა... კიდევ უკბინა,

მაგრამ არ იქნა, ვერ ნახა
მისი ადგილი და ბინა.

გაჯავრდა: „მეც სულელი ვარ,
რომ ავეყე ქვეყნის ქორებსო!
ამ გვარი სულელური რამ
თვალს როგორ გაასწორებსო?“

და გულ-მოსუღმა სათვალე
აილო, ქვას მიამსხვრია!
როცა ვერა ვსცნობთ საგანსა,
ჩვენშიაც ხოლმე აგრეა!

20. სამ ცოლა.

ერთმა ვილაც ცოდვის შვილმა
ისეთი რამ ჩაიღინა,
რომ გაუშვა ორი ცოლი
და მესამეთ იქორწინა.

ეუცხოვათ ეს ამბავი
ყველას დიდს და პატარასა;
აყაყანდენ, იძახოდენ
რიგი რას? და რიგი რასა?

„ეს რა მოხდა? რა გაბედა?
რა ყოფილა? რა კაცია?!
იმდენი ქნეს რომ ამ ხმებმა
მეფემდინაც მიაწია.

მეფე იყო სულის კაცი,
უღმრთოობა არ უყვარდა!..
რომ გაიგო ეს ამბავი
გარისხდა და წამოვარდა

ერთი შეხტა... შებრწილდა...
ვინ გაბედა ეს საქმეო?!
გამიბრიყვდა სამფლობელო,
კმარა დღემდე რაც დავთმეო!
დღეის იქით არ შევარჩენ
დანაშაულს არავისო,

რომ სუყველას გულში ედვას
სიყვარულთან შიში ღვთისო.

ღაიბარა მსაჯულები,
ბრძანა: ვფიცავ ჩემსა ჩხესო!
გაგლეწავთ და გაგამტვერებთ
ისე, როგორც ჩალა ბზესო.

თუ ის ისე არ დასაჯეთ,
რომ ქვეყანა გაკვირდესო
და სთქვას მისი მსგავსი რამე
არ ყოფილა აროდესო.

აცახცახდენ მსაჯულები,
აიტანა შიშის ქარმა.

ეს რა ცეცხლში ჩაგვაყენა...
იძახოდენ—ცოცხალ-მკვდარმა?

თვით წახდა, ჩვენც წაგვახდინა,
გაგვიყარა ყელში დანა!..
ჩვენც რამ უნდა მოვიგონოთ,
რაც არ ქმნილა იმისთანა!..

არც უსვამთ, არც უჭამაით
სამი ღღე და სამი ღამე,
მხოლოდ იმის ფიქრში იცვენენ,
რომ გამოეგონათ რამე.

ბოლოს ღმერთმა შეიბრალა,
მოუმართა საწყლებს ხელი
და ერთი ხმით დამნაშავეს
გადუწყვიტეს ეს სასჯელი:

„დამნაშავემ, დიდი-ცოდვა
რომ გულწრფელად შეინანოს,
სამი ცოლი ყველა ერთად
უნდა სახლში წაიყვანოს“.

ხალხი ამბობს.. ამ მსაჯულებს
რა უქნიათ? ეს რას ჰგავსო?
გარისხდება მეფე... საწყლებს
ქათამივით წასჭრის თავსო.

მაგრამ სანამ სასახლემღი
მიაწვედა ეს ამბავი,

იმ სამ ცოლამ თავის ნებით
ჩამოიხრჩო უმალ თავი.

ამ ამბავმა მთელი ხალხი,
იმნაირად შეაშინა,
რომ არა თუ სამი ერთად,
ძლივს მიჰყავდათ ერთიც შინა.

21. უღმერთოება.

ძველად, როცა ქვეყანაზე
ერთ ღმერთობა არვის სწამდა
და ყოველ ერს, ყოველ მხარეს
თავ თავისი ღმერთი ჰყავდა...

ზოგს ოთხფეხი, ზოგს ფრინველი,
ზოგს ქვემძრომი, ჯოჯო... მყარი,
ზოგს ნამორი ხისა და ქვის...
ქანდაკება შესაზარი,
მაშინ მხოლოდ საბერძნეთში
აღმერთებდენ ბუნების ძალს;
ხორცს ასხამდენ, სულს უდაგამდენ.
და ამკობდენ ვით იღიალს.

სადგურათაც უღმერთობს მთა
მიჩენილი ჰქონდათ ერთად;
იქ სცხოვრებდენ და იმათში
ზეესი იყო მთავარ-ღმერთად.

ქუხილი და ელვა-ქეჩა
მის ზელთ იყო, ნათელს და ბნელს
ჰფენდა ქვეყნად და ბერძნებიც
ეკრძალვოდენ მეხის მსროლელოს.

მხოლოდ ერთი კოთხის ხალხი
გაუდგა და უარ—ჰყოფდა:
რის ღმერთები? სიდან სადო?..
იძახოდა, ამყობდა!

იქ, თავისთვის.. იმ სიშორეს
შიმალულან უჩინრადო—

ქვეყნის ქირი... ქვეყნის ლხინი
აღარ უღირსთ არც ჩირადო;

თითქოს სძინავთ!.. აღარ ესმისთ
ჩვენი ლოცვა ვედრებაო!..
მოდო, ვსინჯოთ, მივაწვდინოთ
მუქარა და ყვედრებაო!..

ახრიალდენ, აიშალენ,
გამოვიდენ ბრძოლის ველად.
შურდული და შვილდ-ისარი
გამოაწყვეს ყველამ ხელად.

ჰკა მაგასო! დაიძახეს,
აღარ ჰქონდათ გულში შიში!
და მიუვალ ულუმბოზე
მიიტანეს იერიში!

და ჰაერში რომ შესტყორცეს
ვინ შურდული, ვინ ისარი,
ეგონათ, თუ მალლა ღმერთებს,
ატყდებოდათ მით თავ-ზარი.

ხმა შეესმათ მალლა ღმერთებს,
გადმოხედეს... გაეცინათ!

ნახეს ის, რაც არ ენახათ
არვისაგან ქვეყნად წინათ.

მიუბრუნდენ ზევსს და უთხრეს

„ვერა ხედავთ რა გვიყვესო?

ნუ შეარჩენ მიწის შვილებს

უგნურება—სიბრიყვესო!

შენ ხელთ არის ელვა ჰეჰა,

სეტყვა... შეხი... ავდარიო,

შეაშინე! შეაძრწუნე!

დაეც ყველას თავ-ზარიო!“

ზევსმა ბრძანა: „მოიცადეთ!

ჩემი რისხვა რაღათ უნდათ!

მათი საქმე მართვე თავზე

დაეყრებათ ქვად და გუნდათ.

მართლაც, რაც კი აესროლათ—

ან შურდული, ან ისარი...

მათვე თავზე დაეყარათ
და გაიბნა შიშით ჯარი!

ეს იგავი და არაკი
საგულისხმოდ დაიწერა!

ურწმუნო და თან უგნური

თავს აწებებს და სხვებს კი ვერა!

22. ბ ა შ ა შ მ ბ ი.

ერთხელ ტბაში ბაყაყები
აყიყინდენ, ახტენ-დახტენ,

„ასე თავისუფლად ყოფა
მოგვეწყინა ჩვენი!“ — იძახდენ.

„უბატონოდ, უბატონოდ
რისთვის დარჩეს ჩვენი გვარი,
როცა სხვებს-კი ყველასა ჰყავს
ან მეფე და ან მთავარი“.

ასე რომ სთქვეს, მალლით რაღაც
წამოვიდა ტრიალითა,

გახდა ტვლევა უცბად ტბაში
და დასძირა გრიალითა.

აცახცახდენ ბაყაყები,
გადუბრუნდათ შიშით გული!

დაჰყვინთეს და აქეთ-იქით
მიიმაღენ განაბული.

ეგონათ, თუ მათ სამთავროს
დანგრევდა მრისხანებით,

მაგრამ, ბოლოს რომ შეხედეს,
იწვა მხოლოდ მოსვენებით.

ცოტად გული გაიმაგრეს,
უფრო ახლო მიუჩოჩდენ,

და, მაშინც რომ არ გაინძრა,
ისკუპეს და ზედ შეახტენ!

გაშლართუღმა, გაბერიღმა
ერთი ხმაც არ ამოიღო!

მეტი ან კი რა შეეძლო?

თურმე დიდი ჯიჯი იყო!

აყიყინდენ ხელ-მეორედ,

იწყინეს და იუცხოვეს;

დაიწუნეს, აუჩივლდენ

და სხვა მეფე მოითხოვეს.

გადმოფრინდა მაშინ წერო,

და თავი სულ სხვებზე უჩვენა!

იმისთანა თქვენს მტერს, რაც იქ

იმან დღე მათ დააყენა.

დატრიალდა ჯარასავით,

აქეთ ეცა, იქით ეცა,

დაიფრინა ბაყაყები,

გაარეცა, გააცეცა!

რომელსაც კი მოსცხო თავში,

გაათუიკა, გააშეშა!

კანონით და განჩინებით

არც ერთი არ ანუგეშა.

მისთვის ყველა ერთი იყო!

რის მტყუანი? რის მართალი?!

იმას მხოლოდ ჩაყლაპავაზე

გაქყეტელი ჰქონდა თვალი.

ხან სამხრად და ხან საუზმედ,

ხან სადილად და ხან ვახშმად

ლხინი ჰქონდა ბაყაყებზედ,

ჰყლაპავდა მათ თვითო ლუკმად.

ატირდენ და აწუწუნდენ:

„ეს ქარცეცხლი, ღვთის რისხვაო!

რად გვინდობა? რა მეფეა?

უნდა მოგვცენ კიდევ სხვაო!“

მაშინ ბრძანა გამჩინებლა:

„რას სჩივით და რა პირითო?

თქვენს ქერქში რომ არ სდგებოდით,

ახლა ჰკვენესით და სტირითო?“

თქვენ იყავით თქვენი თავის

მომვლელი და პატრონიო!

უტკივარს თავს რად იტკენდით,
რად გინდობათ ბატონიო?

გაბრიყვდით და აიჩემეთ,

მეც გისმინეთ ვედრებაო!

ახლა თქვენს თავს დააბრალებთ!

გვიანლა ყვედრებაო!

ერთს სწუნობდით სიმშვიდისთვის,

მეორე კი მწყრალიაო!

შფოთავთ, ყვირით, ვერ ისვენებთ,

და ეს ვისი ბრალიაო?

ახლა წეროს დაჰმორჩილდით;

მიეჩვიეთ მაგის წესსო!

თვარა ახალს დაგინიშნავთ

მაგაზედაც უარესსო!“

23. თაყვანი და ბრძენი.

ბრძენს ჰკითხა ურთხელ თავადმა:

„გეთაყვა ამიხსენიო!

მე ამ ჩვენს ხალხში შევნიშნე

ერთი რამ ცუდი სენიო.

საქმე რომ სადმე გაჩნდება

საცოდნო საქვიანო,

მაშინვე ბრიყვი მიგასწრებს,

რაც უნდა დაეჩქარო!

საქმესაც ხელში ის იგდებს,

ჰკვიანი რჩება განზეო!

რომ უთხრა, ყურსაც არ ანძრევს

და სიტყვებს აგდებს ბანზეო!“

ბრძენმა მიუგო: „აგრეა

ჩვენი ცხოვრების წესიო!

მეც ვიცი სხვა მაგალითი,

მაგაზედ უკეთესიო:

როცა ახალ სახლს აშენებ,

შენ აღარ დაგაცლიანო,

სანამდე შიგ დასდგებოდე,
ბუხები დაბზუვიანო“.

24. ბოჭკა.

მეზობლებში ნათხოვრობა
ჩვეულება არის ძველი,
რომ ერთმანეთს გასაჭირში
გაუმართონ ხოლმე ხელი.

სახლიკაცმა ერთ სახლიკაცს
მიუგზავნა მოციქული:

„ნათხოვეო ბოჭკა რომ გაქვს,
თუ გაქვს ჩემი სიყვარული“!

ველარ უთხრა უარი და
მაშინათვე გაუგზავნა,
მაგრამ რაც მას მოუვიდა,
თქვენს მტერს და ავს იმისთანა:

თურმე ბოჭკა ნედლი იყო,
ჯერ უხმარი, სულ ახალი
და გამოსახმარისებლად
შიგ ეყენა მხოლოდ წყალი.

იმან კი, ვინც ინათხოვრა,
გამოუშვა ხელად წყალი
და პირამდი რომ აევსო
შიგ ჩაუშვა ლუდი-მყრალი.

დიდხანს ედგა და მერე კი
ისევ პატრონს გაუგზავნა,
მაგრამ ჭურჭელს გაჯდომოდა
ლუდის სუნი იმისთანა,

რომ იმისი გამოდენა
ვერაფრით ვერ მოახერხეს,
თუმც ის ბოჭკა მდულარე წყლით
ბევრი რეცხეს და თან ხეხეს!

რაც ჩაასხეს, ყოლიფერა
ლუდის სულად ააყროლა.

მოუვიდა პატრონს გული,
გადაადლო, გადისროლა.

ყმაწვილების ნორჩი გულიც
ჯერ უხმარი ჭურჭელია—
ყრალი რამე თუ ჩაასხი,
რომ არ დარჩეს შიგ ძნელია!

25. მგელი საძაღლეში.

ერთი მგელი, ის კულ გძელი,
ფარეხისკენ მიმავალი
საძაღლეში შემძვრალიყო,
არეოდა გზა და კვალი.

იქ ძაღლებმა სული იცნეს,
აწკაწკუნდენ, იწყეს ყეფა
და მწყემსებმაც მოინდომეს,
რომ მტერს გაუტეხონ კეფა.

წამოავლეს ყველამ ხელი
ვინ კეტებს და ვინ უინჯილებს,
ნახეს, მგელი კლუხეში ცუცქს,
აწკაწკებს შიშით კბილებს.

მოაშურეს მოსაკლავად,
მიიმწყვდიეს მარჯვედ მგელი;
მან კი თავი მოიმდაბლა,
რომ არ ჰქონდა სხვა საშველი.

ტკბილად ბრძანა, „რა გაშფოთებს?
ჰრაფერი გამეგება!..“

მე ხომ სამტროდ არ მოვსულვარ!
მინდა თქვენთან შერიგება.

დავივიწყოთ რაც აქამდი
ერთმანეთში გვქონდა მტრობა!..
შემდეგისთვის დავიჭიროთ
მოყვრობა და მეგობრობა.

„აღთქმას მოგცემთ: დღეის იქით,
შინ გინდათ, თუ სადმე გარეთ,

თქვენ მტრებთან და თქვენ მოყვრებ
თან
ღვიძლ ძმასავინ მომიხმარეთ“.

უთხრა „გიცნობ, კარგად გიცნობ
რაც შვილი ხარ!.. მიგიხვდები!..
შენ რუხვი ხარ, მე ჭალარა,
სიბერით ვერ გავბრიყვდები.

არა! ჩვენი შერიგება
მხოლოდ მაშინ შეიძლება,
როცა ტყავის გაძრობის დროს
ზურგზე ტყავი აგეცლება!.

აწ რალა დროს? გვიან არის!
ტკბილი სიტყვა რას მიქვია!
ეს უთხრა და დასაგლეჯად
ქოფაკები დაახვიდა.

26. ლ ე ლ ე.

პატარა წყარო ანკარა
ღელეში მიწანწყარობდა;
ბევრი ცხოველი სულდგმული
მისის სიკეთით ხარობდა.

ერთხელ იმ ღელის ნაპირზე
მწყემსი ამბობდა საყვედურს;
თურმე მდინარემ უეცრად
ცხვარი მოსტაცა უბედურს.

წყარომ სთქვა: „ფუი მის წყლობას!
რა საძაგელი არიო!..
მომდურავი ჰყავს თანსწორად
მიდამო, მთა და ბარიო;

იმას რომ ჰქონდეს ჩემსავით
წმინდა, ანკარა გულიო,
რამდენი გამოჩნდებოდა
შიგ მსხვერპლი ჩამარხულიო?

აი, დაუდგა სამართალს
ის უსამართლო თვალიო!

მე უნდა მქონდეს, რათ უნდა
იმას იმდენი წყალიო?

მე გეტყვი—ვერ მოვიხმარდი
მე სასარგებლოდ დიდ-წყალსო!
გავახარებდი მთა და ბარს,
გამოვიჩინდი სულ ძალსო.

არ დავალრჩობდი არც ქათამს,
არც წავილებდი ფოთოლსო,
რომ ჩავივლიდი სოფლებში,
ვარგებდი ქვრივს და ობოლსო.

ზღვამდი გულ-წმინდათ ვივლიდი
უწყინრად ნელა ნელაო;
შემიყვარებდა ქვეყანა
და დამლოცავდა ყველაო“.

ასევე ამბობდა ის წყარო,
სანამდი იყო პატარა,
მაგრამ ამ სიტყვის შემდეგ კი,
ხანმა რომ გამოიარა,

მოვარდა ღვარი ძლიერი,
გააასკეცა ის წყარო
და მანაც შფოთვა-ღრიალით
მთლად გააყრუა სამყარო.

მას აღრინდელ, სიტყვები
არც ერთი არ მოაგონდა,
რასაც ეძგერა —მოგლიჯა,
სულ ყირამალა გაქონდა.

ალარ ვის ესარჩლებოდა,
არას ინდობდა იმ მხარეს?
და მთელი ფარაც მოსტაცა
თვითან იმ საწყალ მეცხვარეს.

ზოგ-ზოგი კაციც ასეა:
სანამ არა აქვს უფლება,
თავს იკატუნებს და ყველას
ატყუებს და გარს ევლება!

27. მელა და მაჩვი.

მაჩვი ჰკითხავდა მელიას:
„ნათლიავ საით ვარბიო?“

მელამ მიუგო: „ამიტყდა
სოფელი ცრუ და ხარბიო!

არ მაყენებენ, გამაგდეს,
შემწამეს მექრთამობაო?

ვინ მე და ვინ მაგ-ნაირი
პატიოსნობის გამოხაო?

მე საქათმეში მსაჯულად,
შენც იცი, რომ ვიყავიო!..

ლამე გატეხით ვშრომობდი,
არ დამიზოგავს თავიო,

მაგრამ რად გინდა? მადლობა
რა მიძღვნეს? რით მაამესო?

პირ-აქეთ მომდევს შარები,
ქურდობა შემომწამესო!

მე და ქურდობა?! ეს განა
ჩემს გულ-წრფელობას შვენისო?

ასე ძნელია აყოლა
ცრუ მახეზლარი ენისო?..

აწ შენა გკითხავ, თუ ძმა ხარ,
ხომ კარგადა მცნობ, რა ვარო?

განა მე ქურდს და მოქრთამეს
ან ტყვილა რითმე ვგავარო“?

მაჩვმა მიუგო: „რა ვიცი?
ტყვილად ვერ გემოწმებო!

ბევრჯელ მინახავს მაგ ტუჩზედ
ქათმის ბურტყლი: და ფრთებო!“!

ვინ არ სცნობს ამ ჩვენ დროშიაც
იმ წმინდა დიდებულ პირებს,

რომელთაც ყთქმის პირდაპირ:
„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“.

28. კურდღელი ნანადრობაში.

ერთხელ დათვზე სანადიროდ
გაემგზავრენ სხვა მხეცები,

მოარხიეს დიდი მთები,
შესწავლილი ჰქონდათ გზები.

გამოიგდეს დათუნია
მინდვრად ძუნძულ-ბღაველითა,

დაესიენ და დაგლიჯეს
ყეფა—კიჟინ—ჩხავილითა.

როცა მოკლეს, ნანადირევს
გასაყოფად მიჰყვეს ხელი

და მათ რიცხვში მოზიარედ
გაერია იქ კურდღელი;

თითქოს წილიც ერგებოდა
დათვს ჩაავლო უურში კბილი.

სხვებმა რომ ეს დაინახეს
აიტეხეს მათ სიცილი:

„სიდან სადა!.. წმინდა საბა“!..
აქ რა უნდა ბრუტიანსო?

ასე ურცხვად რომ მიმდგარა
და დათვს წიწკნის უურის კანსო?

კურდღელმა სთქვა: „როგორ თუ
რა,

ვერ მხედავდით იმ ტყეშიო?

რაც მე მაგ დათვს ვუკიჟინე:
არ სმენია მის დღეშიო.

შეფვახე და შეფაშინე,
აღრიალდა... იხტუნაო!

მე ვიყავი, რაც ვიყავი
გამოვაგდე დათუნაო...

სიცრუის და ტრაბახობის
სულ ქარ-ბუქი ააყენა,

გააცინა იქ ვინც იყო...
გუნებაზე დააყენა.

„რა ყოფილა ეს ყურ დიდა
ბრუტიანი... მასხარაო!

გაუჭრათ და გადაუგდოთ
ყურის კანი პატარაო!..

ტრაბახა კაცს მართალია,
სასაციოდ კი იგდებენ,
მაგრამ ზოგჯერ საშოვარში
სულ უბრალოთ წილს უდებენ.

29. ორი მტრელი.

(უძღვნი ელიოზს და კატოს).

დამოყვრდენ და დამშობილდენ
ერთმანეთთან, ორი მტრელი;
გაიერთეს სიკვდილამდე
მომავლი სვე და ბედი.

აღთქმა დასდევს ერთმანეთში,
გული გულში გაუყარეს
და სასიკვდილო-სასიცოცხლოდ
მეგობრობა აღიარეს.

აღარც სვამდენ, აღარც სჭამდენ
ცალ-ცალკე!.. და არც ეძინათ-
გადაიქცენ ერთმანეთის
ოცნებათა და გულის თქმათ.

ნეტავი მათ! რაღა სჯობდა,
კაცმა რომ სთქვას მათს ცხოვრებას!
გულში რაღათ გაივლებდენ
ერთმანეთის მოშორებას?

მაგრამ დახეთ ამ ჭრელ სოფელს,
მაცდურსა და მოუსვენარს!
ზოგჯერ ეკლით მწარედ მჩხვლეტელს
ზოგჯერ ია ვარდის მფენარს!..

არ ატარებს არც ერთ სულდგმულს
მის სურვილსა და ნებაზე,

არ აყენებს მუდამ ერთსა
და იმავე გუნებაზე!

და ჩვენს იმ ერთ მტრედთავანსაც
ერთხელ გული შეეცვალა
და ნადები გულში ძრახვა
მეგობარს ვერ დაუმალა.

გამოუტყდა: შენთან ყოფნას
მირჩევნია რაღა მეო?
მაგრამ ერთი სურვილი მკლავს...
რაღა დღე და რა ღამეო?..

გადავყვი მახედ ფიქრებს,
გადიდებულს ჩემ ხელადო,
და მოხიბლულს აღარა მაქვს,
ჩემი თავი ჩემ ხელადო.

მინდა ერთი ან ორი დღით.
გავემგზავრო, გავფრინდეო,
მაგრამ, ვაი, თუ ამ გაყრით
შემიწუხდე... შეშინდეო?..

მე სულ მალე დავბრუნდები,
გაძლევ ამის სიტყვასაო!
მხოლოდ ერთ თვალს გადავაავლებ
მთელ ხმელეთსა და ზღვასაო.

ვნახავ ყოველ გვარ სანახავს,
რაც გასაკვირვალაო!
ქვეყნის ცოდნა და შესწავლა
ყველასათვის ვალაო:

დავბრუნდები, მოგიყვები,
შენც გაიგებ ყოლიფერსო,
მერე დავჯდეთ ისევ ერთად,
„მადლი ღმერთს და ფერი ფერსო!“

არ იამა ამ სიტყვების
გაგონება მეგობარსა;
გაყვითლდა და დაემსგავსა
ფერ მიხდილი ცოცხალ-მკვდარსა!

უთხრა: ეგ რა გიფიქრია,
რაღაც, საჭირბოროტოო?

მე აქ დავრჩე, შენ შორს იყო...
მეც მარტო და შენც მარტოა?

ნურც შენ იტყენ, ნურც მე დამ-
წვეტ

უბრალოზე, ძმაო, გულსო!
თავიდანვე სიფრთხილე სჯობს
ბოლოს ურგებ სინანულსო.

ტკბილათა ვართ ჩვენს ბუდეში,
შევღვინებთ ერთმანერთსო
და უბრალო ახირებით
ნუ ვარისხებთ მალლა ღმერთსო!

ეს ქვეყანა სახიფათო
არ დაგაყრის შენც ხეირსო;
უცბად ან აქ, ან იქ, სადმე
გადაგკიდებს რამე ჭირსო.

ან გრივალი დაგიბერავს,
მიგახლის ქვას და ხესო,
ან მოგისევს ქორ-მიმინოს,
ან დაგიგებს მახესაო.

და თუ მაინც აღარ იშლი,
მოუცადე გაზაფხულსო
და ამ დამღევ ზამთრის ბოლოს
თავს ნუ ანდობ განძრახულსო.

მიტ უფრო რომ... აი გესმის?
ყვავი თავზე დაგვჩხავისო
და ეს ცხადი ნიშანია
რალაც ცუდის და ავისო!

ბევრი უთხრა ამ გვარები
გულ დამწვარმა მეგობარსა,
მაგრამ იმან ის სიტყვები
გაატანა ნიავ ქარსა.

აღარ დადგა! აღარ იქნა!
გადაჰკიცხა მეგობარი!..
არაო, ჰკრა ცის ლაჟვარდში,
გაღიარა მთა და ბარი!...

მაგრამ დახეთ უბედობას!
არ დაუდგა კარგი დარი:

პირველ დღესვე მოიღრუბლა
ამოვარდა ცივი-ქარი.

დაიელვა... დაიქუხა,
წვიმა მოჰყვა თან შხაპუნა
და საბრალო მოგზაურიც
შეაშინა... შეაძრწუნა.

გაილუმბა, გაიწუწა,
აფარფატდა ცუდათ მტრედი!
საძრაობა ელეოდა,
მაგრამ კიდევ კაი ბედი,
რომ მახლობლად იდგა მუხა...
თავი იმას შეაფარა!..
და ავდარმაც იმავე დროს
ასე უცბად გადიკარა.

ჩადგა ქარი, საოცარი,
მზემაც გამოიქიატა,
მოიზრუნა მგზავრმაც სული
ლონეც ისევ მოემატა.

გამოფხიზლდა თვით ბუნებაც
თითქოს, პირი დაიბანა
და სამგზავროდ იმ უბედურს
გული ისევ აეფხანა.

და გასწია!.. არ დაბრუნდა,
გადალახა ზღვა და ხმელი,
მაგრამ, როგორც ხორც შესხმულსა
მოენატრა კი საჭმელი.

და მშიერი გამალეებით
საკენკს სადმე დაეძებდა;
კუჭამწვარი მხოლოთ თვალეებს
აქეთ-იქით აცეცებდა.

დაინახა მან ხორბალი
ერთგან მიფანტ-მოფანტული,
წაიტყუა მსუნაგობამ
და შეექნა პურზე გული.

დაეშვა და ზედ დააჯდა,
მაგრამ თურმე მახე იყო

და ხაფანგმა რომ ისხლიტა
შიგ ფეხი კი ამოეყო?..

მისი ბედი, რომ შიგ გაბმულს
ვერ მიუსწრეს და ვერ ნახეს!..
იფართხალა!.. იფრთქილა
და გადურჩა ისევ მახეს.

მაგრამ რაღა გადარჩენა!
ერთი ის რომ იღრძო ფეხი
და მეორეც--ჭირი ჭირს სდევს
და გაჰყვება მენსვე მენი:

რომ აფრინდა ქორი დახვდა,
შურდულივით მიაშურა,
ჰკრა ბრჭყალები, მოიმწყვდია
კლანჭებში და მთლად გასწურა.

წვირზე იყო მისი საქმე,
მაგრამ, აქაც ისევ ბედი...
ქორს არწივმა დაუქროლა
და გავარდა შიშით მტრედი.

გულ გახეთქილს, ფეხ-მოტეხილს
ალარ დარჩა მეტი ძალა,
აკვანჭილდა, როგორც იქნა,
ლობის ძირში მიიმალა,

მაგრამ ბავშვმა დაინახა
შორიდან ქვა მიაყოლა,
მოხვდა ფრთაზე და კინაღამ
ხორცს სულიც თან გააყოლა.

მაშინ კი სთქვა: ჰე; მეყოფა
მე ეს უბედურებაო!
კმარა ჭკუის სასწავლელოდ
ჩემი მოგზაურობაო!

აწ კი დროა „ავიკიდო
ჩემი გუდა — ნაბადიო,
„ჩიტი სადაც ბბადება
იქ ჰქონია ბაღდადიო!„

30. ბავშვლენები და ძაღლები.

შარა გზაზე მოდიოდა
ერთად ორი მეგობარი,
იმ მთისა და ამ ბარისა
გაემართათ საუბარი.

იმ დროს გოშიამ უეცრად
ლობეში თავი გამოჰყო,
შორიდან გული მოიცა
და მგზავრებს ყეფა დაუწყო:

მის ხმაზე ასტყდენ ძაღლები,
შეიქნა ყეფა უწყალო!
შეჩერდა ერთი გამვლელი
და მსხვილ ქვას ხელი მოავლო.

მეორემ უთხრა: „მაგითი
ნუ ჰფიქრობ, მოიგეროო!
ერთს რჩევას მოგცემ, ძმობილო,
და სჯობს ის დაიჯეროო!

ვიცი მაგათი ბუნება
და კარგად ვიცნობ ყველასო,—
ერთი თუ აგიყოლიეს,
ალარ მოგცემენ შველასო!

მაგრამ შენ თუ არ მიაქცევ
სრულიად ყურადღებასო
კულების ამოძუებით
შესწყვეტენ ღრენა-ყეფასო“!

მართლაც არ გადაედგათ
ჯერ კიდევ ათი მათ ბიჯი,
ძაღლებმაც ყეფა შესწყვიტეს,
თითქოს აჰკროდესთ მათ კრიჭი.

შურიანებიც ამ გვარად
ჰყეფენ და იღრინებიან,
მაგრამ ხმას რომ არ გასცემენ,
თითონვე გულზე სქდებიან.

30. ღლაპი და კატა.

ხარაზი რომ მოინდომებს
ხაჭაპურის გამოცხობას
და ხაბაზი ხარაზობას...

წულა ჩექმის გამოწყობას!..

მაშინ კი რა მოგახსენოთ,
მათი შრომის და ხელობის?!.
რა გამოვა მათგან გარდა
სიბრიყვის და სულელობის?

მაგრამ არის ზოგი ერთი
თვალხარბი და ქირვეული,
თავის საქნარს უკუ აგდებს
სხვის საქმისკენ უწევს გული.

არ სჯერდება იმ ხელობას,
რასაც ბედი მიანიჭებს;
ვერც სხვის საქმეს გააკეთებს
თავისასაც გააფუჭებს.

სიხარბით თუ სისულელით
(რა ყოფილა კი ხუმრობა)
ერთხელ დიდ-ღლავს მოსწყენოდა
წყალში თევზის ნადირობა.

და ხმელეთზე მოინდომა
კატასავით თავის ჭერა?!
რომ ვერაფერს გააწყობდა
მეტის ნდომით არ ეჯერა.

კატა ნახა და გულ-წრფელად
გაუმჟღავნა საწადელი.

კატამ უთხრა: „ეგ, მგონია,
უნდა იყოს შენთვის ძნელი?“

სულაც არა! რა ძნელია
მისთვის, აბა, თავის ჭერა,
ვისაც წყალში დაუჭირავს
კალმახი და მარდი წვერა ?!

არ მოეშვა და კატამაც
წაიყვანა სალაროში.

და ცალ-ცალკეც ჩაუსაფრდენ
ხელ-ჭურჭლების უკან ძროში.

როცა კატამ გაათავა
ნადირობა და გამოძღა,
მოინდომა ამხანაგთან
მისვლა... როდი დაივიწყა.

მივიდა და რასა ხედავს?
მონადირე სულს ძლივს ლაფავს,
თაგვებისგან მოკვენეტილი
აქვს ბოლო და ვერ იღებს თავს.
დაატანა უცბად კბილი
და წყალშივე გაღუძახა!
დარჩებოდა თაგვებს ხელში,
თუ რომ კატას არ ენახა.

ახი არის, ვინც ღალატობს
ხელობას და ბედის წერას!
წყალში მცურავ ღლავს რა რჯოდა
მშრალზე თაგვ-ვირთხების ჭერას?

31. ჰრიჭინა და ჰიანჭვივლა.

დაჭრიჭინებდა; დახტოდა
ჭრიჭინობელა პატარა,
და უშრომ-უზრუნველობით
მთელი ზაფხული ატარა.

მაგრამ ბოლო დროს ზამთარმა,
თვალი რომ გამოაქყიტა,
შეკრთა მოცლილი მღერალი
და შიშმა წელი მოსწყვიტა.

გაჰქრა იგი დრო, როდესაც
ყოველგან დროს ატარებდა,
ცა ქუდად აღარ მიაჩნდა,
მიწას ფეხს არ აკარებდა!..

სიმშლით კუჭი უხმება,
თანაც სიცივით კანკალობს:

ველარ ხტის, ენაც ჩავარდა,
ჩვეულებრივად ვერ გალობს!

ან-კი რალა დროს ხტომაა,
და რა დროს ჭიანჭურია,
როცა რომ ღიბინის მოყვარეს
სცივა, ჰშია და სწყურია?

კარზე მიადგა ჭინჭველას
ვედრებით: „ჩემო ნათლია!
ნუ მომკლავ გაზაფხულამდე
და გამომკვებე, მადლია!

ჭინჭველამ ჰკითხა: ზაფხული,
როგორღა გაატარეო?“

— „ვიღხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე მარეო.

— მაშ თუ მაგრეა, რადგანაც
ზაფხულში იფარფაშეო,
მიბრძანდი ეხლაც და სინჯე
იხტუნე ითამაშეო!

32. მგელი და გუგული

მგელმა გუგულს შესჩივლა:

„ჩემო მეგობარო!
აქ იღარ მედგომება,
უნდა გავიპაროვო.

თუ შემხედეს ძაღლებმა,
ღამიწყებენ ყეფასო,
და მწყემსებიც კომბლებით
გამიხეთქენ კეფასო.

თითქოს ვიყო ერთი რამ
ქვეყნის ამომგდებო!
არა, უნდა წავიდე,
მე აქ ვერ დავდგებო!“

გუგულმა სთქვა: „კი, მაგრამ
მაინც სად მისდინარო?“

იცი მისთანა მხარე,
რომ თავი დაიფარო?“

— როგორ არა, ამბობენ,
არკადიის ტყეებსო,
ყველა თურმე განცხრომიფ
ატარებს იქ დღეებსო.

იქ სუყველა ერთმანეთს
ძმებსავით ეტრფიანო!
გასინჯე, რომ ძაღლებმაც
ყეფა არ იციანო!

არც შურია არც ძრახვა,
იქ... არც რამე მტრობაო,
იქ წასვლა და ცხოვრება
მისათვის მემხრობაო.

— „კეთილი! წადი რადგანც
იქ ბედს ეგულებო!
მაგრამ თან ხომ არ მიგაქვს
ეგ ზნე და კბილებო?“

— „მაშ აქ ვის დაუტევებ
ამ ჩემს საქონელსაო?
გიჟი კი ნუ გგონივარ,
რად ავიღებ ხელსაო?“

„თუ მაგრეა, მაშ იქაც
ვერ აიცდენ ავსაო,
მალე ნახავ იმ ტყეშიც,
რომ გაძრობდენ ტყავსაო.“

33. მამალი და მარგალიტი

მამალი რომ ნაგავს სჩხრეკდა,
მარგალიტი ნახა;
გააგორა ის იქავე
და ეს დაიძახა:

„გარეგნობით იტყუება,
მხოლოდ თვალს იტაცებს!“

ეს მიკვირს და ვერ მივმხდარვარ,
რისთვის მოსწონთ კაცებს?

მე-კი ჩემდა თავად ვიტყვი
წრფელის გულით მართალს,
ამას ბევრად ვამჯობინებ
მცირე პურის მარცვალს!“

უგუნურნიც ასე სჯიან
და ასე ამბობენ,
როცა ჭკუა აღარ უჭრისთ
და ველარას სცნობენ!

34. შვაპის ვახალა (ბარტუი).

არწივი მალა მფრინავი
თავზე დაეშვა ფარასა,
რალა თქმა უნდა, ერთ ბატკანს
მოიტაცებდა სხვას რასა?

მაგრამ ისეთის სიფრთხილით
და სისწრაფითაც დაეშვა,
რომ მსხვერპლი გამოეცალა
მეცხვარეს თვალ და ხელ შუა.

მახლობლად იქვე სადღაცა
დაყვანცალობდა ყვავიცა
და რა უყურა არწივისა
თვითონაც გული მოიკა.

მაგრამ ამბობდა: ამ „ფრინვლის,
მე არა გამეგებაო!
მიკვირს რომ ხალხში არწივებს
დავარდნილი აქვთ ქებაო“

„იშტა ვისა აქვს?.. ფლავს ვინ
სჯამს!“

მართალი უთქვამსთ კაცებსო,
პატარა კრავებს იტაცებს
და ხმასაც არ სცემს ვაცებსო.

ამას არ ვიზამ,—ამ გვარი
მე ჭკუა არას მარგებსო!
თუ მოვიტაცებ ბარემდა,
დიდებს, სუქნებს და კარგებსო“.

სთქვა და მოუნდა კიდევაც
მაშინვე ხელად აწაპვნა
და ნამეტანის ნდომისგან
ჭკუა, რაც ჭქონდა დაებნა.

ამოიჩინა ჭედილა,
აღარ იკმარა პატარა,
დააჯდა ზურგზე, კლანჭები
გაუყარ—გამოუყარა...

ცხვარს არც უგრძობნია და ის კი
მალლისკენ ეჭაჩებოდა;
სცდილობდა, მაგრამ კლანჭები
ხუჭუჭა მატყლში რჩებოდა.

ვერც აიტაცა, თვითონვე
ჩავარდა უცბად შავ დღეში...
დაკრიხინობდა ის მატყლში
როგორც გაბმული მახეში.

პატარა რომ მიჰბადავს:
დიდს ქურდსა და მტაცებელს,
რა თქმა უნდა იმას კი
ჩაავლებენ იქვე ხელს!..

35. ვირი და ბულბული.

ვირმა მოჰკრა ბულბულს თვალი
და უთხრა მას: „მეგობარო!
ამბობენ, ვითომც მღერალი
შენ ჩინებული რამ ხარო.“

მე ძალიან გულითა მსურს
მოვისმინო შენი სტვენა,
გულმოდგინეთ დაგიგდებ ყურს,
თუ გაქებენ ღირსად შენა!

მღერალმა გამოიჩინა
აქ თავისი ხელოვნება,
ათას-ნაირად დასტვინა,
აიგზნო რა გულის ვნება.

ნელ-ტკბილად იწყო მან მოთქმა:
ხან წყნარ ჭიკჭიკში სდნებოდა,
ხან მისი სალამურის ხმა
მოას და ველს ეფინებოდა.

ყურსა უგდებდა მღუმარე
განთიადისა მღერალსა,
მიდამო, არე და მარე
მთლათ გაემსჭვალა მის ძალსა,

სიჩუმის აძევს მას ფარდა,
არ იძვრის, დაწვა ნახირი,
სხვა ფრინველთ გუნდი დაწყნარდა,
ჩადგა ნიაფი, ზეფირი.

და მწყემსი აღელვებული
სუნთქვასაც ძლივსლა ბედავდა,
მხოლოდ უძგერდა გლახ-გული,
სატრფოს რომ მღიმარს ხედავდა!

გათავდა მღერა!.. ზუღბული
თამამად შეაჩერდა ვირს,
მაგრამ იმისმა მსაჯულმა
თავი დაჰქინდრა ბრძნულად ძირს,

და უთხრა: „ჰოო, რა უშავს!
სწორი უნდა ვსთქვა... მართალი!
მაგრამ მეტრალვი, რომ არ გყავს
ნაცნობი ჩვენი მამალი!

აღვილად შეიძლებოდა
მისი ანგებიც გესწავლა,
და მაშინ სხვა იქნებოდა
მაგ შენი გალობის ძალა“.

რა გაიგონა მღერალმა
ამნაირი რჩევა წმინდა,

ფრთა გაშალა შესაბრალომა,
ცხრა მთას იქით გადაფრინდა.
და ამგვარი მსაჯულები
აგვაშოროს, არც ჩვენ გვინდა!

36. გლმისი ბაჭირვებაში ჩავარდნილი.

ერთ გლმესს ქურდი შეეპარა
სახლში ღამე რომ ეძინა
და მოჰპარა რაც გააჩნდა
და მის დღეში შეეძინა.

დილას ადგა გაიღვიძა,
მიიხედა—მოიხედა,
შენს მტერს იმას ელდა ეცა!
დაიძახა, ვაი დედა!

ვინ დამღუპა? ვინ გამქურდა?
გამომიჭრა ცოლ-შვილს ყელი!..
მიშველეთ და მომეხმარეთ!
ან ჩამქოლეთ მე დღე ბნელი!..

ამ ყვირილზე მეზობლებმა
მოიყარეს მისას თავი,
შეებრალოთ და შესწუხდენ,
რომ გაიგეს ეს ამბავი.

ახრიალდენ, ერთმა უთხრა:
რად უშვებდი სახლში ქურდებს?
არ იცი რომ გაჰქურდავენ
იმას, ვინც რომ კარს არ უგდებს?..

მეორემ სთქვა: დალოცვილო!
სიმდიდრით რომ ამაყობდი,
არავისთან არ მალავდი
შენს შეძლებას ტრაბახობდი,

რა თქმა უნდა, რომ მაგითი
გადაჰკიდე შენ თავს ქირი.
ახლა რაღა გაეწყობა,
რაღას მოსთქვამ?.. ტყვილად ტირი,

მესამემ სთქვა: არ იცოდი
რომ არავინ დაგზოგავდა,
როცა სახლში შემყვთავი
ერთი ძაღლიც არა გყავდა?

უძაღლობა არ იქნება,
გაიჩინე... გეთაყვანე!
სხვაგან თუ არ გეგულებათ
ლეკვი, ზემგან წაიყვანე!..

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა...
გაახურვეს საუბარი.

რჩევითა და საყვედურით
გააბრუეს ცოცხალ-მკვდარი,

და საქმით კი შემწეობა
გულშიც არვის გაუფლია.
ასე არის, შემწეობა

სიტყვით ყველგან ადვილია.

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზისთ დიდი ზღვარი“
და მიტომაც გასაჭირში
კაცს გაურბის მეგობარი.

37. სპილო და ფინია.

ერთხელ სპილოს საჩვენებლად
ქუჩა-ქუჩა ატარებდენ.

ამ საკვირველ სანახავით
მაყურებელს ახარებდენ.

ახლოს ვერ ვინ მიეკარა,
ყველა ისე შეაშინა,
მაგრამ უცბად საიდგანლაც
გამოუხტა ერთი ფინია.

გადიგრიხა კუდი, შეხტა,
გაწიწმატდა და გამწარდა;
შეულრინა, შეუყვდა,
მაგრამ ზედ-კი ვერ მივარდა.

გოშამ უთხრა: „რას მასხარობ?
უნდა გითხრა, მებრალეები!
ვერ ხედავ, რომ ყურს არ გიგდებს,
და ტყუილად რად იღლები?“

უპახუხა: „მეც-კი ვხედავ,
რომ არ მაქცევს ყურადღებას,
თვარა, ეს რომ არ ვიცოდე,
გავბედავდი განა ყეფას?!“

რა მაკლდება, შორი-ახლოს
ასე ყეფით რომ მიესდიო?
ვინც შემხედავს, ასე იტყვის:
მარჯვეა და გულადიო!“

3. მგელი და მისი ლეკვი.

მამა-პაპის ხელობას რომ
შეაჩვიოს, შეასწავლოს,
მგელმა ლეკვი გააგზანა
საზვერავად ახლო მახლოს.

უთხრა: შეილო! აბა ფრთხილად
მოიარე არე-მარე!

საარეშო და საკბილო
თუ რამ ნახო მომახარე!

წავიდეთ და ვინადიროთ,
აწ დრო არის დაიგეშო,
რომ შეიძლო თავის რჩენა
უჩემოდ და მანუგეშო.

გაემგზავრა ლეკვი, მაგრამ
ისევ მალე მოკუნტულდა,
იძახოდა: დედა! დედა!
რაც გვინდოდა აგვისრულდა;

აგერ ახლოს, ამ საღამოს
მოურეკავთ მწყემსებს ცხვრები,
დარჩენილან და აქავე
დაწოლილან გამაძღრები.

რაც რომ ჩემის თვალით ვნახე,
სხვებსაც ვპკითხე იმის გარდა
და რაც მითხრეს, რომ შევიტყვე
მიამა და გამეხარდა:

მწყემს აქებენ, მაგრამ მწყემსი
თავის თავად რას დაგვაკლებს,
როცა გამხმარ—გატყაულებს.
იქვე ცხვრებთან სძინავთ ძაღლებს?

დედამ უთხრა: არა, შვილო!
მე უფრო ვარ გამოცდილი...
სადაც მწყემსი კარგი არის,
ძაღლებიც ჰყავს იმას ფრთხილი.

და თუ მწყემსი არ ვარგია
მაშინ ნულარ გეშინია!...
იმის ხელში ქოფაკიც კი
წუპაკი და ფინია!..

39. სოფელი და მელა.

მითხარი მელა-კუდაო:
რათა ხარ ქათმის პარია?
ნაარმი ლუკმა, ხომ იცი,
არ შეგერგება—მწარია?!..

ქვეყანა ატეხილი გყავს,
იძახის: ქურდი—მელაო
საქათმეს შემოეჩვია,
გავცალა... დაგვანელაო!

არ ერიდება არც ძაღლებს,
აღარც იზოგავს თავსაო,
მაგრამ თუ ხელში ჩაიფიდეთ
ცოცხლად გავაძრობთ ტყავსაო!

ცხადია მათი მუქარა
რომ არ ჩაივლის უქმადო
და თუ მოგასწრეს, იცოდე,
დაგვლუჯენ ლუკმა-ლუკმადო.

და საქმეს რაზედ იჭირვებ
რომ წაგამწარონ მალეო!
პალალი ლუკმა ეძიე,
ქურდობა მოიშალეო!

ასე ურჩევდა მელიას
ერთი მდიდარი სოფლეელი,
უწყინარი რამ კეთილი,
ყველას პატრონი, მომვლელი.

მელიამ უთხრა: ბატონო,
მართალს მიბძანებ ყველასო,
მაგრამ სხვა საშუალება
რომ არ აქვს არსად მელასო?

არ გვისწავლია ხენა თესვა,
არც ვიცით ცულის ხელიო!..
მაწანწალა ვართ, მოვლილი
გვაქვს ყველგან მთა და ველიო!

განა არ ვიცი, ქურდობა
რომ არ ვარგია... ცუდიო...
მაგრამ უმისოდ ხომ უნდა
ამოვიძუო კუდიო!

შემშილი მომკლავს, ცოლი-შვილსაც
სიმწრის დღე დაუდგებაო!
მიჯობს მაძლარი მაგინოთ!
რას მარგებს მშიერს ქებაო?

სოფლეელმა უთხრა: თუ მართლა
მაგაზე მიდგა საქმეო,
ხელს მოგიმართავ და შენ კი
ცუდი ხელობა დაგმეო.

მე შემიძლია, თავიდან
რომ აგაცდინო ქირიო:
შეგეკვრი ერთის პირობით
და არ გასტეხო პირიო!

მოდე დამიდექ მექათმეთ,
შენ ჩაგაბარებ ყველასო!
და მოუარე ჩემს ქათმებს!
ნულა გაატან მელასო!

არ მოსტყუედები, რადგანაც
ყველა ხრიკები იციო
და შენ რომ არას წააგებ,
მეც მომიცია ფიცო:

არც შენ დარჩები მშიერი,
ცოლშვილსაც უპატრონებო!
ამაზე უფრო სასურველს
სხვას რაღას მოიგონებო?

ფეხზე აღარ სდგას მელია
ნამეტან სიხარულითა!
იკისრა რასაც ურჩევდნენ,
ჩაება წრფელის გულითა.

დაუტრიალდა საქათმეს...
ძალიც კი გაიერთგულა!
მის ხელში არ თუ დედლები
წიწილაც არ დაკარგულა.

უქებენ მეთვალყურობას
პატრონიც მწყალობელია;
გასუქდა; ღარი დაისკა,
კმაყოფილია მელია.

რალა სჯობია ამ ყოფას;
რადაც რიგი და წესია,
მაგრამ, ეჰ, „ჩვეულება კი
რჯულზედაც უმტკიცესია“.

ერთ ღამეს ერთგულ-მსახურსა
ხუშტურმა წამოუარა
და რაც ებარა გასწყვიტა
სულ ერთად სისხლი დაღვარა.

ქურდი ვერ მოშლის ქურდობას
და ცუდი კაცი სიცუდეს,
უბრალო ქეშმარიტება,
უნდა ეს ყველამ იცოდეს!

40. მაიმუნი.

სახნისს ეკიდა გლებ-კაცი
და მიწას ხნავდა სიჩქარით;
გაჰქონდა იქით და აქეთ,
ოფლი სდიოდა სიმწარით.

ვინც კი ხედავდა მისს შრომას.
გულ და გულ მუშაობასა,
მოსწონდა მისი სიმარჯვე!..
უთვლიდა გამარჯობასა.

ეს შეეხარბა მაიმუნს
და სთქვა: მეც უნდა მაქონო!..
მაგას ხომ ჰხედვენ და ახლაც
ჩემი სიმარჯვე ნახონო!

დაავლო ხელი ერთ დიდ კუნძს,
რაც ღონე ჰქონდა და ძალა,
მისდგა!.. ხან იქით, ხან აქეთ
აგორა... აკოტრიალა.

თავს არ ჰზოგავდა საბრალო,
ცხელ ოფლში იწურებოდა
და, როგორ მოსწონთ სხვებსაცო,
გზისკენაც იწურებოდა.

მაგრამ მას გამარჯობასა
არ თუ არ ეუბნებოდენ,
პირ იქით, რომ უყურებდენ
სიცილ-ხარხარით ჰკვდებოდენ.

და იძახდენ: ფუჭია
ამ გვარი მუშაობაო!
ვისთვის რა სასარგებლოა
რძესავით წყალის დღობვაო?

41. ბუზი და ლომი.

ბუზმა ლომი გაიწვია
საჭიდაო მოედანზე,

გაეცინა ლომს... შეხედა
და თავისთვის მიწვა განზე.

მაგრამ ბუზი არ მოეშვა,
ტრიალებდა, როგორც ჯარა, —
ხან აქ ეცა, ხან იქ ეცა
პაწაწინა მეტიჩარა.

„თუ გულს გერჩის, გამობძანდი
ამ მოედნის პირასაო,
ქამანდებს რომ ზედ მოგაყრი,
გადაგიყვან ყირასაო!“

გაუკვირდა ლომს და ბრძანა:
„რათ თავს იგდებს სულელიო?
ცოდვას აუტრუები
სიკვდილისა მსურველიო!“

მიუბრუნდა, შეუტია,
მაგრამ ბუზმა არ აცალა, —
უცბად ცხვირში შეუფრინდა,
შეუძვრა და მიიმალა,

და ჩხიკინი რომ დაუწყო
დაშვიდებით ნელანელა,
ლომს მით თავბრუ დაახვია
და თვალები დაუბნელა.

აღრიალდა ლომი სიმწრით,
ხან ხტოდა და ხან გორავდა;
ბუზი მაინც ვერ გადევნა,
ტყვილად ცხვირ-პირს იტორავდა.

დაიქანცა, დაილაღა,
სიმწრით მისი დაემართა:
ბოლოს გული შეუწუხდა
და მიწაზედ გაიშხლართა.

გამოფრინდა მაშინ ბუზი
და ლომი რომ ისე ნახა,
„მე გახლავარ ფალავანდი!“
სიამაყით დაიძახა.

და გაფრინდა ამპარტავენად,
მოინდომა თავის ქება,

მაგრამ გზაში ქსელი დახვდა
და უეცრად შიგ გაება.

გაექანა, ოზობია,
დაიჭირა ცოდვის შვილი
და მაშინ-კი სხვა კილოზე.
მორთო ბუზმაც იქ ბზუილი.

42. ლომის აღზრდა.

პირუტყვების მეფეს ლომს
მემკვიდრე შეეძინა;
გამხიარულდა დიდად
და გულში ჩაიციხა.

სთქვა: მეფეები შვილებს
ზრდიან უთავბოლოდ
და ქვეყნის სასარგებლოდ
მე გამოვზრდი მხოლოდო.

რომ ამ ქვეყნის ავ-კარგი
გაარჩიოს სრულადო
და ქვეყანამ, როგორც სხვებს,
არ უყუროს მტრულადო!..

და სთქვა ეს სულ სხვა არის...
ქვეყნის მწყალობელიო!
და აკურთხოს უფალმა
მის შემქნელ-მშობელიო!

წლის ბავშვი გინდა იყოს
მეფის ჩამომავალი,
მაინც უსუსურია,
მოსავლელ-შესაბრალო!

მაგრამ პირუტყვების კი
სულ მალე იზრდებიან!
და მოკლე დროში დედ-მამას
თითქმის უტოლდებიან.

ერთი წლისაც არ იყო
ჯერ ის ლომის ბოკვერი,

რომ ეტყობოდა ნიჭი...
ესმოდა ყოლიფერი.

და მოინდომა მამამ
იმისი გაბარება,
რომ გამოზარდოს ისე,
როგორც მას ეკადრება.

გახსნა ლომმა დარბაზი და
გადასცა ვეზირებს
თავის გულის პასუხი:
რა ჰსურს? და რას აპირებს?

წინააღმდეგს ისინი
აბა, რას გაჰბედავენ?
მაგრამ საკადრისს გამზდელს
რომ ვერსადა ჰხედავენ?..

მართალია, რომ მელას
არ აკლია ჭკუაო,
მაგრამ ეშმაკი არის
და ხან და ხან სტყუაო!

და ვაი თუ უფლის წულს
ასწავლოს მელიობაო
და სამეფოს რას ზრგებს
ამ გვარი ხელობაო?!

თხუნელაც ჭკვიანია,
მარტო თავისთვისაო;
არც ვის რასმე გაატანს
და არც უნდა სხვისაო.

კუდს არც თვითონ ჩაიდენს...
ვერც სხვა გაუბედავსო,
მაგრამ სულ ქვეშ ქვეშაობს
და შორსაც ვერ ჰხედავსო.

მეფე კი უნდა იყოს
გამჭვრეტელი შორსაცო,
რომ პასუხი აძლიოს
დაბალსაც და სწორსაცო.

თხუნელას გამოზრდილი,
მეფედ არ ივარგებსო!..

აღმა არ აგვახედებს...
სულ ქვეშ ჩაგვაბარგებსო.

ისევ ვეფხვი აჯობებს:
ვაქეცია... გმირიო,
მაგრამ სულსწრაფი არის
მეტად პირ და პირიო.

პოლიტიკა არ იცის,
ქათინაურებიო!..
მოჰკლავს, ან შეაკვდება,
თუ შენიშნა მტრებიო.

მეფე კი უნდა იყოს
გამჭრიახი ფრთხილიო
და არ ივარგებს მეფედ
ვეფხვის გამოზდილიო.

ჩაჰყვენ ასე, ამ გვარად,
ჩამოთვალეს სუყველა,
სპილოც კი დაიწუნეს,
არვინ დაასახელა.

ღირსეული გამზრდელი
ოთხფეხში არ გამოჩნდა
და ლომი, როგორც მამა,
შესწუხდა და დაღონდა.

ამ დროს გაჩნდა არწივი
მალლით მოიშხუილა,
დასკუპდა მეფის გვერდში,
ძმურად მიეხმატკბილა.

უთხრა: რა გამოგივა
ტყვილა ჯავრს რომ მისდიო?
მეც მეფე ვარ ფრინველთა
და შეილს მე გაგიზდიო!

შორს მხედველიც იქნება,
იწყებს აღმა-ფრენასო
და თანაც შეისწავლის
თვით ბულბულის ენასო.

გამხიარულდა ლომი,
სთქვა: რაღა სჯობს ამასო?

ჩავაბარებ, გავატან
ჩემს შვილს, როგორც მამასო!

ან კი რას მოისმენენ
ის უკეთესს გასაგონს,
გამოაწყო ლეკვი და
ჩააბარა ჩიტ ბატონს:

ფრინველეთში მოსწავლეს
დაუარდა ნიჭის ხმა
და ეს კარგი ამბავი
საქვეყნოდაც გაისმა.

ლომის სამფლობელოში
დიდი სიხარულია!..
მემკვიდრის მალე ნახვის
ყველა მონატრულია!

რომ გაათავა სწავლა,
დაბრუნდა უფლის წული
და მეფეც მიეგება
ამალით მხიარული.

უთხრა: რაც იცი შვილო,
აბა, დაგვანახეო!..
სამეფო საქმეებიც
შენვე გამოაწყევო.

შვილმა უთხრა: რაც ვიცი,
აბა რას მიხვდებითო,
თქვენ დაბლა ხართ და მაღლის
საქმეს რას მისწვდებითო:

მე ვიცი რაც იციან
მაღლა ფრინველეთშიო
და რა განწყობილება
აქვსთ მათ ერთმანეთშიო!

ან რას სჰამენ? ან რას სმენ?
რას სჩაუდიან? და რადო?
ან მთაში რისთვის ჰფრენენ?
რად დაგოგვენ ბარადო?—

ისე ვიცი რომ უკეთ
ალარ შეიძლებაო
თვითოეულ მათგანის
ზნე და ჩვეულებაო?

ბუდეების კეთებას
როდის გამოიწყებსო?
ან რამდენსა და რა დროს,
როგორც სდებენ კვერცხებსო.

ამ გვარების გარჩევა
კარგად შემიძლიაო
და ამის მეტი სხვა რამ
მე არ მისწავლიაო!

ფრინველებში ეს ყველა
არის მოსაწონიო
და აქაც ჩემი სწავლა
გამოდგება, ვგონიო!

დავაწყებიე ყველას
სწავლას ხელ და ხელიაო!
ჩიტ ბუდეს და „კვერცხებსა“
შეისწავლის ყველაო.

ამ სიტყვებმა სამეფოს
და მეფეს დასცეს ზარი
ვის რად უნდა ქვეყნისთვის
გამოუსადეგარი?

რაც უსწავლია, ჩვენთვის
არ ვარგა!.. არ კმარაო!
და შრომა იმედებმაც
ტყვილა ჩავვიარაო!..

მეფემ რომ შეისწავლოს,
ის იქნება კარგიო,
რაც სამეფოსთვის არის,
საჭირო და მარგიო.

43. მოხუცი და სამი ახალგაზდა.

ბერი კაცი ხეებს რგავდა;
ყმაწვილებმა გაიარეს,
„გამარჯვების“ მაგიერათ
მას სიცილი დააყარეს:

„ბერო კაცო! ვისთვის გინდა
ეგ ხეები, მანდ რომ რგავო?
გეტყობა, რომ მოცლილი ხარ...
გსურს ხელები მოიქაფო!..“

მაგის გაზრდას—გახარებას
შენ როგორღა მოესწრობი,
რომ სიბერიოთ, სადაც არის,
აწ სიცოცხლეს გაეყრები;

ეგებ ფიქრობ, რომ გახდები
შენც მეორე მათუსალა?
ისიც დიდი წყალობაა
ღვთისგან, ცოტაც თუ გაცალა!

ჩვენ რომ ვრგავდეთ, ის სულ სხვაა,
ჩვენ კიდევ ბევრს მოვესწრობით,
მაგრამ შენ კი სულ უბრალოდ
თავს იწუხებ უმეცრებით“

მოხუცმა სთქვა: „ყმაწვილებო?
სულ სხვა რამე მენატრება:

თუ ნაყოფი ჩემის შრომის
მე თვითონ ვერ მრმესწრება,

სხვებს ხომ მაინც მზად დარჩებათ,
შვილებსა და შვილიშვილებს
და შენდობას შემომითვლის
ყველა, ვინც კი ისარგებლებს.

და რაც სიკვდილს შეეხება,
ყველას გველის დღესა თუ ხვალ!
არ ვინ იცის ხორციელმა,
ვინ მოკვდება ვისხედ უმაღ.

შიძლება დღესაც მოვკვდე,
შიძლება თქვენც დამასწროთ!

ყველა ღმერთმა უკეთ უწყის
და ჩვენც უნდა ღმერთს ვუყუროთ.“

არ გასულა წელიწადი,
რომ მოხუცის სიტყვა ახდა:
ერთი თავის სახლში მოკვდა,
ანთებით რომ ავად გახდა.

მეორე კი ჩხუბში მოჰკლეს,
საომრად რომ წასულიყო
და მესამე დიდმა წყალმა
მოიტაცა და წაიღო.

მოხუცმა კი, რომ შეიტყო,
ყმაწვილების ბედის წერა,
გააქნია თავი წყენით
და პირჯვარი დაიწერა.

44. ბ ა ტ ე ბ ი.

გლები ბატებს მირეკავდა
ბაზრისაკენ გასაყიდად
და უნდა ვსთქვათ, რომ იმ საწყლებს
არა სცემდა პატივს დიდად.

რომ არ დაჰგვიანებოდა
აჩქარებდა გძელის სახრით;
გადმოუქნევ-გადუქნევდა
ზაპა-ზუპით, ლანძღვა ოხერით.

ეს ბატებმა იუცხოვეს,
აყიყინდნენ, მგზავრს შესჩივლეს:
„ვერა ხედავთ ამ ბრიყვებსა.
უზრდელობა-სისულელეს?

ნეტავ, ჩვენგან რა სწყენია?
და ან რა აქვს ჩვენთან მტრობა,
რომ უბრალო ბატებივით
აგდებულად დღეს გვეპრობა!

არ იცის, რომ სხვა მოდგმის ვართ
და არ ვგვეართ ყველა ბატებს?

ჩვენს წინაპრებს ისტორიაც
იხსენიებს... აღმატებს!..

სხვა შეგვეფერის ჩვენ პატივი,
სხვა სასწორი, სხვა საზომი;
იმ ბატების ნაშთები ვართ,
რომ დაიხსნეს ერთხელ რომი “

— „მართლა? კარგი წინაპრები
გყოლინათ თქვენ, როგორც გატ-
ყობთ!..

მაგრამ თქვენ კი, თქვენდა თავად,
რას აკეთებთ, რომ ამყობთ?“

— „ჩვენ არაფერს!.. მაგრამ გვყავდა
დიდებული მამა პაპა...“

— „ვიცი ვიცი! მაგრამ ის ხომ
დრომ წაიღო და ჩაყლაპა?

თქვენ ის ბძანეთ, თქვენდა თავად,
რას აკეთებთ? რა ბძანდებით?“

— „როგორ?! ჩვენის წინაპრებით
განა აღარ დავფასდებით?“

— „მაშ არა და!.. ვის რად უნდა,
ვინ რა იყო თქვენი ძველად?
და თქვენ სხვებზე ხომ არ ვარგინართ,
თუ არ ცეცხლზე შესაწველად?“

ზოგიერთი ბატონები,
ვგონებ, ჩვენშიც ასე სჯილენ,
მივითითებ მათზე, მაგრამ
ვშიშობ, რომ არ აყიყინდენ.

45. ღ მ რ ი.

ერთს დიდი-კაცის ეზოში
შევიდა ღორი ღრუტუნა;
ხან აქეთ ეცა, ხან იქით,
სადაც დინგი ჰკრა, უსუნა.

ტალახში ამოიწუმბა,
ნაგავი მითხარ-მოთხარა

და, როცა გული იჯერა,
ისევე შინ გაემგზავრა.

მივიდა მწყემსი და უთხრა:
„მიაშბე ჩემო, ღრუნჩაო!
სად იყავი და რა ნახე
აგრე რამ გაგაყუჩაო?

დიდი კაცების ცხოვრება,
ამბობენ, სანატრიაო;
მათ სახლში თვალ-მარგალიტი
სულ ქვიშასავით ჰყრიაო!..

ოქრო და ვერცხლიც ბევრია,
სხვა-და-სხვა სამკაულიო,
თუ მართალია, ნახავდი,
დაგიტკბებოდა გულიო!“

ღორმა მიუგო: რას ამბობ?!
ისემც იმათ აქვსთ შველაო,
რაც ეგ მართალი კი იყოს?!
თურმე გვატყუებს ყველაო.

ბევრი ყოფილა ამ ქვეყნად
მეჭორე—მოტრაბახეო!
ნეხვის და ნაგვის მეტი
იქ ვერაფერი ვნახეო“

ბევრი კაცია, რომ სხვის კარგს
თვალთ ვერ ჰხედავს, ცუდს სწუნობს!
ვითომ ჰკიცხავს და კილსა სდებს,
მაგრამ ღორივით ღრუტუნობს.

46. ა ვ ა რ ბ მ ბ ი.

პრანქია მაიმუნნი,
დათვი ფეხ-მოჩართული,
თხა კიკინა და ვირი,
ყროყინა და ხმა წვრილი
დამეგობრდნენ უნდოდათ
ლხინი გადაეხადათ

და თან როგორც დამკვრელებს
თავიც გამოეცადათ.

იზოენეს საკრავები.

ყველამ სხვა და სხვა გვარი
და მაიმუნი იყო
ვითომ მცოდნე ლოტბარი.

დათვს ეჭირა დაირა
მაიმუნს—ჭიანური!

სალამური—დიდ-ყურას
და ბეკეკას ჩანგური.

გაუსვეს, გამოუსვეს,
მაგრამ, თქვენ მტერს და ორგულს!..
მათი ბრახუნ-ჭუჭყუნი
იმათვე უკლავდა გულს.

გაჯავრდა მაიმუნი:
რა ღმერთი გიწყობათა?
ერთად უნდა დაგეწყოთ
და რათ გავიწყდებათო?

დათვი ამბობს: „რას ბძანებთ?
ეგ სულ ტყუილიაო!
აქ სულ სხვა მიზეზია!
სხვა ხერხი გვაკლიაო.“

ჭიანურმა პირველი
ხმა უნდა დაუკრასო;
სალამურმა მოსძახოს,
სხვებმა ბანი უთხრასო“.

თხა იძახის: „დაირა
მეტად აბრახუნებსო,
ყურთა სმენა წაიღო,
გვიშლის და გვაცდუნებსო“.

ვირს არ სჯერა, ამტკიცებს:
ეგ სულ ტყუილიაო!
კვარტეტი, რომ დავუკრათ
ჩვენ არ შეგვიძლიაო.

კუდათ ვზივართ და სანამ
აღწავს არ გამოვსცვლითო!

უნდა გადაჯ-გადმოჯდეთ
ყველა აქეთ-იქითო!“

გადასკუპ-გადმოსკუპდენ,
გადინაცვლეს ხელათა,
მაგრამ მაინც ამითაც
არაფერი ეშველათ.

იქვე მახლობლად ხეზე
შემომჯდარი ბულბული
ყურს უგდებდა მათ ტანჯვას
ფოთლებში განაბული.

რომ შენიშნეს იამათ!
გამხიარულდა ყველა
და მისგან მოითხოვეს
შემწეობა და შველა.

„ტკბილ-ხმიანო ბულბულო
და მცოდნე ჰანგებისა,
გაქებენ და ღირსიც ხარ,
ქეშმარიტად ქებისა!

ერთი სათხოვარი გვაქვს,
სხვა არც ერთი მომეტი
გვასწავლე, როგორ დავსხდეთ,
რომ დავუკრათ კვარტეტი?“

ბულბულმა უპასუხა:
შემცდარი ხართ ყველაო
მე როგორ შემეძლია
აბა თქვენი შველაო?

საქმე ის კი არ არის
სად? და როგორ ზიხართო!
ის არის, რომ დამკვრელად,
თქვენვე არ ვარგიხართო.

47. ყ ვ ა ვ ი.

ყავმა სთქვა მგალობეო
ჩემებური მაქვს ჰანგიო!

სანახავადაც კარგი ვარ,
რითა მჯობს ფარშავანგიო?

ის „ვაი-ვაი“-ს იძახის,
და მე „ყვა-ყვა“-სა ვყვირო!
ეს არის მხოლოდ, რომ იმას
ბოლო აქვს სხვანაირი!

ის ბოლო მე შემფეროდა
იმაზე უფრო... ვიციო!
მაგრამ რომ შესცდა ბუნება,
ამას არ უნდა ფიციო.

მაგრამ ბუნების შეცდომას
ასწორებს ხელოვნებაო
და ესეც უნდა გასწორდეს
ასრულდეს ჩემი ნებაო!

მისდგა და რაც კი ებადა,
დაიძრო ბოლო სიმწარით
და ნაცვლად ფარშავანგისა
კული მიირჭო სიჩქარით.

სთქვა: ოჰო! ასე სჯობია
თუ, სხვა ვინმეა, მეც ვარო!
ახლა კი ფარშავანგებში
გავიარ გამოვიარო!

წავიდა, გამოერია,
დაიწყო იქაც ყვანჩალი,
ეგონა, რომ მთელ ქვეყანას
იმაზე რჩებოდა თვალი.

ფარშავანგებმა იწყინეს:
ვინ არის სალახანაო?
ან ჩვენი ბოლო ვინ მისცა?
ან აქ ვინ მოიყვანაო?

დაჰკორტნეს, გაბღღენეს, უწყა-
ლოდ,
ისე გახადეს საბრალო,
რომ აღარ შერჩა თავისიც
არა თუ სხვისი მას ბოლო.

და კული მასპინძლებისგან,
რომ შეელახა გუნება,
მაშინ მოკურცხლა... იკადრა
საყოლში გამობრუნება...

მაგრამ იქ შინაურებიც
ველარ დაუხედენ მოყვრულად:
აღარ გვიკადრე, გვწუნობდი,
არად გვაგდებდი ჩვენ სრულად!

და ახლა არც ჩვენ გვინდებხართ!
გადახდა უნდა ვალსაო,
მიბრძანდი სადაც გერჩიოს
გილოცავთ გზა და კვალსაო!

მე იდურ-ამპარტავნობა
არავისათვის არ ვარგა,
არ მისცეს ფარშავანგობა
ყვავს და ყვაობაც დაჰკარგა.

ვინც თავის ტოლ ამხანაგებს
სწუნობს და აღარ კადრულობს
და რაც არ შეეფერება
იმას დაეძებს... კისრულობს.

ასე მოუვა სუყველას
და ეს ცხოვრების წესია!
ვისაც რა მისცა ბუნებამ
დასჯერდეს უკეთესია.

48. ძ ა ლ ლ ი.

ბატონს ჰყავდა წუწკი ძალი
მოვლილი და შენახული,
მაგრამ მაინც ვერ გაუძლო
მსუნავს მისი ხარბი გული!

მაინც სული ხდებოდა მას
საქურდალს და საწუწკარში;
სტაცებდა პირს და გაჰკონდა
ნაქურდალი ჩუმაჯ კარში.

ბატონი ძაღლს უწყებოდა,
ხან დაბა, ხან აწვალა!
ვერას გახდა, სანაძლი სხვამ
იმას ჭკუა არ ასწავლა:

„კაცო, ტყვილად თავს იწუხებ!
მაგასაც სისხლს ტყვილად ადენ!
რად დაიშლის ეგ ქურდობას,
თუ ნაქურდალს-კი შეარჩენ?“

ნუ სცემ! მხოლოდ ნაქურდალი
კი წაართვი ნუ შეარჩენ!
და ნახავ, თუ იმ სენისგან
მაგ საცოდავს არ მოარჩენ?“

დაიჯერა რჩევა.—მერე
ძაღლი აღარ გაულახავს
და იმ ძაღლის ქურდობაც-კი
აღარავის არ უნახავს.

49. ფანჯრები და ფოთლები.

ააფერადა ბუნება
თვალშვენიერმა მაისმა.
და ბუღბუღ იადონის ხმა
სულში ჩაძრომად გაისმა.

ათრთოლდა ვარდი კოკობი,
გადილიადა გულიცა
და ერთად სურნელებასთან
მოჰფინა სიხარულიცა.

ნიაფი სუბუქ-ფრთიანი
შეინძრა, შეიფრთქილა
და უკვდავების წყაროთი
აავსო ქვეყნის ფიალა.

ყველა ნეტარებს თანსწორად
აღარ სჩანს მჩაგვრელ-ჩაგრული!
ხეზე ფოთლებმაც კი იგრძნეს
ძალი და შექმნეს ჩურჩული.

„ჩვენ ვართ, რაცა ვართ, ხეების
შვენიების ჯილა-გვირგვინი
უჩვენოთ რა სათქმელია
იმათი ჭირი ან ლხინი?“

ჩვენგან ეძლევა სუყველას
თავ-შესაფარი და ჩრდილი!
რას ივარგებდა უჩვენოდ
ხეზე ყვავილი ან ხილი?“

იციოთ! რას ამბობთ? გაჩუმდით!
რათა ხართ მაგრე ტრახახა?!
ხმამ ულოდნელმა, მრისხანემ
დაბლიდამ ამოიძახა.—

შეკრთენ ფოთლები—იწყინეს
და გადასძახეს მალლიდან:
„ვინ ხართ, რომ მაგას გვიბედავთ
სად ხართ? და ვინ ვით სპიდან?“

პასუხს იღებენ: „ფესვები
მიწაში ჩამალულიო!
თუ ჩვენ არ ვიყოთ აქამდე
არ შეგრჩებოდათ სულიო!“

საზრდოს ჩვენ გაძლევთ აქედან
უხმოდ და უჩინარადო
და თქვენც ეს ჭეშმარიტება
უნდა გახსოვდესთ მარადო.

50. მგელი და მელა.

საქათმეში შემძვრალიყო
ერთხელ სადღაც მელა-კულა,
გამოძლა და გასისინდა,
გაიბერა, როგორც გულა

რასაც ველარ მოერია,
თან წაიღო ყველა საგზლად:
გამოძვრა და ეზოს კარს
გაიარა თავისუფლად.

წაიღო ეს ნაქურდალი.
და თივაში შეინახა;
თვითონ ზვინის თავზე დაწვა,
მოსვენება განიზრახა.

გაიხედა, ერთი მგელი
მოძუნძულებს დამშეული,
გაულია პირი იმ მყრალს,
კუჭი ეწვის, უწუხს გული.

მოვიდა და უთხრა მელას:
„შემიბრალე, ძმაო, ვკვდები!
სახრავს ძვალსაც ვერსად ვშოვობ,
უგზო-უკვლოდ ვეხეტები.“

მწყემსებს ღვიძავთ და ძაღლებიც
ისევ ჰყეფენ, ჩემი მტრები,
და შენს იქით გზა აღარ მაქვს,
შემიბრალე, გვედრები!“

მელამ უთხრა: „ჩემო კარგო,
მებრალეები, გული მტკივა.
აჰა, ღმერთმა მოგახმაროს
მთელი ზვინი, კარგი თივა!“

რასაც თვითონ ვერა სჯამდა,
ის დაუთმო სტუმარს ჩქარა
და, თივაში რაცა ჰქონდა
იმაზე-კი არა სთქვა-რა!

ჩვენც ასე ვართ: რაც არ გვინდა,
სხვას დავუთმობთ, მზად ვართ, ხელად;
„სხვისი ქირი, ღობეს ჩიორი,
მართლა უთქვამსთ ჩვენებს ძველად.“

51. აჩწივი და თხუნელა.

შორიდან ორი აჩწივი
მოფრინდა დედალ-მამალი;
უდაბურ ტყეში საბუდრად
ხე აირჩიეს მაღალი.

სთქვეს: „ამ ზათხულში აქ დავრჩეთ,
აქ გავაკეთოთ ბუდეო!
ამაზე კარგო რად გვინდა
სამოსახლო და ზღუდეო!“

ეს გაიგონა თხუნელამ,
სთქვა: „დამიჯერეთ რჩევაო!..
ძირ-დამძალია ეს მუხა
და მალე წაიქცევაო.“

ამაზე ბუდე ნუ გინდათ,
სამარცხო-სახიფათოთო!
სჯობს, ისევ სადმე გაჰფრინდეთ
და სხვაგან გააკეთოთო.“

იჯადრისა არწივმა:
„ეს ვილაც თხუნელიაო,
რჩევასაც მაძლევს, ეტყობა,
ბრიყვი და სულელიაო!
მე ფრინველების მეფე ვარ,
მალა ვფრენ, შორს მხედველიო,
ეგ დაბლა სჩიჩქნის მიწის ძირს,
თვითონ სინათლე-ბნელიო!“

ამ გვარად მისი სიტყვები
არად ჩაადგო, არ აჰყვა.
და აისრულა გულდაგულ
თვისი სურვილი—განზრახვა.
მაგრამ ერთს დილას, ნაშოვრით
როცა გადმოვლო მან მთები,
ხე წაქცეული დაუხვდა
და დაჰყლეთილი მართვები.

და მაშინ კი სთქვა: „გაიმე!
მართლა დამძალა ეს ხეო,
და მე კი მედიდურობით
გამჩენი გავირისხეო!..“

ვინ იფიქრებდა თხუნელზე
რომ რჩევა იცის ბრძნულიო?“
თხუნელამ უთხრა: „რალა დროს!
რას გარგებს სინანულიო?“

რომ შეგეხედა გარედან,
ხე იყო გასაკვირიო!
რას შეატყობდი მალლიდგან,
თუ ცუდი ჰქონდა ძირიო?

მაგრამ რატომ არ ჰფიქრობდი
შენ მალლა, განაპირზეო,
რომ უფრო ახლოს ვიყავი
მე იმ ხის ფესვებ-ძირზეო?“

52. გედი, კალმასი და კიბო.

გედმა, კიბომ და კალმასმა
შეკრეს პირობა მისთანა,
რომ ერთი ტვირთი სამივეს
ზიარათ გადაეტანა.

გულმოდგინებით გაებნენ
სამივე ერთად მარხილში,
მაგრამ ვერ დასძრეს ის ტვირთი!
ტყვილა ჩავარდენ სირცხვილში.

ტვირთი კი არაფერია
თითქმის, სულ ცარიელია
და ადგილიდან ვერ დასძრეს,
ეს უფრო—საკვირველია.

აღარ იზოგვენ ძალ ღონეს,
სწევენ და ექაჩებიან:
ოფლში სცურავენ უბრალოდ,
იმ ადგილზევე რჩებიან.

თურმე ნუ იტყვიო... მიზეზი
იმათი გაჭირვებისა
უთანხმოება ყოფილა
ნაყოფი უმეტრებისა.

ვერ ახერხებენ ვერც ერთი
ერთი მეორის შევლასა!..
და მჩატე ტვირთი მიჰქონდათ
სხვა და სხვა მხრისკენ ყველასა:

თევზს—წყალში, ფრინველს ჰაერში,
კიბოს კი უკან-უკანა
და მათმა შრომამ მიტომაც
ნაყოფი ვერ მოიტანა.

უთანხმოება მიზეზი
საერთო უძლურებისა
და უძლურება—ნაყოფი
პირუტყვეულ უმეტრებისა.

53. დათვი და მუშაბნოე

ერთი ვილაცა საწყალი,
უნათესაო, უმოყვრო,
ყრუ უღაბნოში სცხოვრობდა
მარტოხელოობდა მთელი დრო.

თუმც ეს ფერადი ბუნება
საამოდ განაჩენია,
მაგრამ სულ მისი ყურებაც
კაცისთვის მოსაწყენია.

და ველარც იმან გაუძლო
დიდ—ხნობით მარტოობას,
გულში ნატრობდა ხან და ხან
ძმობას და მეგობრობასა.

წავიდა ბევრი ეძება,
ხეტიალობდა საბრალო,
მაგრამ ადამის ნაშიერს
მან თვალიც ვერსად მოავლო,

უღაბურს—ტყეში გულ და გულ
ტყულად ეძებდა ის სხვებსა!
და ან კი ვილას ნახავდა
თუ არ მგლებსა და დათვებსა?

და მართლაც, დათვი შემოხვდა,
არ ბობლინებდა მტრულადა
და კაცმაც დიდი-სალამი
მიუძღვნა მეგობრულადა.

დათვის მოეწონა ზრდილობა,
და გაუწოდა ტორი მას
და ჩამოართვა ხელიც კი
როგორც მეგობარს და ღვიძლ-ძმას.

დაჯდენ და მოისაუბრეს;
ზოგი მთისა სთქვეს, ზოგი ბრის;
ისე ტკბილად და აღერსით,
როგორც წესია მეგობრის.

იმ დღიდან ისე შეთვისდენ,
რომ მეტი არ შეიძლება!
აღარც შეეძლოთ აღარც ერთს
უერთმანეთოდ გაძლება.

არ შორდებოდენ ერთმანეთს,
არც დადიოდენ ცალ ცალკე,
თუმც არ ყოფილან არც ერთი
დიდი რამ მოლაპარაკე.

კანონი იყო ერთისთვის
მეორის სურვილი... ნება
და რადგანც ერთხელ დათუნამ
გასეირნება ინება.

ვერ გაუტეხა ხატრი, და
კაციც თან გაჰყვა მოყვარეს,
იხეტიალოს უმიზნოდ
და გადააწყდენ კლდე და ღრეს.

დათვმა ძუნძულით გადავლო
და კაცს კი უჭირდებოდა
და ისე მოწყდა დაღალვით,
რომ თითქმის, სული ხდებოდა.

დათვმა შენიშნა და უთხრა:
თუ შენიც არის ნებაო,
რომ შევისვენოთ აქ ცოტა,
ურჩივო არ იქნებაო.

ჩრდილიც ეს არის!.. აქავე
გამოიძინე ხელადო!..
ფიქრი ნურათურის გექნება,
მე დაგიღგები მცველადო!

წამოწვა კაცი მხარ — თეძოს
და ძილიც წამოეპარა;
დათვი მიუჯდა მაშინვე
და გვერდში ამოეთარა.

თან ყურს უგდებდა სიამით
მეგობრის ფშვინვა — ხვრინვასა
და თანაც თვალს ადევნებდა
მახლობლად ბუზის ფრინვასა..

ის ბუზი იმას სცდილობდა,
რომ დაჯდომოდა მძინარეს
და არას ებუებოდა

მის მეგობარს და მოყვარეს,
რომ დაჯდებოდა, მაშინვე
ტოტს აუქნევდა დათვიცა,
მაგრამ არ იქნა! არ მიდის
ბუზი!.. საშველი არ მისცა..

ბრიყვი და მოუსვენარი
მძინარს უძვრება ცხვირ-პირში,
დათვის გული მოდის თან და თან
განსაცდელშია და ჭირში!

იფიქრა: ვხედავ ეს ბუზი
მე არ დამაყრის ხეირსო!
და მაშ მეც დედას ვუტირებ!
უჩვენებ თავისს სეირსო.

წამოხტა გაჯავრებული-
დასტორა ერთი დიდი ქვა
და აასრულა კიდევაც.
გაჯავრებულმა რაცა სთქვა:

რომ დაინახა ის ბუზი
ზედ შუბლზედ აჯდა მის ძმობილს
იფიქრა ველარ წამივა!
გავუერთებო ძვალს და რბილს!..

წამოეპარა სიფრთხილით,
ამაყი თავის მომწონე
და ზედ დასთხლიშა ის ლოდო,
რაც ძალი ჰქონდა და ღონე.

მაგრამ ის თქვენ მტერს რაც ძმო-
ბოლს

მან გაუწია მოყვრობა...
მტრისგანაც ნამეტანია,
ასე საძაგლოდ მოპყრობა

თავ გაქვლეთილსა; მეგობარს
მან ტვინი გადმოაღინა ჩოო
და ბუხს-კი ვერა უყორა...

გაფრინდა .. წავიდა შინა...
გამოუყენებ...

ნამდვილი მეგობარი...
ყველასათვის კარგის,
მაგრამ საქმის დაჭერა...
სულელთან არ ვარგია.

დროს დაკარგვას მა'თან...
რჩევა და საუბარი
და ღმერთმაც ავაშოროს
უჭკუო მეგობარი.

ამ... მის...
შეიძინენ...

54. შოშნიკა

ბარტყობისას შოშიას...
დაესწავლა სიმღერა,
თუ რომ შაშვი არ იყო,
ალარავის ეჯერა...

ნამდვილ შის ხმა-კილოზზე,
რომ მართავდა სალამურს,
არე მარე დამტკბარი,
სიამით უგდებდა ყურს...

უწონებდენ, აქებდენ,
ვერ ჰხედავთ შოშიასო?
მომხიბლავი ჰანგები
გულს სხივებად შეასო...

თავ-გასული შოშია,
გაბრიყვდა მეტის ქებით

დაიწუნა გალობა
შაშვის ჰესულ ჰანგებით

სთქვა. ალარ მეკადრება
აწ შაშვივით სტვენაო...
ისა სჯობს ვაქანრაკო
ბულობულივით ენაო.

ისეთ წაირად დაგქვენეს
და ჩავიხმატკბილებო,
რომ იმ თქვენ სანაქებოს
ბულობულს გავაწბილებო!

გაიტაცა სიხარბემ,
გადაჰყვა საბრალო გულს,
შაშვიურიც დაავიწყდა,
ველარც მიჰბაძა ბულობულს;

აწრუწუნდა, თავგფფფფ...
ხან ჩხიკვივით ჩხავოდა,
ხან როგორც მომაკვდავი,
კატის კნუტე ჰყაოდა.

აერია დავთრები...
რა ექნა არ იცოდეს,
და ვისაც კი ესმოდა,
მისის ცოდვით იწვდა.

ჩიტებმაც სთქვეს; ვერ ვუგდებთ
ყურს ამ საძაგლობასო,
კარგი შაშვიობა სჯობდა
გლახა ბულობულობასო.

ყველას აქვს თავ-თავისი
ნიჭი რამ შესაფერი, ისტინ შიწ
მაგრამ ცუდი სიხარბე
თანვე სდევს როგორც მტერი.

სხვას ჰბაძავენ... თავისას
რომ ალარ სჯერდებიან
და ყველგან მოსხლეთილი
სასაცილო ხდებიან!

თავ...
...

55. გლეხი და ავაზაკი.

მოინდომა დასახლება...
 ოჯახს მოეკიდა გლეხი
 და საბრალომ ჭაპან წყვეტით,
 მოიმაგრა ძლივას ფეხი.

დღეს-ხვალობით, ნელ-ნელა
 გაიმაგრა შრომით წელი!
 უნდა მხოლოდ საოჯახო
 ცოტა რამე საქონელი.

და რაც აკლდა ახლა მისაც
 მან შეძენა მოინდომა,
 დღე და ღამეს ასწორებდა,
 დაიჭირა სასწორ-ზომა.

მოაგროვა აქეთ-იქით,
 როგორც იქმნა ცოტა ფარა
 და მაშინვე სასყიდლებზე
 ქალაქისკენ გაეჩქარა.

მოიკაზმა საგარეოდ
 გადაიცვა ტანზე ჩოხა,
 რომ ჩავიდა აქ იყიდა,
 სარძევე და ერთი ძროხა.

სთქვა: „ეს იყოს სანაშენოდ
 ჯერ და მერე სხვაც იქნება!
 ოთხფეხობამ შალე იცის
 გამრავლება — მოშენება...“

შინ დაბრუნდა და მის ძროხას
 წინ მიუძღვის სიხარულით;
 მოიმღერის... მოიჩქარის
 არ ილაღვის სიარულით.

მაგრამ გზაში მას დაუხვდა
 ავაზაკი, ის ღვთის მტერი,
 გაძარცვა და რაც ებადა
 ჩამოართვა ყოლიფერი.

აღრიალდა მაშინ გლეხი:
 ხომ ცოლ-შვილით დამკლუპეო?!.

ჩემ სიცოცხლეს, სიკვდილი სჯობს!..
 ბარემ გულიც გამიპეო!..

შეებრალა ავაზაკსაც
 უთხრა: კარგი ნუ ტირიო?“
 სრულად არც მე დამკარგვია
 ჯერ ნამუსი და პირიო.

რომ არ დაგვწყდეს არც ერთს
 გული

მოდო, შუა გავიყოთო!
 და რაც გვერგოს ბედისაგან,
 ის ჩვენ-ჩვენთვის წავიღოთო!
 ძროხა მე და სარძევე შენ!
 ვგონებ, ასე აჯობებსო?
 აჰა! ღმერთმა მოგახმაროს!..
 წადი! რაღა გაწუხებსო?

56. გლეხი და გველი.

გველი მიაღვა კარზე გლეხს
 და უთხრა შემხიზნეო,
 რასაც გველებზე ამბობენ,
 მე არ მჩვევია ის ზნეო:

ისინი თან ატარებენ,
 ყველგან შხამიან კბილებსო
 და არც გატანა იციან!
 ჰყლაპავენ თავისს შვილებსო.

მაგრამ მე არ ვარ იმ გვარი!
 ერთბელაც არ მიკბენია,
 სხვები რომ ჰკბენენ მაწუხებს!..
 მათ მაგიერათ მრცხვენია!

არ მეშინოდეს სიკვდილის?! —
 ამოვიგლეჯდი შხამს — ისარს.
 და წმინდა გულის პატრონი,
 შემოვევლები ყველას გარს!
 შენც, სახლში როცა მიმიღებ,
 მით გადაგიხდი მადლობას,

რომ ერთგულებით შენ შეილებს
ყველას გავუწევ გამდლობას.

გლებმა მიუგო: რაცა სთქვი
ვიცი რომ ქეშმარიტია,
მაგრამ გამდლობა გველების
ცუდი რამ მაგალითია:

აიყვანებენ სხვებიცა
გამდლებათ წამხედურობით
და საქმე რით გათავდება?
ვაით და უბედურობით.

შენ ეროი კარგი რამა ხარ,
ასი სხვა მავნებელია!..
შვილების ჩაყრა მათ ხელში
ცოტა არ იყოს ძნელია.

მშობლებო იგავ არაკი
ეს თქვენთვის დაწერილია,
რალა დაშხამავს ყმაწვილებს,
თუ კი დედ — მამა ფრთხილია.

ცნობის მოყვარე.

გამარჯობა შენი ძმაო!
როგორა ხართ? სად იყავი?
— კუნსტკამერში. ბევრი ვნახე
საოცარი სანახაუი:

დაილოცოს შემოქმედი
რომ არა გვაქს მისი შიში?!
ქვეყნად რა არ გააჩინა?!
არ ჰქონია ანგარიში:

რა ოთხფეხი, რა ფრინველი
ქვემძრომი და ბუზებ — მწერი;
ზოგი დიდი, საოცარი!
ზოგი როგორც ნევსის წვერი!..

თუ გულ და გულ არ უყურებ,
არ სჩანს თითქმის არაფერი.

ზოგი წითელ, ზოგი ყვითელ...
ქრელა — ქრულა... მრავალ — ფერი!

— კარგია!.. რომ სულ გინახავს,
სპილო როგორ მოგეწონა!
ვინ იცის, რომ დაინახე
შეგეშინდა — მით გეგონა?

— სპილო!.. მაცა . ჯერ შითხარი
რა ფერია? რა გვარია?
— ეშვები აქვს და ხორთუმი?
რალაც უხარ — მაზარია!..

— მართლა? უნდა გამოგიტყდე,
ვერ შევირცხვენ ტყუილად თავს;
ყველა დავათვალიერე
და სპილო არ შემინიშნავს!

58. სოფლებები და მდინარე.

მალლიდან გადმონაქარი,
ჩუხჩუხით ჩამომჩქეფარე
სოფელში მიიკლაკნოდა,
ერთი პატარა მდინარე.

დარში გულ-მშვიდი და წყნარი
ავდარში მთლად გიჟდებოდა
და კალაპოტშიც, ვიწროში,
ჩვეულებრ ველარ დგებოდა.

გადარეცხავდა კიდევებს,
მიგლიჯინობდა სოფელში
და წალეკავდა ყოლიფერს,
რასაც კი იგდებდა ხელში.

ზოგის წისკვილებს აქცევდა,
ზოგსაც უღრჩობდა ოთხფეხსა;
ველარ გაუძლო სოფელმაც
ამ გვარ განსაცდელს და მებსა.

სოფლებებმა სთქვეს უჩივლოთ,
მიემართოთ დიდ — მდინარესო,

სადაც ეს ჩადის და ის კი
უჩვენებს მას სიმწარესო!

წავიდნენ მართლა, მიადგნენ
გულ — დამშვიდებულს მდინარეს,
გალმა — გამოლმა ნაპირზე
ქალაქს ჰხედავდნენ მდებარეს.

არვის აწუხებს სუყველა
დიდი — წლის მადლიერია,
რომ მეზობლობა იმათთან
ნამდვილი დაუქერია!

არა ჰგავს ეს კურთხეული
იმ გიჟ-პატარა მდინარეს,
რომ არ ასვენებს სოფლებს
არც მღვიძარს და არც მძინარეს!

მაგრამ... ბიჭოსა, ვერ ხედავთ
იმ შეჩვენებულს მტერსაო,
რა უშიშარი ყოფილა??
არ ფარავს არაფერსაო!..

რაც კი მოგვტაცა, წაგვართვა,
დაგვიღო დაგიქციაო,
სულ აქეთ წამოუღია,
ამ წყლისთვის მოუტიაო!

და ვიღასა ვსთხოვთ სამართალს!
ვინ არის გამკითხველიო,
მაშინ როდესაც დიდ — ხელს ჰბანს
თურმე პატარა ხელიო?..

და სთქვეს: ეჰ, ტყვილად მომცდა-
რვართ?..
სჯობს დავიმშვიდოთ გულიო!
ამათ, ეტყოდათ, ჰქონიათ
კული კუდს გადაბმულიო!

59. მონადირე ლომი

უტეხ-ტყეში ბუნაგობდენ
თავთავისთვის ცალკე ყველა,

როგორც კი მეზობლები:
ლომი, მგელი, ტურა, მელა..

მოიყარეს ერთხელ თავი
და დაწყევს მათ პირობა,
რომ დაწყვით ყველას ერთად
საზიარო ნადირობა:

ვინც კი რასმე დაიქერდა
იმ ტყეში, თუ სადმე შორად,
თავთავისი წილი ყველას
ერგებოდა თანასწორად.

უმალ მელამ გაიმარჯვა;
რა ნაირად ვინ გაუგებს?!
ირემი კი იგდო ხელში
და აცნობა ამხანაგებს.

ბრძანა ლომმა: ჰაი გილი!
გაუმარჯოს მელასაო!!
მე გაგიყოფთ ნანადირევს.
თანასწორად ყველასაო!

გახლიჩა და ვითომ წმინდად,
გაჰყო უმეტ — ნაკლებოდა:
„ერთი წილი, ხომ თქვენც იცით,
პირობითაც მერგებოდა.

ეს მეორე-საუფლოა,
უნდა ერგოს ამ ტყის პატრონს
და მაშ ისევ მე მერგება,
როგორც მეფეს და თქვენ ბატონს.

მესამე კი, მართლის თქმა სჯობს,
მევე დამრჩეს როგორც ძლიერს,
და ჩემ ნება-სურვილზედაც
ალარ იტყვიოთ თქვენც არაფერს.

და მეოთხე რომ თქვენგანმა
მოინდომოს შესაქმელად...
მაშინ კი რა მოგახსენოთ!!
რა თქმა უნდა? გაგლიეჯთ ხელად!..

ბიჭოსა მდინარეზე
მდინარე მდინარეზე

60. ავაზაკი და მუხამე.

შარა გზაზე გაჰვლოლების
გაცარცვა რომ გაიძრახა,
ავაზაკი რკინის კეტით
ჩირგვში ჩაჯდა... ჩაესაფრა.

როგორც მგელი აბრიალებს,
ის ამღვრეულს სისხლით, თვალებს
ეჩქარება საშოვარი,
სული მისდის და კანკალებს.

ხელად უნდა რომ მოიკლას
წყურვილი და ცარცვის ჟინი
და მოესმა კიდევ ურმის
ხმაურობა და ქრიჭინი.

შეუტია გააჩერა
ის ურემი დატვირთული,
მეურმეც რომ მარტო ნახა
მოემატა უფრო გული.

მაგრამ ისიც მარჯვედ დახვდა,
გამოიღო მანაც ხელი,
კბილები ქვით ჩაამტვრია,
გაიმართა ჩხუბი ძნელი.

და ბოლოს კი ავაზაკმა
მოჰკლა როცა მოერია,
ამისთანა უსამართლო
სისხლი ბევრჯერ დაუღვრია!

მივარდა და გადმოჰყარა,
რომ გაჩხრიკოს ტვირთი ხელად,
ეგონა თუ ოქრო და ვერცხლს
იპოვნინდა უეჭველად,

მაგრამ იცით რა გამოდგა?
მარტო მხოლოდ ტყავ ბუშტები!
ჩვენშიაც ბევრს ამნაირად
უმტყუნდებთ იმედები!

61. ცხენი და მხილარი.

ისე გაწვრთნა და გახედნა
ერთმა კაცმა ბედაური,
რომ ოთხფეხმა, როგორც კაცმა,
შეისწავლა სამსახური;

მოდის, წადი, დაწეკ, ადეკ,
ქიშმენი და ყალყზე დგომა,
სულ ესმოდა, ისე როგორც
იმ მხედარმა მოინდომა.

პატრონმა სთქვა: რაღათ უნდა
აღვირი და გულ ავშარა?
რასაც ვეტყვი გამიგონებს..
გაწვრთნილია... სიტყვაც კმარა!

მართლაც, წახსნა ცხენს აღვირი
გაატარა ნელა-ნელა,
ჯერ-ჯერობით რაც უბრძანა
აასრულა ცხენმაც უგელა.

მაგრამ ცოტა რომ შეხურდა
მაშინ აღარ დაუჯერა,
თუმც მხედარი ხან გაჯავრდა,
ხან დაუტკბა... მოეფერა!

აჰ, არ იქნა, გაჯიუტდა,
არ ასრულებს მხედრის ნებას.
ხან ფთხვინავს და ხან ხვიხვინებს..
არ იძლევა მოსვენებას.

და აღვირის ამოდება
ახლა კაცმაც მოინდომა,
მაგრამ როგორ მოახერხოს,
აღარ იცის, გადმოხტომა?

დაფროხა ცხენი გაექანა
ლობე თხრილებს თავს ევლება,
ველარც არჩევს ველარაფერს
აქ ეხლებს, იქ ეხლებს.

პატრონი რომ გადმოვარდა
გამოუდგა ფეხ და ფეხა,

მაგრამ ცხენი სასიკვდილოდ ერთ დიდ-ხრამში ჩაიჩეხა.

ბრბოც ასეა, თუ ის ხელში ზომიერად არ გიჭირავს, არ გზოგავს და თავის თავსაც სასიკვდილოდ გაიწირავს.

62. გულ-კეთილი მელა.

მონადირემ გაზაფხულზე მოჰკლა ერთი თოხიტარა და მასთანვე მის ბარტყებსაც მით სიცოცხლე დაუმწარა.

ტვლიპანებს და უსუსურებს რა შეეძლოთ თავის თავად! რომ შესცივდათ და მოშივდათ, აქყლიპინდნენ საცოდავად.

მაგრამ ამ დროს, მოსწრებაზე, სადაც იყო განჩლა მელა; თითქოს სუნი სცემოდეს მას; მოკუნტულდა ნელ-ნელა.

იმ ობლების დანახვაზე, უცბად გული აუძგერდა. სთქვა: „ღღეღგან მე ვუგამდლებ!“ ჩაცუცქდა და მიაჩერდა.

აწუწუნდა მათის ცოდვით: „ვერა ხედავთ ამ საწყლებსო? უპატრონოდ, მოუვლელად, ველარც ერთი ვერ გასძლებსო.“

მაგრამ ჩვენი ვალი არის, ვუპატრონოთ როგორმეო და ვისაც რა შეგიძლიანთ, მომეხმარეთ ყველა მეო.

შენ მერცხალო, საზრდო ზიდე! ქორო, მტრები უგერეო,

გვრიტი ზღაპრებს ულულუნებს, შენც, ბუღბუღო, უმღერეო.

შენ, კოდარავ!..“ მაგრამ ამ დროს დაუბერა უცბად ქარმა, შტო შეინძრა და ბარტყებიც აიტანა შიშის ზაზმა.

გადმოცვინდნენ, ძირს დაეცნენ, შეკრთა ცოდვით მაშინ მელა, მაგრამ თვისი ქადაგება დაავიწყდა უცბად ყველა.

მივარდა და რომ დარწმუნდა, არ შეეძლოთ არსად წასვლა, შეებრალა სტაცა პირი და სუყველა გადასანსლა.

63. მწყერი და მტრმდი.

მწყერი გაება ძუაში, შეშინდა იწყო ფართხალი; გამომძვრალიყო უნდოდა, თავს არ ზოგავდა საწყალი.

ეს მტრედის ზუნდმა რომ ნახა, აიგდო მეტად საცინლად: „ნეტავ, ღღე მაინც არ იყოს! რად არ დაჰგოგავ ძირს ფრთხილად?“

არ ჩავვარდები, იცოდე, მე არასოდეს მაგ ღღეში!“ ასე რომ უთხრა, მაშინვე ისიც გაება მახეში.

და ახიც იყო იმაზე! ბევრად არც სამწუხარია, სხვისი მარცხი და ხიფათი მისი რა გასახარია?

64. მსოფლიო ყრილობა

მგელს უნდოდა დამდგარიყო
ერთხელ ცხვრების მოურავად,
მაგრამ რადგანც ვერ ამხელდა
ამ გვარს სურვილს თავის-თავად,

მოიქრთამა მელა კუდა,
ის ცბიერი და უკლისა,
ერთგული და მოსული ყმა
ბატონ ლომი მეუღლისა.

შეაბრალა მგელის თავი,
საჩუქრებიც მიუტანა
და მომრიგე შუამავლად
სიფრთხილით ლომს მიუგზანა.

ლომმა მგელის სამსახური
თუმც თვითონ არ იუარა,
მაგრამ მაინც საარჩევნოდ
სხვებსაც თავი მოუყარა.

ყველას ჰკითხა: „თუ ივარგებს
მგელი ცხვრების მოურავად?—
ყველამ აქო და არც ერთმა
არ ახსენა მგელი ავად.

აღარც ცხვრებმა!.. მგელი იმათ
მაინც აღარ იუარეს?
ვინ ჰკითხავდა იმათ რამეს!
ყველა გარედ გამოჰყარეს.

65. ხარი და ძაღლი.

ერთხელ საბრალო გლეხის ოჯახში
წალაპარაკდნ ხარი და ძაღლი.
ამან ეს უთხრა, იმან ის უთხრა,
ჰკადრეს ერთმანეთს ცუდი მრავალი.

ძაღლმა სთქვა: „ნეტავ, რას იბე-
რები?
რას ჰქვიათ შენი ამაცობაო!

სულაც არ იყო შენ ამ ოჯახში,
იცოდე, არც კი დაეტყობაო!

ხენა და ლეწვაში რომ სახმარი ხარ,
თავი ნუ მოგაქვს ამით ტყვილაო!
და სხვა ხელობა შენი ან საქმე
აბა თუ სადმე გავინილაო?

მეკი სულ სხვა ვარ ამ ოჯახისთვის!
შენ აბა როგორ შემედრებიო?
თუ მე არ ვიყო ამ სახლის მცველი,
ამოგადებდნ ცივათ მტრებიო!“

ხარმა მიუგო: „ეგ მართალია,
სწორედ არა ხარ უმსახურიო,
მაგრამ მე თუ არ ვხნავდე, ვლეწავდე,
რალა გექნება სათვალყუროო?“

66. ჰირვეული თაყადა.

„დალიე! ღმერთმა შეგარგოს!..
გადაჰკარ, ჩემო ძამია!“

— „დამაცა! რა დროსი არის?
ჯერ პურიც არ მიჭამია!

— „რა ვუყოთ?! ვერ მოესწრობი?!
წინ არ გიწყვია საჭმელი?

ალავერდს მოვალ, დაიჭი!
ამ სასმისს მოჰკიდე ხელი!

ოჰ... ეგრე არ სჯობს?! გამოს!
ჩაყლურტე შენი სულისა!...

ახლა ეს თასიც დასცალე,
მაგანაც გამაგულისა!“

— „ასე ზედი-ზედ? რას ჩქარობ?
დამაცა, სული მოვითქვა!

უზმოზედ ღვინომ მიხამა,
გულზე დამაწვა, როგორც ქვა.“

— „არა უშავს-რა, გადივლის,
„მოჰკლასო ხარი თივამო“.

მასპინძლის სადღეგრძელოა,
და ნუ თუ გულით არ სვამო?“

— „არ შემიძლია და რა ვქნა?!“

— ეჰ, ნუ ხარ ქირვეულიო!
ორივე ხელით იჭკევა
ქადა, თუ გულობს გულიო!“

— „აგრე არა სჯობს? შეგარგოს?
დასცალე, რისა გრცხვენია?
გწყალობდეს მაგის ხედაშე,
ხომ ხედავ ლალის წვენიას!

ეს აზარფეშაც დასცალე,
შეკრული ნუ გაქვს კბილები!
უნდა დავლოცოდ მასპინძლის
კარგი ცოლი და შვილები!..“

— „მოვკვდი ბატონო!“ — „რა გი-
შავს?“

— „რა ვქნა, რომ შეტს ვერ ავიტან?!“

— „გაბედე! რა დროს ეგ არის,
მადაც მოგივა თანდათან!

რომ მოუწყინო მასპინძელს,
სირცხვილი არის, ხომ იცი?“

— „კი, მაგრამ არ შემიძლია!
არც ჯერი გადის... არც ფიცი?!“

ძალას ატანდა ამგვარად
ერთხელ სტუმარსა თამადა,
სტუმარს კი ნაძალადევი
ღვინო მიაჩნდა შხამადა.

არ იქნა... აღარ მოეშვა
და რომ არ მისცა საშველი,
ზე წამოვარდა სუფრიდგან,
ქუდს მიატანა მან ხელი,

და თავს უშველა, გაიქცა:
„თავს ვერ შევსწირავ ღვინოსო,
მასპინძელიც და თამადაც
ღმერთმა კი შეარცხვინოსო!“

67. თაგვი და ვირთხა.

თაგვი შევარდა ვირთხასთან
და მიაძახა: „ბიძაო!
ახლა-კი ჩვენს მტერს, წუწკ კატას
გაუსქდა დედამიწაო.“

ლომს ჩავარდნია ბრჭყალებში,
ველარ დაიხსნის თავსაო!
გადავრჩით ამიერითგან,
ველარც ჩვენ გვიზამს ავსაო.“

ვირთხამ მიუგო: „რას ამბობ?
რას მიგდ მოედებიო?
მაგრე ჩერჩეტი როგორ ხარ,
რომ შენით ვერ მიხვდებიო?“

განა არ ვიცნობ კატას ჩვენს?!
ვინ გაუბედავს ომსაო?
საქმე ბრჭყალებზე თუ მიდგა,
ის არ აჯობებს ლომსაო!“

ბევრჯელ ამ გვარი ამბავი
ჩვენ შიაც გამიგონია;
მოშიშარს ვისიც შიში აქვს,
ის უძლეველი ჰგონია!

68. ყვავილი და ლანდი.

ბავშვმა ლანდის
მოინდომა დატერა,
გამოუდგა,
ხან აქ, ხან იქ ეძგერა,

მაგრამ ხელი
ვერ მოაფლო არ იქნა,
გაუკვირდა
და გონება დაებნა.

როცა მისდევს,
გაუტრბის, ერიდება;

თუ გაჩერდა,
 ლანდიც მის წინ ჩერდება.
 სთქვა: დამცინის...
 ან მეთამაშებაო!
 რომ გაუშვა
 სწორედ არ იქნებაო.
 დიდხანს სდია,
 მაგრამ ვერაფერს გახდა,
 მის ღვეწაში
 კილამ სული ამოჰხდა.
 მოეწყინა,
 მოშორდა, აღარ უნდა,
 დარღალა,
 სახლისკენ გამობრუნდა.
 მაშინ ლანდიც
 აედევნა მას უკან,
 არ შორდება,
 ყოველ ბიჯზე დასდევს თან.

ბედიც სწორედ
 ამნაირად იქცევა;
 თუ რომ მისდევ
 გარბის... უკუ გიღვება
 თუ გაურბი,
 თვითონ გამოგიღვება.

69. თ რ ი თ ი ნ ა.

ლომმა მოსამსახურედ
 აირჩია თრითინა
 და მანაც ერთგულება
 მისი გამოიჩინა,
 ოღონდ კი ბატონისთვის
 მას რამე შეეძინა,
 და თავს არ იზოგავდა
 თითქმის აღარ ეძინა

ბატონიც, მადრიელი,
 წყალობას ჰპირდებოდა,
 მაგრამ ჯერ-ჯერობით კი
 მსახურს სული ხდებოდა.
 სხვები, მისი ტოლები,
 დახტოდენ თავისუფლად!
 ეს კი ბატონთან იყო,
 როგორც ტუსალი ობლად.
 მისი ამხანაგები
 რომ აკნატუნებდენ თხილს,
 შორიდან შეჰყურებდა
 და ოცნება სჭრიდა კბილს.
 იდგა მარტო იმაზე,
 უცდიდა დანაპირებს;
 ერთხელაც არის, ლომი
 დიდად დაასაჩუქრებს.
 უცდის... „ღღეს და ხვალობა“
 აღარ გამოილია,
 მაგრამ რა გაეწყობა?!..
 იმედიც კი ტკბილია!..
 როგორც იქნა ბოლოს დროს
 მისცეს თავისუფლება!..
 წყალობაც მისთანა, რომ
 მეტი არ შეიძლება!..
 რომ აღარ იცინცილოს
 სხვებსავით მანაც ტყეში
 და უზრუნველიც იყოს,
 მოსვენებით... მის ღღეში.
 დაუნისნეს პენსიად
 მას თხილი ერთი გუდა
 და სთქვეს; „ღმერთმა შეარგოს
 სჭამოს რამდენიც უნდა!..
 ვინ იტყვის ამის უარს?
 კარგი საჩუქარია,
 მაგრამ საწყალ თრითინას
 კი არად უხარია!..

ამ გვარი მოწყალეა
 ორქოფი და ჭრელია:
 „არც მწვადსა ჰსწვავს, არც შამფურს“
 და არც სანატრელია!

სანამ საწყალ თრითინას
 კბილები მაგრად ჰქონდა,
 არავინ რას აძლევდა,
 თუმც ბატონს კი მოსწონდა.
 ახლა, როცა სიბერით
 აღარ შერჩა კბილები,
 რაღათ უნდა საბრალოს
 ან წაბლი? ან თხილები?

70. შუკაშუპალაები.

იყო ძველათ ხელმწიფე
 ბუნებითაჲ ჭკვიანი,
 მაგრამ სუყოლიფერზე
 როგორღაც იჭვიანი.

სძულდა მეტად სისხლის ღვრა,
 არ უყვარდა ომები
 და სცხოვრებდენ მშვიდობით
 მისი ქვეშევრდომები.

მაგრამ ზოგჯერ მისთანა
 მოუვლიდა აზრები,
 რომ მთლად აერეოდა
 სახელმწიფო დავთრები.

ერთხელ ზრუნვა-ფიქრის დროს
 იჭვმა რომ მოუარა,
 სთქვა: სწავლა განათლება
 საჭიროა თუ არა?

რამდენიც კი მინახავს
 ნასწავლი, მეცნიერი,
 არ მახსოვს, რომ არ იყოს
 ყოველთვის თავის მტერი.

სხვანაირ ყოფა-ქცევით
 ტყვილა ხალხს აფეთებენ,
 სხვებს სწუნობენ და თვითონ
 კი არას აკეთებენ.

არ აჯობებს, რომ სწავლის
 აღარავის მივსცე ნება
 და ახლავე გამოვსცე
 საზოგადო ბძანება?
 სთქვა, მაგრამ გადაწყვეტა
 არ მიიღო თავზედა,
 უნდა სხვებს დაეკითხოს
 ის კარგსა და ავზედა.

შეჰყარა სახელმწიფო,
 მათგან ელის შევლასა,
 დიდსა და პატარასაც
 რჩევას ჰკითხავს ყველასა.

ერთი მხარე ამტკიცებს,
 რომ სწავლა არ ვარგია!
 მეორე არ თანხმდება
 და იძახის: „კარგია!“

და შესაფერ საბუთებს
 იდგენს ორივე მხარე,
 იმის მიხედვით, სწავლის
 მტერია თუ მოყვარე:

„დაგვბადა პირუტყვებზე
 ღმერთმა უკეთესადო
 და მიტომ სწავლა-სიბრძნეც
 დაგვიდგინა წესადო.“

უსწავლელო კაცისგან
 სიკეთეს ნუ ელიო!
 სწავლა სინათლე არის,
 უმეცრება ბნელიო.“

ზოგი ასე ამბობდა,
 ზოგიც სულ სხვანაირად:
 „რად გვინდა განათლება
 საბოროტოდ და ჭირად?“

აბა ერთი გვიჩვენეთ
იმისთანა სწავლული,
რომ გადაბრუნებული
არ ჰქონდეს ჩვენზე გული?

იმათ ჩვენი, ჩვენ მათი
სულ არა გავვეგება,
ტყუილია, იმათი
მოწონება და ქება!..“

ბევრი ითქვა ამ გვარი,
მაგრამ არ გადამწყდარა,
სანამ მეფე არ გაწყრა
და ყველა არ გაყარა.

სთქვა: „ეს ხალხი ბრბო არის,
ბრბოსავითაც ყაყანებს...
ახლა შევკრებ სხვებს, ცოტას,
მაგრამ ყველას ჰკვიანებს.“

შეიკრიბენ ისინიც
სათათბიროდ წლის-წლობით,
და ვერ გახდენ ვერაფერს
უთანხმობა-ცილობით.

საქმის გასაგრძელებლად
იმათ გაეკრათ პირი,
რადგანაც ეძლეოდათ
დიდ-ძალი ჯამაგირი.

მიხვდა მეფე მათ ხრიკებს,
დაჰგმო ის სამსახური
და ყველა სულ გაჰყარა,
დარჩა ხვთის უმადური.

იმ დროს გაჩნდა უეცრად
ვიღაც მოხუცებული,
უდაბნოში ნამყოფი,
სიბრძნით ყველგან ქებული.

სახე ჰქონდა დამკნარი
და მაინც შვენიერი,
მუხლებამდი ეყარა
დახავებული წვერი.

მეფემ ჰკითხა: „მოხუცო,
გკითხავ და შენ მითხარი:
შენის აზრით, ვინა სჯობს:
ბრძენი, თუ უმეცარი?“

მოახსენა: მე ჰკუის
ვერ ავანთებ ლამპარსა,
მაგრამ, თუ არ შემრისხავთ,
მოგახსენებთ ზღაპარსა:

ერთი მოხუცი მეთევზე
იღვა ზღვის პირათ ინდოეთს;
ბადეს ისვრიდა, სხვა რამეს
ვერ ახერხებდა ამის მეტს!

სულ წყალში იღვა, ცდილობდა
და სიმწრის ოფლი სდიოდა,
მაგრამ ბევრს ვერას იძენდა,
დღიურად გამოდიოდა.

ბევრი შიმშილი, წყურვილი
და ტანჯვა გამოიარა,
რომ მოკვდა ბადე დასტოვა...
სხვა არა დარჩენიარა.

შვილებმა მეთევზეობა
დაჰგმეს და აღარ იკადრეს,
იქვე იმ ზღვისვე მახლობლად
სულ სხვა ხელობა ინატრეს.

სთქვეს: ზღვაში ხამი არა ვართ,
მკურავეები ვართ პირველი;
და თევზის ჭირვის მაგიერ
სხვა რამეს მივყოთ ჩვენ ხელი!

დაუჯდა რჩევა სამივეს,
კიდევ შეუდგნენ საქმესა
და მკითაც ისვე მოიმკეს,
რაც თვითთულმა დასთესა:

უფროსი იყო ზარმაცი,
შრომას რომ ერიდებოდა,
არ ისველებდა წყალში ფეხს,
ზღვას არცკი ეკარებოდა.

ამბობდა: მე რაც მეყოფა
აქაც მოვნახავ ხშირ-ხშირად,
როდესაც ღელვა სარდაფებს
აქ გამოაგდებს ზღვის პირად.

მართლაც ხან-და-ხან ჰხედავდა
გამონაგდებსა ზღვისასა,
მაგრამ რომ არა ჰყოფნიდა,
ლოკმას ნატრობდა სხვისასა.

მეორეს შრომა უყვარდა,
ზღვას როდი ერიდებოდა
და ყურყუმალი მცურავი,
ზღვაში თევზივით ძვრებოდა.

ბევრჯელ იპოვა სარდაფში
მან მარგალიტი ობოლი:
და კიდევ ისე გამდიდრდა,
რომ არ ჰყოლია მის ტოლი.

მესამე იყო გულ-დიდი,
ხარბი და გაუმადლარი
და სინამდვილეს ერჩია
მხიბლავი რამე ზღაპარი.

სთქვა: „თურმე შუაგულ ზღვაში,
იქ, სადაც მისი ფსკერია,
მარგალიტს გარდა სხვაც რამე
ძვირფასი ნივთი ბევრია.

იქ წავალ, იქ მივადგები
ზღვას გაუსინჯავ მე ფსკერსა,
სიმდიდრე სულ მე დამჩება,
თვალს დაუყენებ ჩემს მტერსა!..“

სთქვა და ჩაეშვა უფსკრულში,
ჰსურდა გაეპო ზღვის გული,
მაგრამ უფსკრულმა ჩაჰყლაპა,
ეშმაკის ატროვებული.

სწორედ ასეა, ხელმწიფევე,
სწავლა და მეცნიერება;
ვისაც სწამს და ვინც დაეძებს,
მიელის ბედნიერება!

და ვისაც არ სწამს... არ სჯერა...
აღვრეული აქვს გლახ-გული;
რალა თქმა უნდა, რომ იმას
მალე ჩაჰყლაპავს უფსკრული.

ქალბატონი და მოახლეები.

იყო ერთი ქალბატონი
ბებერ-გამოყრუებული;
ავზედაცა და კარგზედაც
თანსწორ მოსდიოდა გული.

აღელდა და იწყო ღრენა
სიყმაწვილზე რომ დაჰკარგა!
„ეს არ მინდა!.. ის არ მინდა!;
ეს არ ვარგა!.. ის არ ვარგა!“

წუწუნებდა... პირზე ეკრა
ხან წყევლა და ხან გინება!
აწუხებდა თავის თავსაც,
არც სხვებს ჰქონდა მოსვენება.

მაგრამ სხვებზე უფრო მეტად
მოახლეებს აწუხებდა;
უსაქმურად თუ ნახავდა,
როგორც ძაღლი ისე ჰყეფდა.

და მთელი ღღე საცოდავებს
აღარ ჰქონდათ მოსვენება...
მათთვის აღარც ღამე იყო,
აღარც ღროზე გათენება.

მამალი რომ იყივლებდა,
ფეხზე იდგა დედაბერი;
უნდა რიგზე მოეყვანა
საოჯახო ყოლიფერი.

და აღარც სხვებს ასვენებდა
ჰაი-ჰუით უფროთხობდა ძილს
და საზღვარი აღარ ჰქონდა
მოახლეების გულის წუხილს.

ვერ გაუძღეს და შეითქვენ:
უნდა მოვჰკლათ მამალიო!
მეტი შველა აღარ არის,
არა გვაქვს სხვა წამალიო.

და კისერი მოუგრიხეს
იმ საბრალო მყივანს შარდათ...
მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს
რაც რომ იმათ დაემართათ:

უმამლობამ დედაბერი
უფრო მეტად გააფრთხილა.
და სულ იმის ფიქრში იყო,
რომ არ გაპაროდა დილა.

არ უცდიდა მამლის ყვილს,
არც აცლიდა გათენებას
და ჯერ ისევ ბურანში მყოფს
არ აძლევდა მოსვენებას!

უბედურ კაცს ცხოვრებაში
სწორეთ ასე ემართება,
წყალს როგორმე თუ გადურჩა.
მაინც ცეცხლში ჩავარდება.

ალმასი და რიშის ქვა,

ერთხელ ვაქარმა მინდორში
იპოვნა დიდი ალმასი,
დაავლო ხელი, რადგანაც
იცოდა მან მისი ფასი.

წავიდა, მეფეს მიჰყიდა,
ფულები დაათვლევინა,
მეფემაც მისი ალმასი
გვირგვინში ჩაასმევინა.

ეს რომ გაიგო სიპმა-ქვამ
გაოცდა, მეტად გაჰკვირდა
და სთქვა: სატახტო ქალაქში
ნუ თუ ქვა ასე გაძვირდა!

რომ კენჭი რაღაც ბრჭყვიალა,
ჩემთან ნაგდები პატარა,
მოწონებია ხელმწიფეს!
და საგვირგინე გამხდარა.

მე ხომ იმაზედ მეტიც ვარ
და მძიმეც ერთი ორადო?
და რა თქმა უნდა, რომ მეც იქ
ველირებოდი ფასადო!

თუ კი ის ჩასვეს გვირგვინში,
მე ვინლა გამაჩერებსო
და მაშინ ჩვენი შვენება
ქვეყანას გააშტერებსო.

ასე ჰფიქრობდა და იმ დროს
მეურმემ გამოიარა,
მას შეეხვეწა სიბი ქვა,
გეთაყვა, წამიღე ჩქარა:

ხომ იცი არ დაგამძიმებ,
შენ მიპიტანე ქალაქში!
და სადაც გინდა დამაგდე,
გინდ მტვერში, გინდა ტალახში!

მადლს იხამ: იქ რომ ფიქნები
გამვლეელი მომკრავს ვინმე თვალს
და მერე ჩემდა თავათვე
მევე გავიკვლევ გზა და კვალს.

კეთილი იყო ის გლეხი...
დასთანხმდა... არ აწყენია!
დაუდჭა ხელად ურემზე
ქალაქში ჩაარბეინა!

იქ ქუჩის პირად დაავდო,
წინ გაუგორა გამვლეელსა,
ქვა დიდხანს ეგდო უძრავად
არვინ ჰკიდებდა მას ხელსა.

ბოლოს წაიღეს, მაგრამ რად?
ყორეში ჩასაკვეტებლად
და არა მეფის გვირგვინის
შესამკობ-დამაშვენებლად.

ჰვა და მატლი.

ერთ ყანაში დიდი ლოდი
იყო მისთვის მიგდებული,
ხმას ვინ სცემდა, მაგრამ მაინც
მოუვიდა ერთხელ გული:

„ახა ღმერთო, რომ კაცების
არაფერი გამეგება;
და არაფრათ არ ღირს მათი
ხრც გინება და არც ქება!

როცა ახლა ამ წვიმაზე
სიხარულით გადირიენ?!
თოხით, ბარით და სახნისით
დედა-მიწას დაერიენ.

ეს უხაპუნა ბრძევი წვიმა
ერთ ღამესაც არ ყოფილა,
მაგრამ მაინც ყველა ლოცავს
და მადლს უხდის ესე ტყვილა.

მე სულ აქ ვარ, ამ ყანაში
ხმას არ ვიღებ წლიდან წლობით
და არავინ არ მიყურებს
კარგის თვალით და მადლობით!

მატლმა უთხრა; „რაებს რომავ?!
ნუ თუ მართლა გული გწყდება?
სად წვიმა და, აბა, სად შენ!
და ეს როგორ გავიწყდება,

რომ იმ ერთი ღამის წვიმამ
თან ჰაერი გააგრილა
და გამხმარი დედა-მიწაც
სამუშაოდ დააღობილა?

მართალია, დიდი ხნიდან
ამ ყანაში რომ აგდინხარ!..
მაგრამ რაო?—რას აკეთებ?
ვის უნდებხარ? ვის არგინხარ?

უსარგებლო კაცი როცა
სასარგებლოს ეჯიბრება,

ამისთანა სწორი სიტყვა
იმასაც კი ეკადრება.

მეფუტკრე დათვი.

ერთხელ მხეცებმა დათვი
მეფუტკრედ დააყენეს!
თაფლის წუწკი რომ იყო
ის აღარ მოუხსენეს.

სხვამ ვინც კი მოინდომა
არ მიიღეს... გაყარეს
და სკები სავსე თაფლით
დათუნას მიაბარეს.

დათუნაც გამოდგა
მოურავი მისთანა,
რომ თაფლი, რაც კი ნახა,
სოროში გადიტანა.

შეუტყვეს და აყვირდნენ,
მისცეს ის სამართალში,
მსაჯულებიც სასტიკად
ჩაუდგენ საწყალს კვალში.

გამატყუნეს დასაჯეს
პირ-მყრალი და პირ-როში:
თითქმის მთელი ზამთრობით
ჩამწყვდიეს სოროში.

გამოეთხოვა ყველას
საცოდავი დათუნა,
სიმართლით განაჩენი,
რომ ველარ დაიწუნა.

იჯდა სატუსალოში,
სადაც ვერ ვინ ნახავდა—
და ჯაერის გასაქრობლად
თაფლიან ფეხს სლოქავდა!

სარკე და მაიმუნნი.

მაიმუნმა თავის თავი
სარკეში რომ დაინახა,
დაპრანჭული, დაჯღან ული,
დათვს წასტორა, მიაძახა:

„მოდო, ერთი ჩაიხედე!
რა გიჩვენო დათუნაო?
ვინ არის და სად მოსულა
ეს მახინჯი და ტუჩაო?“

მე რომ ვიყო მაგისტანა,
დავმალავდი სწორედ თავსო,
თუმცა ჩვენში კი ბევრია,
რომ სრულებით მაგას ჰგავსო!“

დათვმა უთხრა: „ჩემო დაო!
რად ათითებ ტყვილა სხვებსო?
შენს თავზე რომ დაიხედო,
მე ვგონებ ის აჯობებსო.“

მწყემსი და კოლო.

მწყემსი ძაღლის იმედითა
ჩრდილში მიწვა, მიიძინა,
და თურმე აქ მის მახლობლად
შხამიან გველს ჰქონდა ბინა.

რომ შეხედა, დაიკლაკნა,
შიაშურა სრიალითა,
გესლიანის ორკაპ ენით,
სისინით და ტრიალითა.

თუ ეკბინა საბრალოსთვის,
გესლი სისხლში ჩაეცალა,
მწყემსი იქვე სულს დალევდა,
მაგრამ კოლომ შეიბრალა.

მიაფრინდა მძინარს ცხვირში,
შიგ ისარი გაუყარა,

გაამწარა, მაგრამ ის-კი
სიკვდილისგან დაიფარა.

აღგა, თვალი გაახილა,
ჯოხს დაავლო იქვე ხელი,
გადუქნია მომარჯვებით,
ერთის დაკვრით მოჰკლა გველი.

მაგრამ უმაღ, სიმწარე რომ
იგრძნო კოლოს მან ისრისა,
ცხვირზედ ხელი შემოიკრა
და კოლო ზედ მიისრისა.

ამისთანა მაგალითი
ბევრი არის ამ ცრუ სოფელს:
როცა ძლიერს სუსტი ვინმე
სასიკეთოდ თვალს აუხელს,
ის სიკეთის მაგიერად
მის მხსნელსა და მის მოკეთეს
გასწირავს და უმაღ მასვე,
როგორც კოლოს, ისე გასრესს.

გლეხი და სიკვდილი.

ზამთარში მხარზე გაედვათ,
შეშა მოჰქონდათ გლეხებსა,
ტალახში მოტყაპუნობდენ,
ძლიერს მოათრევდენ ფეხებსა.

ერთი მოტანა ჩამორჩა,
მუხლმა უმტყუნა დაღალულს,
ძირს დასდვა კონა, მიეყრდნო
და ასკდებოდა თავის გულს:

„ეტყობა, ღმერთმაც გავეწირა,
ავგალო გლეხებს ხელიო!
სულ მუდამ შრომა და შრომა
უსუსტრად სატანჯველიო!“

ჩვენი ნაშრომი სხვებს:— და ჩვენ?
ოფლის და ცრემლის დენაო!

არ სჯობდა საწყლებისათვის
ამ ქვეყნად არ გაჩენაო?..

რა არის ჩვენი სიციცხლე!
სიკვდილი გვენატრებაო,
მაგრამ არ ესმის იმ ოხერს!
აღარც ის გვეკარებაო!..

ეს რომ სთქვა, განჩადა, იახლა
სიკვდილი, როგორც შინა ყმა
და მის დამნახავ მომჩივარს
შიშით აუდგა თავზე თმა...

ჩონჩხად ასმული სიკვდილი
აბრიალებდა ცეცხლად თვალს
და სულის ამოსახდელსაც
ატრიალებდა თან ჩანგალს.

უთხრა: ჩემ სახელს ახსენებ
და მე მეძახი, მგონია,
ნუ დამიფარავ... მითხარი
რაც გასაჭირი გქონია!

და აგისრულებ... ამაზე
არ გაგაწბილებ იცოდე! —
თუ მოგატყუო, მაშინ მეც
დე შენისთანად ვიწოდე.

სიკვდილის ამ გვარ სიტყვებმა
საბრალო გლეხი დააფრთხო,
შიშმა მუხლები მოჰკვეთა
და სიკვდილის წინ დაამხო.

სთქვა: არა! ჩემო ხელმწიფე,
ვერ შეგაწუხებ, ვერაო!
თუ ყური მოჰკარ ჩემ სიტყვებს
ის მართლა კი ნუ გჯერაო!

რას გაგიბედავთ და რას გთხოვთ
თქვენი მორჩილი მონაო!
გარდა იმისა რომ მძიმე
ზურგზე ამკიდო კონაო!

ვინ არ იტანჯვის ამ ქვეყნად
და ვის არ დაუკვნესია?

მაგრამ ყოველ გვარ ტანჯვაზე
სიკვდილი უარესია.

ს ვ ი ა.

ერთ ბალში ღობის მახლობლად
თავი ამოყო სვიამა
და ახლოს სარი რომ ნახა
გადაეხვია... იამა.

ჩიეკრა, უსურ-ვაზივით
ეგრიხებოდა ნელ-ნელა;
დაბლიდან შეჰყვა და წვერში
შეჩერდა, გადუყელ-ყელა.

და უთხრა მადლი ბედს, გამჩენს!..
რა კარგი რამ ხარ საროო?!
შენთან ვერ შოვა ვერც ე ის,
აგერ რომა დგას საროო!

მართალი არის ნედლია,
ფოთლებში გახვეულიო,
შტოებიცა აქვს და მაინც
ვერ აქვს საგულეს გულიო.

ხან ქარი ურხევს შტოებსა,
თოვლი ძირს უხრის თავსაო;
ქექა-ქუხილის შიში აქვს,
სეტყვისგან ელის ავსაო.

და შენ კი მაგრად არქვიხარ,
ბრ ებუები ავდარსო;
ყოველ ხეს სჯობხარ სიკარგიდ,
შენ შემოგველონ სულ გარსო.

ბევრი რამ უთხრა ამ გვარი,
გამოაყრუა ქებიოთა
და თანაც გარს ეხვეოდა
თრთოლვით და მოწინებითა.

არ გაუვლია არც ერთ თვეს,
პატრონმა სარი მოთხარა

და მის ადგილას გადმოირგო
ბაღში საროს ხე პატარა,

სწორედ ის, რომელსაც სვია
ისე გულდაგულ ლანძღავდა.

ხემ გაიხარა და მალე
ფესვიც გაიდგა... აჰყავდა.

მიჩოჩდა სვია მასთანაც,
როგორც პირ-მომთნე მსახური,
შემოეხვია დაუწყო,
იმასაც ქათინაური.

„ძლივს! როგორც იქნა, გველირსა
თქვენი აქ მობრძანებო!

რომ მაგონდება ახლაც კი—
აქამდი მეცინებო,

რომ თქვენს ადგილზე აქ ერქო
ერთი გამხმარი სარიო,

უქერქო, უშტო, უფოთლო,
წოწოლა საზიზღარიო!“

ბევრი სხვაც უთხრა ამ გვარი
პირ-მომთნე სვიამ საროსა,

რომ დააჯეროს როგორმე
და თავი შეაყვაროსა.

ჩვენშიც ბევრია ამ გვარი
გრეხია სვია-კაცუნას..

ძალღივით ჰგორვენ ყველას წინ
თუ ხელი მოუცაცუნა.

ცილის მწამებელი და გველი.

ჯოჯოხეთის კარზე შედგა
ერთხელ ცილის მწამებელი

და იმ დროსვე შხამიანი
ამოუდგა გვერდში გველი.

„ჯერ მე შევალ!“— „არა მგო!“
მოუვიდათ იქ ცილობა,

აიშალნენ, დაავიწყდათ
ძველებური გაზრდილობა.

„გველმა უთხრა: „პირველობა
მე შემფერის, სწორედ მეო,
რადგანაც რომ იმ ქვეყანას
ბევრი კაცი დაეშხამეო.“

კაცმა უთხრა: „მართალია,
განთქმული ხარ გესლითაო,
მაგრამ მე კი რა ნაკლე ვარ
ბოროტ სიტყვის თესლითაო?“

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,
კაცი მაინც გაუძალდა,

მაგრამ გველმა არ აცალა
და წინდაწინ შესრიალდა.

ბელზებელმა შემოხვდა
და გველი რომ დაინახა,

„რა თავს იგდებ, შე უზრდელიო?“
„გაჩერდიო!“ ღიუძახა.

ვისი ტიკი ტომარა ხარ,
ღირსეულს რომ არ აცლიო?!
მართალია, დიდი არის

შენი შრომა და ღვაწლიო,
მაგრამ შენ რომ კაცებს ჰკლავდი

ახლო-მახლო კბენითაო,
ცხრა მთას იქით გულს უხეთქდა

ეგ სხვებს მწარე ენითაო.

პირველობა მაგისია,
შენ ნუ სცდილობ ტყვილადაო!

და ჩემგანაც ნაკურთხია,
ჯოჯოხეთის შევილადაო!“

სიკვდილი და გლეხი.

ტყილამ კაცი მოდიოდა,
წამოედგა მხარზე შეშა,

სიმშობლმა რომ შეაწუხა
და სიცივემ გააშეშა,
გადაადგლო სიმწრით კონა.
და დაიწყო საყვედური:

„ნეტავ სხვაც თუ კიდეც იყოს
ჩემისთანა უბედური?“

არ ვიზოგავ თავს და წელში
ვიღუნები და ვიხრები;

ამ დილიდამ საღამომდე
კოდვის ოფლში ვიწურები,

მაგრამ მაინც ვერას გავხდი,
კოლშვილსაც ვერ მოუარე;
ყველა ერთად თავზე მაწევს
ბატონ-ყმა და მტერ-მოყვარე.

ან ჩემ სარჩოს ვერ აუვალ
და ან ქვეყნის გარდასახადს!
ვერ ვიშორებ ბოქაულებს
ოჯახიდამ, როგორც სახადს.

სიკვდილიც რომ აღარ მოდის,
ის წყეული, ის უენო!?

ნეტავ ერთი ბარემ მომკლას,
რომ მოვრჩე და მოვისვენო!“

რომ წარმოსთქვა ეს, სიკვდილი
გაჩნდა უცბათ ცელით ხელში;
წამეტანის შიშით გლებ-კაცს
მოებჯინა სული ყელში.

უთხრა: „კაცო, რად გაყვითლდი?
რას ჰკანკალებ, როგორ წახდი?
მახსენე და გამოვცხადდი!
აბა რა გსურს? რად მეძახდი?“

„მე, ბატონო?! მე... არაფრად!
ეს კონა რომ დავარდა ძირს,
მარტო ველარ მოვერიე!..
მძიმე არის, აწვევა სჭირს.

და ეგება მომეხმაროთ,
ამასა გთხოვთ... თორე მე სხვა

თქვენთან საქმე არა მაქვს-რა,
არ მომეცეს თქვენი რისხვა!“

მომღურავი ბაყაყი.

მთის ძირად სადღაც ქაობში,
სცხოვრებდა ერთი ბაყაყი,
უკმაყოფილო მის ბედზედ,
მეტის მდომელი, ამაყი.

ამბობდა: „ჩემი აქ ყოფნა,
არ არის საკადრისიო,
მე უნდა მქონდეს სხვა ბინა,
უკეთესის ვარ ღირსიო!“

მალლა აცოცდა მთის წვერზე,
იქ გამონახა ადგილი,
თავ-შესათარი, სოველი,
გადაბურული და გრილი.

ჯერ კარვად იყო, სანამდი
არ დადგა მკაცრი ზაფხული!
მაშინ კი სიცხით გამომშრალს
ლამის ამოხდა იქ სული.

დაიწყო კვნესა და გამჩენს
შესტირა: „მომეხმარეო!
ის ტბა რომ მოსწვდეს აქამდე,
წარღვენი არე-მარეო!“

გამჩენმა ბრძანა: „უგნურო!
შენთვის გავსწყვიტო ერიო?
სიდგანაც ამოთრეულხარ,
იქითვე წაეთერიო!“

ბევრი კაცია რომ ამბობს:
„ეს არის ჩემი მცნებაო,
თუ მე კი აღარ ვიქნები,
ქვა ქვაზეც ნუ იქნებაო!“

ლ რ უ ბ ე ლ ი.

ერთს წელიწადს როცა წვიმა
არ მოსულა ერთი ცვარი,
გვალვა დადგა ქვეყანაზე
საარაკო, საოცარი.

ის თქვენს მტერს, რაც მაშინ
მუშებს
კარს მიადგა გასაჭირი!
მიწას აღარ მოეკილა
სახნისი და თოხის პირი.

„ღმერთო, წვიმა მოიყვანე!“
იძახოდა მთლად სოფელი,
და მართლაც, რომ ბოლოს მთილამ
წამოვიდა სქლად ღრუბელი.

წამოვიდა, მაგრამ ისე
გადიარა მთა და ბარი,
რომ მიწაზე დავარდნილი
არ უნახავთ წვიმა ცვარი.

გადავიდა ზღვაში და იქ
იწყო წვიმა საოცარი.
გაუკვირდა ხალხს და ცრემლით
დაიწერა ჯერ პირჯვარი.

და მერე სთქვა: „მოდით და ამ
ღრუბელს ჰკითხეთ სამართალი!“
რად უნდოდა იმ ზღვას წვიმა,
განა აკლდა სადმე წყალი?

მათხოვარი და ბედი.

ღარიბი და ლატაკი,
საბრალო მათხოვარი
კარდაკარ დალოლაგდა,
სიმშლით ცოცხალ-მკვდარი.

კანკ. ტიტველს, ფეხ-შიშველას
და მონატრულს ქულისა,

არაფერი ებადა
გარდა ძველის გულისა.
შემყურე მდიდრებისა,
იყო გაკვირვებული!
„რა არის, რომ ვერ ძღება
იმათი ხარბი გული?“

საკმაო აქვს ყველასა
და მაინც მეტს ნდომობენ,
ფუჭს ცხოვრებას ებრძვიან,
შფოთავენ და ომობენ.

მე ვიცნობდი ერთს ვაჭარს!
რაც უნდოდა, კი ჰქონდა,
მაგრამ მაინც ვერ გაძლა,
კიდევ მეტი უნდოდა.

დაეღუპა ხომალდი,
გაღუბრუნდა ღროვბა,
გაკოტრდა და ღღეს საწყალს
ლუკმაც კი ენატრება.

მეორესაც ვიცნობდი,
იყო იჯარადარი,
იმანაც ფეხი წაჰკრა
და ღღეს ღარიბად არი.

მე კი დღიურ საზრდოსაც,
მომცა, დავჯერდებოდი!
ჩემთვის მოვისვებენდი,
ტკბილად დავბერდებოდი“

ეს რომ სთქვა, გაჩნდა ბედი
და ეს უთხრა მათხოვარს:
„კმარა, რაც იგლახაკე,
აწ შევბრალოდი მაცხოვარს.

ამიერიდან უნდა
შენც იყო უზრუნველი!
მოდით, ოქროს ჩაგიყრი,
მოჰკიდე გუდას ხელი!

რასაც გუდა დაიტევს,
ღმერთმა შენ მოგახმაროს,

და სულ მტვრად გადაიქცეს
ის, რაც ძირს დაეყაროს!

უფროთხილდი, არ დაგებნეს,
ან გუდა არ გაგისქდეს!
რომ შენი ოქროები
უცბად არ გაგიმტვერდეს!“

აუესო გუდა, მაგრამ
გლახაკი არ სჯერდება,
სტენის, რაც შეუძლია,
აწვება, არ ჩერდება!

ალარ იცის, რაღა ქნას,
სიამით ესხმის რეტი,
ზედ მაგრად მუხლს აჭირებს,
რომ ჩაეტოოს მეტი.

ბედი ამბობს: „გეყოფა!
გაივსო, დასჯერდიო!“

გლახაკი ევედრება:
„ერთი კიდევ, ერთიო!“

ატენის, რაც ღონე აქვს:
„აბა გენაცვალოვ,
ცოტა კიდევ ჩაჰყარე,
რომ გაივსოს მალეო.“

მაგრამ მეტი გაჭიმვა
გუდამ ვერ აიტანა,
ვასქდა და რაც იქ მოხდა,
თქვენს ორგულს იმისთანა:

ოქროები დაიბნა,
გადაიქცა უცბად მტვრად
და გლახა უმაძლარი
დარჩა ისევ მათხოვრად!

ლონი და მგბლი.

ერთმა ლომმა საბრალო კრავს
დაუყენა ცუდი დილა,

გაგლიჯა და წინ დაიდვა,
მადიანად ისადილა.

იმავე დროს წუწკი ლეკვიც
მიეპარა ნასუფრალზე,
ლომმა არად შეიმჩნია...
სჩანს შეხედა კაი თვალზე.

გაიფიქრა: „ჯერ ლეკვია,
ბრიყვია და უმეცარი!..
და მე როგორ მეკადრება
დავატებო მას თავ-ზარი?“

იქვე იდგა სულ წასული,
პირლია დიდი მგელი.
და იმასაც მოენატრა
კარგი ლუკმა, გემრიელი.

სთქვა: „ეს ლომი ჩემთვის ხომ სულ
არ იქნება დღეს საშიში,
თუ ამ ლეკვმაც კი უძლურმა,
გამოგლიჯა ლუკმა პირში?“

მივიდა და სტაცა კბილი
შეუპოვრად მან კრავის თავს,
მაგრამ, რაც მას დღე დაადგა,
იმისთანა თქვენს მტერს და ავს...“

შეუპოვარს სიბრძევისთვის
კი ასწავლა ლომმა ჭკუა,
როცა მარჯვედ მოიმწყვდია
ბრჭყალებსა და ბრჭყალებს შუა?

უთხრა: სხვისი აყოლა შენ
რა ხელს მოგცემს? რას გარგია?
ის ლეკვია და შენ დიდი!
ეს როგორ ვერ გაგივია?..

ხურო მელის.

ერთი ლომი ქათმებს ზრდიდა,
მაგრამ ველარ მოაშენა!

საქათმე არ უვარგოდა
და არავინ დაუყენა...

ვინც ქათმები დაინახა,
ყველამ წაჰკრა თითო ხელი!
იპარავდა ქორი, მელა,
გამვლელი და გამოშვლელი.

ბრძანა ლომმა: „ამიშენეთ
მე საქათმე სულ ახალი!
იმისთანა, რომ ქურდებმა
ვერ მიავნონ გზა და კვალი!“

მოახსენეს: „ჩვენში გახლავსთ
ერთი მელა კარგი ხუროს
თუ უბრძანებთ, ის ააგებს,
არ დაგრჩებათ უმსახურო!“

მოიყვანეს და უბრძანეს
ხელოვნებებს გამოჩენა,
იკისრა და შეასრულა,
საარაქო ააშენა!..

უნებურად არ თუ ქურდი
ქინქველიც ვერ შეძვრებოდა,
დაიმშვიდა ლომმა გული,
მოისვენა, არ სწყურებოდა.

მისცა ხუროს საჩუქარი
და გაისმა ხალხში ქება,
მაგრამ ისევ აღრინდულად
ქათმები კი იკარგება!..

უთვალყურეს და რა ნახეს?
სასაცინო, საკვირველი!
თურმე მელას თავისთვის კი
დაეჩინა ერთი ხვრელი!

მგელი და გაცხვარეები.

მწყემსებს ცხვარი დაეჭირათ,
დაეკლათ და ატყავებდენ;

ქოფაკებიც იქვე იწვენ
და გულ გრილად უყურებდენ.

ამ დროს მგელმა გაიარა
და ისინი რა იქ ნახა,
დასწყდა გული და სიხარბით
გუნებაში განიზრახა:

„ვერ უყურებთ, რას სჩადიან?
ხმის გამცემი არც ერთს არ ჰყავს!
მე რომ ვიყო, ასტყდებოდენ,
გამაძრობდენ ცოცხლადვე ტყავს.“

გუგული და გვრიტი.

„კაფე! კაფეო!“ გუგული
იძახდა გამწარებული,
და გვრიტი, ახლო მჯდომარე,
ჰკითხავდა გაოცებული:

„რა დაგმართია, დაიავ?
რად მოსთქვამ აგრე მწარედო?
ავად გყავს ვინმე? თუ მოკვდა
და დაგსვა მგლოვიარედო?

ან იმას სწუხდე, ეგებო,
რომ მიდის გაზაფხულიო,
თან მიაქვს შვება-მოლხენა
და ტრფობა-სიყვარულიო?“

გუგულმა უთხრა: „რას ამბობ?
მაგას არ ვსწუხებარ, არაო!
შვილების უმადურობამ
უმართლოდ გამამწარაო.“

ვხვდავ, რომ ყოველ-გვარ ფრინ-
ველს

შვილები ეხვევიანო,
თავს ევლებიან, მშობლებიც
შესტრფიან, შეხარბიანო.

მე-კი აქამდეც არ ვიცი,
რაა ეგ ნეტარებაო!!

გარბიან ჩემგან შვილები,
ერთიც არ მეკარებაო.

ღეღა ვარ, განა უცხო ვარ?
მეც ღედის მიძგერს გულიო!
ამდენხან მამა მათისა
გულს მეღვა სიყვარულიო“.

გვრიტმა მიუგო: „საბრალოვ!
ეგ მიტომ დაგმართნიაო,
რომ შენს ნებაზე ბარტყები
კარგად ვერ გაგიწრთენიაო
სად გქონდა წრეულს შენ ბუდე?
ან როდის იჯექ კრუხადო?
მე სულ უსაქმურს გხედავდი,
დაჭკეიფობდი უხვადო.“

გუგულმა უთხრა: „რას ამბობ?
მაგისტვის სად მეცალაო?
„გუგუთი“ გამოვაყრუე
მინდორი, ტყე და ქალაო.

ღრო სადღა მქონდა ბუდისთვის?
სხვისაში ვსდებდი კვერცხებსო,
იქ გამოჩეკეს! გაზრდიტაც,—
დავაზრდევენე სულ სხვებსო.“

გვრიტმა სთქვა: „რადგანც ღე-
ღობის

დაგვიწყებია ვალიო,
გემართლებიან, რომ სძულხართ
შვილებს, არა აქვსთ ბრალიო!

ვინც გუგულსავით სხვის ხელში
ჩააგდებს თავის შვილებსო,
იმას შეცდომა ბოლოს ღროს
შეარცხვენს, გააწბილებსო.“

ს ა მ ა რ ც ხ ე ლ ი .

პატარა ლამაზ-ბიჭუნას,
ოქროს თმა-ხუჭუჭიანსა,

ცქრიალა-მოუსვენარსა
და იმავე ღროს ჭკვიანსა.

ძვლის სავარცხელი უყიდეს
ხარატულ-აჭრელებული,
შეხტა და შეინავარდა.
მივარდა გახარებული.

ჰკოცნის და გულში იხუტებს,
აღარ იშორებს საჩუქარს,
ოქროს ხუჭუჭში აცურებს,
თავს ურჩევნია რომ უყვარს.

და წამ-და უწუმ ივარცხნის
აბრეშუმის თავს სიამით,
უნდა თუ არა, არ დასდევს,
გინდ ღლისით იყოს, გინდ ღამით.

ერთხელ ცელქობას გადაჰყვა;
როცა სხვა ჯავრი არ ჰქონდა
და სავარცხელიც დაჰკარგა...
მაგრამ სად? არ მოაგონდა.

იჯავრა, მაგრამ ყმაწვილი
მალე ივიწყებს ხომ საწყენს?
და გული ამანაც მალე
გადააყოლა ჯოხის ცხენს!

მაგრამ ეს კი ქმნა, რომ მაინც
გაჭირვეულდა პატარა
და სავარცხელი სხვა გვარი
არ იქნა, არ მიიკარა!

თმა აებუძვა ხუჭუჭი,
ვერ აკარებდენ თავზე ხელს!
„მიპოვნეთ, რატომ არ ეძებთ“—
ტიროდა—იმ ჩემ სავარცხელს?

იპოვეს... მიარბენიეს,
დაუწყეს ვარცხნა მის თმასა,
მაგრამ საბრალო ყმაწვილი
მოჰყვა ტირილს და მოთქმასა.

„ეს ის არ არის სხვა არის!
ის არ ყოფილა ავიო!

თმა დამაწიწკნა ამ გლახაჲ
და ამატკინა თავიო“!

სავარცხელმა სთქვა: „ისე ვარ,
მაგრამ არ შემიძლიაო,
რომ ეგ თმა კარგად დაგვარცხნო,
ხუჭუჭი გამოგცვლიაო.

თმა-თმას მიჰკვრია ჭუჭყისგან,
შიგ ვერ გავატან მალეო!
მე რა ბრალი მაქვს, შენ ისევე
შენს თავსევე დააბრალებო“!

სიმართლევც სავარცხელივით
როცა გვეჭირავს კარგია
და თუ დავკარგეთ, მაშინ კი
გვეწიწკნის და აღარ ვარგია.

ორი ბოჩკა.

ორი ბოჩკა მოგორავდა
თითქო ერთმანეთის ჟინით,
ერთი იყო ცარიელი
და მეორე-სავსე ღვინით.

სავსე უხმოდ მოგორავდა,
წყნარად, მშვიდად, ნელა-ნელა,
მაგრამ ცარიელმა ბოჩკამ
გააკვირვა კი სუყველა.

მოხტოდა და ბღღვირს ადენდა,
ბუკ-ნალარა, ბრახა-ბრუხით!
გამვლელები შეაშინა
მეტწირობით, ფახი-ფუხით.

ქულს უხდიდნენ, თავს უკრავდენ,
გზას აძლევდენ მოწიწებით,
„ბრძანდებაო დიდი ვინმე“
იძახოდენ გაოცებით.

ამ ცარიელ ბოჩკას დარჩა
პირველობა, ქვეყნის ქება,

და სავსეს კი სულ არავინ
მიაქცია ყურადღება.

ცხოვრებაშიც ასე არის:
პირველობა იმას რჩება,
ვინც რომ მხოლოდ გარეგნობით
სხვის თვალსა და ყურს ეჩრება.

ქუნწი და დედალი.

სცხოვრებდა ერთი საწყალი კაცი,
არათრის მცოდნე, ქუნწი, ზარმაცი;
თითქმის არც სქამდა, არც არას სვამდა
და სამოწყალო გლახაკსა ჰგავდა.

სულ უგზო-უკვლოდ დატანტალობდა,
მაგრამ იმავე დროს ბედი სწყალობდა:

ერთი მისთანა დედალი ჰყავდა,
რომ ის სხვა ქათმებს აღარა ჰგავდა!

ბუდე მოიწყო მან ერთ ადგილას,
ოქროს კვერცხს სდებდა ყოველ-დღე დი-
ლას.

რალა უნდოდა პატრონს, იმ წყეულს?
მაგრამ გააძღებ განა ხარბის გულს?

ასე ფიქრობდა: „ვხედავ ამ ქათამს,
ოქროს კვერცხებს სდებს, მაგრამ სვამს
და სქამს.

ეს სულ ხარჯია, ანგარიშიო,
ამის ჯავრი მაქვს მე და შიშიო!

ხაზინა უძევს, სჩანს, მუცელშიო
და სჯობს ჩავიგდო ერთად ხელშიო!“
დაჰკლა, გაფატრა ქუნწმა დედალი,
მაგრამ წელები დაურჩა მყრალი.

ა ლ კ ი ღ ო ს .

აღკიდოს აღკმენის შვილი
გმირობით ძველად გათქმული,

უშიშრად კლდეებ-ღრეებზე
გარბოდა გამალებული.

წინ გაუგორდა რაღაცა,
ბუძგვივით იხრუკებოდა,
თითქოს საცინლად იგდებოდა,
გმირს როდი ეპუებოდა.

ფეხი აიღო ალკიდოს
დასაკრავ-გასასრესადა,
თუმც ბრძოლა ქია-ღუებთან
მას არ ჰქონია წესადა.

მაგრამ გაშტერდა!.. ხედავს რომ
ის უცნაური არსება
იზრდება თვალ და ხელს შუა,
იბერება და ივსება!..

კეტი აიღო, დასთხლიშა,
რაც ჰქონდა ძალი და ღონე,
მაგრამ რას ხედავს? არ არის
ამის მომსწრე და გამგონე.

ის ეკლიახი არსება
არსად გაურბის!.. არც კვდება,
და კეტს რამდენსაც დაარტყამს
უფრო და უფრო იზრდება!

აგერ მთის ხელა შეიქნა,
მალლა ზეცამდი იღებს თავს,
აღარც გზას აძლევს ალკიდოსს
და მზის სხივებსაც უფარავს.

შეჩერდა მაშინ ალკიდოს,
სთქვა: რა ყოფილა ესაო,
რომ მეც წინ გადამეღობა?...
არც ეპუება მზესაო?!..

გამოეცხადა მაშინ მას
ღმერთი, სიბრძნისა ათინა
და ვინაობა იმ რაღაც
ბუძგვისა შეატყობინა.

უბრძანა, როგორ შეგყრია
შენ ევ უშმაკის ქმნილება?

სახელი არის მაგისი
შფოთი და განხეთქილება!

თუ ყურადღებას არ აქცევ,
არც კი ატყვია მიწასო!
მაგრამ, თუ ბრძოლა დაუწყე
თავს მალლა აწვდის ზეცასო!

აპელლესი და ჩოჩორი.

აპელლეს-მხატვარს, გამოჩენილსა
და სახელ-განოქმულს ბერძნებში ძველად,
როცა ბუნებას აკვირდებოდა,
ჩოჩორი შეხვდა საღლაცა ველად.

მხატვარს იამა მისი დანახვა,
მიუახლოვდა ღიმილით ტკბილად,
ახედ-დახედა, თვითქოს, სინჯავსო
და მიიწვია სახლში სადილად.

სტუმარს იამა პატივის ცემა!
უფრო ან კი რა გაახარებდა!
თავმოყვარებით გატაცებული,
მიწაზე ფეხსაც არ აკარებდა.

ვისაც ჰნახავდა მტერს, თუ მოყვარეს
სუყველოს იმას ეუბნებოდა,
რომ არ მასვენებს აპელლესიო!..
სიხარულით კი გულში სდნებოდა—

რა ვქნა? რა ვუყო? აღარ მეშვება,
ილაჯს მიწყვეტავს ეს მხატვარიო!..
მეპატიეება სადილ-ვახშამზე
და ველარ მითქვამს მეც უარიო!..

მე თავს ვარიდებ, ის კი დამეძებს...
ხან აქ და ხან იქ დამიხვდებო!...
გამოცანაა მისი ამ გვარი
საქციელი და მოქმედებო!..

მე როგორც ვატყობ, მერანსა ჰხატავს
და ნამდვილი რომ არსადა ჰყავსო,

უნდა მის სახელ მე გადამიღოს,
რადგანც მერანი, თურმე მე მგავსო.

როგორღაც ყური მოჰკრა მის ტრამახს
აპელოესმა და გადინარხარა...
მართალი არის!.. რომ განძრახვა მაქვს
ერთი რამესი... კარგად მიმხვდარა.

მინდა დავხატო მეფე-მედასი,
რომ გამოვბას ვირის ყურიო
და მინდა რომ ამ ჩემ ჩოჩორ-სტუმარს
გავაწვეინო სამსახურიო...

ბევრი მინახავს ვირის ყურები,
მაგრამ არ მახსოვს ამისთანაო.
ამას დავხატავ!.. ეს არის ჩემი,
საქციელი და გამოცანაო!..

ბავშვი და გველი.

ბავშვი გველ-თევზას იჭერდა,
სტაცა კულზე უცბად ხელი,
მაგრამ, იმისთანა შენს მტერს!
ხელში შერჩა მართლა გველი.

შიშით იქვე გააცივა,
სული ხორციტ გაეყარა!
მიუბრუნდა გველი საწყალს.
დამშვიდებით და ეს უთხრა:

„აბა, ბრიყვო! რა თავს იგდებ,
მაგ ხუმრობას ვის უბედავ?
გუნებაზე რომ არა ვარ,
შე სულელო, ვერა მხედავ?“

ამ ერთ ცოდვას გაპატივებ,
მეორეხედ იყავ ფრთხილად,
თორემ კიდევ თუ იხუმრე,
არ შეგერჩება ის ადვილად!“

გველი და შირი.

გველი რომ სულხვავია,
ვის არ გაუგონია?
ისე ჰყლაპავს, არ არჩევს,
ძვალია თუ ქონია?

მაგრამ ერთხელ-კი ყელში
გაეხირა მას ძვალი;
შეეგუბა სული და
სიმწრით იწყო ფართხალი.

წერო იჯდა მახლობლად,
გველმა მოჰკრა მას თვალი.
„მიშველეო! ნუ მომკლავ!“
ანიშნებდა საწყალი.

შეებრალა წეროსაც,
შიგ ნისკარტი ჩაუყო,
და დიდის გაჭირვებით
ის ძვალი ამოუღო.

მერე უთხრა გვილს: „ჩემი
მომეც გასამრჯელოო“
მაგრამ გველმა მიუგო:
„ბრიყვო და სულელოო!“

არა კმარა, რომ შენა,
არ დავიდვქ ცოდვაო,
როცა ეგ შენი თავი,
ბრიყვო, პირში შედვაო?

დამეკარგე აქედან,
შე არ გასახაროო
და მიფრთხილდი, დღეიდან
არსად შემეყაროო!“

ბუზი და ფუტკარი.

ფუტკარი ყვავილს სწუწნიდა
მაისის დღეში ერთ დილით;
კულლუტი ბუზი, უსაქმო,
მასთან მიფრინდა ბზულით

და უთხრა: „ჩემო დნიაე!
ძალიან მებრალებიო!
რისთვის მუშაობ და ან რას
მიეღებ-მოედებო?“

შრომობ, თავს მაღლა ვერ იღებ,
დაფრინავ შორს და შორსაო!
მე მაინც ველარ შემხუდავ,
როგორა ვხარჯავ დროსაო?
ყოველის კუთხით დავფრინავ,
ლხინით ვატარებ ზაფხულსო,
სხვა-და-სხვა სანახავებით
ვახარებ თვალსა და გულსო.

სახლში თუ სადმე გამართეს
ლხინი და წვეულებაო
და საწუწკარი, ტკბილი რამ,
თუ თანაც მეგულეაო,

ბევრი ბოდიში არ მინდა,
მაშინვე იქ გაგჩნდებო
და ყველა სტუმრებზე უმაღ
საქმელებს მივაჯდებო.

გავძლები და, თუ მომიჩნდა
ძილი და მოსვენებაო,
ყველას ცხვირ-პირზე ვაჯდები!—
ეს არის ჩემი ნებაო“.

ფუტკარმა უთხრა: „მე ყველა
თუმცა მეც ვავიგონეო,
მაგრამ ეგ ურიგობაა
და რად ხარ თავ-მომწონეო,
მაშინ, როდესაც სუყველას
ჭირივით ეჯავრებო,
შერცხვენიით კარში ვაგდებენ,
როგორც მოსისხლე მტრებო!“

— „მართალი არის, მიუგო,
ხშირად მაგდებენ კარშიო:
საგერებლითაც დამდევენ,
ვითომ მარცხვენენ ჯარშიო.

მაგრამ მე რა მენალვლება!
მაგას არ ვერიდებო;
კარებში რომ გამაგდებენ,
ფანჯრიდან შევფრინდებო!“

ჭ რ ა ვ ი.

„მე გული თუ კი წმინდა მაქვს,
რას დავსდევ მიტქმა-მოთქმასო?
ვინც უნდა იქორ-იყბედოს,
მე არც კი გავსცემ მას ხმასო.“

გულის სამაგრო სიტყვები,
ეს ვის არ გაუგონია?
მაგრამ ხან-და-ხან შესცდება,
ვისაც მართალი ჰგონია.

ვინც ეურჩება ცხოვრების
კანონს და სურვილ-ნებასა,
ბევრჯელ უბრალო რამეზე
გადაეყრება ვნებასა.

ადგილი უნდა ყოლიფერს
თქმასა თუ უთქმელობასა,
სიცილსა, ტირილს, ხუმრობას,
ჭამას და უჭმელობასა.

ჩვენც უნდა მივჰყვეთ მის დროზე
ქვეყნის ზნე ჩვეულებასა,
თვარა ვინ ეძებს სიმართლეს?
ვინ დასდევს ჩვენს უფლებასა?

საჭირო არის სიფრთხილე
და მასთან გამოცდილება,
თვარა ხან-და-ხან შეგვაცდენს
მცირე, უმანკო, ცვლილება.

ავი და კარგი ამ ქვეყნად
ხან და ხან შემთხვევითია
და ჩვენნი იგავ-არაკიც
ამისი მაგალითია.

კუნტრუშის ჟუნებაზე
რომ დასდგა ბრიყვი კრავი,
ჟადგილო ხუმრობას,
გადაატანა თავი.

იფიქრა, ამხანაგებს,
მოდი, შევაშინებო!
მეც ვიციანებ და თანაც
დიდებს გავაციანებო.

გაეხვია მგლის ტყავში
დამშვიდებულ გულითა
და ფარებს მიაშურა
მგელივით ძუნძულითა.

ძაღლებმა თვალი მოჰკრეს,
სთქვეს: „ჰჰა მაგა“ მგელსაო!
სად მოძვრება? შეხედეთ
მყრალს და საძაგელსაო?

გაეჩანენ, ეძგერენ,
გაჰკრეს-გამოჰკრეს კბილი,
ამოიდვეს ქვეშ მარდად
უმანკო, ცოდვის, შვილი.

და იმისთანა თქვენს მტერს,
რაც დაემართებოდა?!
რომ მწყემსებს არ ეშველათ,
სული ამოხდებოდა!

გადარჩა, მაგრამ „ვაი“
მისთანა გადარჩენას!..
ვინდა ჩივის ჟბრალთა
შიშსა და რისმე ტკენას?

იმ დღიდგან ზოგი შიშით
და ზოგიც დაწყლულებით,
დავარდა და მის დღეში,
ვერ გამთელდა სრულებით!

ახიც იყო მის თავზე! —
აბა, რა ემგლებოდა?
ყოფილიყო ცხვრის ტყავში
მიტი რა აკლდებოდა?

კაცი და გველი.

გველმა ურჩია ერთხელ გლტხს:
მტერობა დავივიწყოთო
და ძმობა მეგობრობასა
დღეიდან ხელი მივყოთო!

ტყავი რომ გამოვიცვალე,
ხომ ხედავ? ახლა სხვა ვარო!
ნულა ვეკრძალვით ერთმანეთს,
გველს როცა აღარ ვგავარო.

გლებმა სთქვა: ტყავის გამოცვლა
სიმართლე არის სრულიო
და არც ის არის ტყუილიო,
რომ ძველივე გაქვს გულიო!

არ დაიჯერა და შიშმა
კანკალი დააწყებინა:
აილო კეტი დაარტყა
და სული გააცხებინა.

კაცს თუ სახელი გაუტყდა
ვერ გამთელებს ვერას დროს
რა გინდა ფერიც იცვალოს
და ტანზე ტყავიც გაიძროს.

მელა და ჟურძენი.

დამშეული კულა მელა:
ვენახში პიიპარება...
მიცუნცულებს ნელა-ნელა,
ლობე-ყორეს ეფარება.

ბოლოს შეძვრა... ნახა კარი,
მაგრამ ახრი კი წაუხდა:
ბალი იყო სულ მაღლარი
და დაბლარი არ დაუხედა.

ჟურძენი, რომ მაღლა ნახა
მიმწიფებულ-მინაბდული,
დაულო მას წუწკმა ხახა,
აუძგერდა მსუნავს გული.

მალლა-მალლა იყურება,
იგრინება, იწურება...
აქეთ-იქით დატრიალებს,
თვალეებს სისხლით აბრიალებს.

ხან დაწვება, ხან აღგება,
ნდომის ნერწყვი პირს აღგება;
კბილები მთლად აეჭავა,
მაგრამ მალლა ხომ ვერ გავა?

სწორედ ქირის დღე დაადგა,
დაიქანცა, დაილალა.
მაგრამ აღარ გამოადგა
აღარც ხერხი და არც ძალა.

ღარჩა ამოძუებული...
მაგრამ აღარ გაიტეხა
კუდიანმა ვითომ გული
და ურცხვად ეს დაიკვება:

„რომ არ ვსჭამე, კარგა ვქენი,
გეფიცებით შევიდებსაო;
მკვახე იყო ის ყურძენი
და მომკვეთდა კბილებსაო!“

ტიტლიკანა:

ერთი ვიდაც სოფლის ბიჭი
გათუთხნული, ტიტლიკანა,
ღვთის გულისთვის ნათესავმა
მზარეულთან მიიყვანა.

და შესთხოვა, ყური უგდე
ამ ბიჭს ჩემო ნათლიაო!
სამოწყალოდ, უპატრონო,
გამოზარდე—მადლიაო.

დაეთანხმა მზარეული,
აიყვანა, მისცა ბინა
და რომ აღარ შომცდარიყო—
საქმეც ხელად გაუჩინა:

ცეცხლს ანთებდა, წყალს ათბობდა,
ქოთნებს რეცხდა, ქვაბს ჰხეხავდა;
არც უფროსი, არც უმცროსი,
მომღურავი არვინ ჰყავდა.

ყოფილიყო თავის ქერქში?
რა უნდოდა ამის მეტი,
მაგრამ როცა გაბრძოვდებო
კაცი და მოუფლის რეტი,

აღარ იცის რა უნდა ქმნას
დაებნევა გზა და კვალი;
ულალატებს ყურთა სმენა,
დაუდგება ორივე თვალი!

დაეკარგა ამ საწყალსაც
საგულისთქმო სასწორ-ზომა,
არ დასჯერდა მის ხელობას,
ფარეშობა მოინდომა.

გადიყვანეს სასახლეში,
ბატონებთან, მეტიჩარა,
არ იზოგავს თავს, ირჯება...
დატრიალობს როგორც ჯარა.

აქ ეტაკა ტანისამოს...
იქ ქეჩა-ნოხს დაეძგერა,
ჰსწმენდავს, ჰბერტყავს, ჰოგრიტ
ბერტყავს.

ააბღღვირა... აამტვერა!
ოფელში სცურავს და მის შრომას
არ ეტყობა რამ ბარაქა!...
რასაც ხელი კი მოჰკიდა
გასვარა და მისცხო ლაქა.

ცოდნა უნდა ყოველ საქმეს...
მარტო შრომა არა კმარა!
ბევრი არის ჩვენშიც მუშა
უმეცარი... მეტიჩარა.

მგლები და ცხვრები.

მგლებმა ცხვრები შეაწუხეს,
 აღარ ჰქონდათ მოსვენება!
 და მთავრობამ რომ გაიგო,
 გამოსცა მან ეს ბრძანება:

„კარის კაცებს დაუძახეთ!
 საღარბაზოდ შეჰკრზენ ხელად
 და კანონი დაადგინონ
 ჩაგრულების დასაცველად!“

ურჩობას ვინ გაბედავდა?
 აირჩიეს მსაჯულები,
 მაგრამ იმათ რიცხვში მოჰყვენ
 შიგა და შიგ მაინც მგლები.

ეჰ, რა ვუყოთ!?! განა მგლებში
 არ იქნება უწყინარი?
 ზოგი მგელი ცხვარს არ ერჩის,
 თუ კი არის გამაძღარი!..

მსაჯულებმა, რომ არ დასწვან
 არც მწვადი და არც შამფური,
 ეს კანონი მოიგონეს
 საორჭოფო, უცნაური:

„როცა მგელმა საბრალო ცხვრის
 მოტაცება დააპიროს,
 ცხვარს ნება აქვს, რომ ის მგელი
 არ გაუშვას!.. დაიჭიროს

და მთავრობას წარუდგინოს.
 საკანონოს მოსახდელად!..
 მაშინ ნახავს, რომ კანონი
 დაწერილა მის საშველად!“

განჩინება რაღად უნდა
 უკეთესი მოსაწონი?
 მაგრამ ვაი, რომ კანონად
 დარჩა მხოლოდ ეს კანონი!

და ცხვრები რომ მგლებს იჭერდენ,
 ჯერ არავის არ გვინახავს!..

მაგრამ მგლები კი საწყალ ცხვრებს
 ძველებურად აძრობენ ტყავს!

ცხვრები და ძაღლები.

ერთხელ მეცხვარემ იფიქრა:
 მგლები რომ შევაშინოო,
 საჭირო არის, ძაღლებიც
 ცხვრებს მეტი მივუჩინოო.

და შეაგროვა მთელი ხრო
 მურია ქოფაკებისა.
 მართლაც ოთხფეხი მწყემსები
 ღირსი შეიქმნენ ქებისა:

თავხარი დასცეს მსუნაგებს,
 არ მიაკარეს ფარასა,
 ამოიძუეს ძუნძულით
 გაუდგენ, მგლები, შარასა.

მაგრამ უმგლოთაც საბრალო
 ცხვრებს ბევრი არ ეშველა—
 შეთხელდა ფარა როგორღაც
 დღეს-ხვალიობით ნელ-ნელა.

თურმე იმ ნაქებ ძაღლებში
 ბევრი ერია ავიცა,
 ცხვრებს ჯერ ხუმრობით კიჩნიდენ,
 მერე გააძვრეს ტყავიცა.

და მაშინ კი სთქვა მეცხვარემ:
 მგლებს რაღად ვსდებდი ბრალსაო?
 უნდა მგელს შეუქამივარ
 და უნდა მგლის ფერ ძაღლსაო!..

თ ა ვ თ ა ვ ი.

თბილ ოთახში სარკმლის პირად
 ყვავილები ქოთნით იდგენ,

ახლო ყანით თავ-თავებმა
მოიხედეს ერთხელ მათკენ.

გული დასწყდათ და მათ პატრონს
გაუცხადეს საყვედური:
რისთვისა ხართ თქვენ, კაცები,
უსამართლო... უმადური?

სასარგებლოს არ აფასებთ,
მოსაწონს კი თავს ევლებით,
შესაფერის მონიჭებას
არ დაეძებთ თქვენ სრულებით!..

ჩვენ გარჩენთ და ჩვენ გამდიდრებთ,
ხელს ვუმართავთ თქვენს დიდებას,
თქვენ კი ამას არად აგდებთ!..
სულ არ გვაქცევთ ყურადღებას...

ქარი გვარხევს, წვიმა გვალპობს,
სიცივე და სიცხე გვაჭერს,
მაგრამ თქვენთვის სულ ერთია,
არა ზრუნავთ, ხომ არაფერს?

უსარგებლო ყვავილებს კი
გადამეტის მოწიწებით
არც სიცხეს და არც სიცივეს
არ აკარებთ, უფროთხილდებით.

ქოთანში გაქვთ, ყოველ დღე
რწყავთ:

შუშისა აქვსთ თავ-სარკველი,
რომ ვაგლახად და უდროვოდ
არ შეახოს ვინმემ ხელი...

გაეცინა ყანის პატრონს
და უთხრა მათ: ნუ სულელობთ!—
რაც არ იცით, თქვენ იმაზე
რა გაჯავრებთ და რად ხელობთ?

ახოს ტეზა, ხენა და თესვა,
თქვენც გგონიათ, არაფრად ღირს?
უამისოდ განა ქვეყნად
ამოყოფდით, საწყლები, პირს?

ღარს და ავღარს რომ უჩივით...
სჯობს შესწიროთ მადლი უფალს:
ის არის, რომ თავის ღროზე
გასულდგმულებსთ და გაძლევსთ
ძალს.

თქვენც რომ ისე მოვიაროთ,
როგორც ქოთნის იმ ყვავილებს,
ბედი თქვენზეც და იმათზეც
ერთნაირად გამაწიბილებს!

აღარც თქვენ, არც ყვავილები
არ იქნებით აღარც ერთი!
მაგრამ ტყვილად კი არ უთქვამთ
„მხოლოდ ჭკუით იცნეს ღმერთი!“

ზოგ საქმეზე, როცა აღარ
მიგვიწვდება მოკლე ჭკუა,
გვეგონია თუ უსაგებლად
ჩვენ შესახებ ყველა სტყუა.

დასაფლავება.

ინდოელებს ძველ დროში
ჩვეულება ჰქონიათ.

და იმას მოგახსენებთ,
თუ არ გაგიგონიათ:

რომ ვინმე მოკვდებოდა
ქირაობდენ მომტირლებს
და ძალად ატირებდენ...
აზუვლებდენ, როგორც მგლებს.

ამ გვარი მომტირლები,
მკვდარს რომ მისდევდენ ჯარათ,
ერთხელ თვალმაქცი მოგვი
გზაში შემოეყარათ.

გაუკვირდა ეს მოთქმა
და მკვდარიც შეებრალა:
მოინდობა მოგვეური
გამოეჩინა ძალა.

და უთხრა ჭირისუფლებს:
ჭირს რომ ველარ უძლებთო,
თუ გინდათ, მიცვალებულს
ხელად გაგიცოცხლებთო.

გაეხარდათ!.. გვიშველე!..
ახლა გაგვიცოცხლეო
და მერე კი სიცოცხლე
ისევ დაუმოკლეო.

რომ ხელმეორედ ჩვენვე
დაგვიჭირონ ჭირითო,
რადგანაც, ვინც ფულს მოგვცემს,
ჩვენ ხომ იმას ვსტირითო?..

სიცოცხლეში მაგისგან,
ვერ ვინ ისარგებლაო,
თუმც იყო შეძლებული,
დიდს ქონებას ჰფლობდაო.

და სიკვდილით, ეგებო,
მაინც გამოგვადგესო,
რომ ხშირ-ხშირად ვიტუროთ
და გთხოვთ ახლაც ადგესო!

ვინც სიცოცხლით ქვეყანას
არაფრად არ არგია,
გულით არ ვინ იტირებს!..
ის ეშმაკის ბარგია!..

მანუა ზაგზული დათვი.

დათვი გაება მახეში,
აღარსად ჰქონდა სახსარი,
რა სახუმროა სიკვდილი,
შიშით დაეცა თავ-ზარი.

გაქაჩული აქვს ფეხები
ველარ მოიხმარს დიდ ტორებს!..
ან მონადირებს, ან ძაღლებს
რას უზამს? რით მოიშორებს?

ხედავს, რომ ძაღზე დადგომა
ველარას გამოადგება
და ჭკუა უნდა იხმაროს,
გამომადგესო, ეგება!..

მტრებს ეხვეწება: რას მერჩით?
რა დაგიშავეთ ან ერთსო?
ცილს რომ მწამებენ, ნუ გჯერათ!
სწორა შეხედეთ თქვენს ღმერთსო!

მართალი არის დათვი ვარ,
მაგრამ არ ვგვეარ მე სხვებსო!
თუ მეტყვით დასამტკიცებლად
ასობით მოგვევრით მოწმებსო?..

ღმერთმა ხომ იცის ჩემ დღეში
არ შექეჯამოს მკვდარიო,
თუმც მოვლილი მაქვს ყოველგან-
მინდორი, მთა და ბარიო.

მონადირემ სთქვა: რომ მკვდარი
შენ არსად შეგიქამია,
ეგ მჯერა, მომწონს კიდეცა!
კარგი გიქნია ძამია.

მაგრამ ცოცხლებს კი, მე ვიცი,
ყოველთვის ემტერებოდნი
და გასაძრობად ტყავისა
პირ და პირ ეძგერებოდნი.

და მაშ ნუ ელი ჩვენგანაც
გამოხსნა:—გამოშვებასა!
მკვდრები გექამა ის ჯობდა
ცოცხლების გატყავებასა.

მ ე წ ი ს ძ ვ ი ლ ე,

ერთი წისქვილის სათავე
ცოტა ოდნად გაიბზარა;
ჯერ ჟონამდა და მერე კი
წყალი ბლომად გაიპარა.

იმ თავითვე გაკეთება
არ ყოფილა მისი ძნელი,
მაგრამ მაინც მეწისქვილემ
არ მოჰკიდა დროზე ხელი.

სთქვა: წყალი ხომ მეტიც მოდის?!
არ ეტევა, თიფქმის, ლარში!
და ჩემ საფქვავს რა მოაცდენს
ან ზაფხულში, ან ზამთარში?

გაიმაგრა გული, საქმეს
არ მიხედა, წაუყურა
და უჯერო მოსაზრებამ
შეაცდინა. — მოატყუა:

ღღეს ხვალობით ის სათავე
სულ თანდათან ფუჭდებოდა
და მით წყალი საწისქვილოს
თვალ სამჩნევად აკლდებოდა.

ბორბლებ-ყურებ-ჩამოყრალი
ძლივს ბრუნავდა წისქვილის ქვა.
„აღარ არის სახუმროო!“
მეწისქვილემ მაშინ კი სთქვა.

გამოცქვიტა თვალ-ყური და
მოინდომა გაფრთხილება!..
მაგრამ თავში წამხდარ საქმეს
ბოლოში რა ეშველება?

ნახა ერთხელ: წყალს სასმელად
მიმდგარიყვენ იქ ქათმები,
მოუვიდა გული... გაწყრა,
აებუძგა თავზე თმები!

წყალი ისეც ცოტა მოდის
და ესენიც მაკლებენო?
„თუ კაცი ვარ არ შეგარჩენთ
მაგ სიღვეს აღარც თქვენო!“

მიაძახა „აქშა“! საწყლებს
წყლის დაღვევაც არ აცალა,
ჰკრა ქოლოკი და სუყველა
ერთად გააკოტრიალა!

მაგრამ ამით იმ საბრალომ
საქმეს მაინც ვერ უშველა:
წყალიც დაშრა და ქათმებიც
ამოწყვიტა ტყვილად ყველა.

ზოგი ერთი კაცი არის,
ყურს არ უგდებს სახლსა და კარს
და გარედ კი უბრალოხედ
გადალახავს მთასა და ბარს.

სად და როდის, რა უნდა ქნას
მას მის დროზე არ ესმის ეს
და მიტომაც მოგვაგონებს
ამ ჩვენ ზღაპრულ მეწისქვილეს.

გველი და გლეხი.

დაუმეგობრდა გველი გლეხს,
შინა ჰყავს ერთი ხანია
და ვინ არ იცის, რომ გველი
ცბიერი და ჰკვიანია.

გარს ეხვევოდა აღერსით,
რალა თქმა უნდა, არ ჰკბენდა!
ისე მოხიბლა საბრალო,
რომ ისიც გულში იძვრენდა.

მარგამ სხვა მეგობრები კი
ჩამოეცალენ ნელ-ნელა
და ეს კი სტუმართ მოყვარე
გლეხს მეტის მეტად ეძნელა.

აჩივლდა: „რისთვის დამიგმეთ
მასპინძლის პურ-მარაილიო?
ეგები ვერ გემსახურეთ?.

ცოლიც ვერ იყო ფრთხილიო?“

არაო! — უთხრეს — თქვენ სახლში
მიტომ ვერ გიახლებითო,
რომ თქვენ გულითად მეგობარს
ვეშიშვიდ, ვეკრძალებითო!..

ლორი მუხის ქვეშ.

მუხის ქვეშ ლორი რკოებით გამოძლა მართლა ლორივით და იქვე ძილად მიეგდო გაუნძრევლად მძორივით.

რომ გაიღვიძა, წამოდგა, აწლაკუნებდა ისევ პირს და როგორც დიდხნის მშვიერმა ჩუჩქნა დაუწყო მუხის ძირს.

მალლიდან ჩიკვმა დასჩხავლა: „მაგას რას შერები ლოროო? გინდა ფესვები დასთხარო და მიწას მიაბაროო?“

მაშინ ხომ მუხაც გახმება, ძირი რომ წაუხდებოა?“

ლორმა მიუგო: „მერგ რა?! გახმეს!.. რა მენაღვლებოა?“

მე არ მინახავს მაგისგან ჩემდღეში სარგებელიო!

რას დავსდევ: ნედლი იქნება, თუ გამომშრალი — ხმელიო?“

მუხა გაჯავრდა: „შე დრუნჩავ! ქვესკნელს რომ ჩაღრუტონობო, შე ლორო, თავსლაფ დასხმულო, რატომ რკოს კი არ სწუნობო?“

ვინ არის იმ რკოს მომცემი თუ არ მე? და რათ მძრახავო? მაგრამ თავს მალლა ვერ იღებ და რაღას დაინახაო?“

უგნური კაცი ლორსა ჰგავს: ჰგმობს სწავლა-მეცნიერებას და ვერ მიმხვდარა: რა აძლევს ამ ქვეყნად ბედნიერებას?.

მელა და ვირი.

მელია შეხვდა დიდ-ყურას და უთხრა: „ნათლი-ჯალაბო! რა კაი გუნებაზე ხარ!.. საიდგან მოჩანჩალობო?“

ვირმა მიუგო: „ნათლიავ! ლომთან ვიყავი, ვნახეო. მისთანა შენს მტერს, რაც იმას დღეს დასდებია სახეო!

დაბერებულა, სნეულობს! აგდია ცოცხალ-მკვდარიო! წასვლია ის დრო, რომ გვექონდა მისი შიში და ხაროო.“

პირდაპირ მიდის სუყველა ამოსაყრელად ჯავრისო! ზოგი ურქენს და ზოგი ჰკბენს და ზოგიც წიხლებს აყრისო.“

მელიამ უთხრა: „შენ მაინც ვერაფერს გაჰბედავდიო!“

—მე ვითომ სხვებზე ნაკლე ვარ? მე რაღად დავზოგავდიო?“

ჩემი ძალა და სიპარდე ახლა კი გავაცანიო, ვკარი და ვკარი წიხლები, ავუწვი ზურგის კანიო!

ჰე, ვაგრძობინე თუ არა, ვირის წიხლები მის გვამსო? წავიდეს, ჩემიც იქა სთქვას, სადაც თავისი უთქვამსო.“

გველი და კრავი.

ქვის ქვეშ გველი იკლაკენოდა, ქვეყანაზე გულ-მოსული.

აქვე ახლოს კრავი სძოვდა
და უწმინდურს ეცა სული.

გამოდერა და მიაშურა,
გვერდში არქო შხამ-ისარა,
შხამი სისხლში გადავიდა
და მთელ ტანში დაუარა.

აცახცახდა სასიკვდილოდ
დაკბენილი ჭრელი კრავი
და გველს ჰკითხა: „რას მერჩოდნი?
და ან ცუდი რა გიყავი?

უპასუხა: „არაფერი!
მაგრამ კბენა მაქვს მე წესად...
რა ვიცი, რომ არ მოდიხართ
სუყველა ჩემ გასასრესად?“

ვისაც გულში ბოროტების
მეტი სხვა რამ არ ჰქონია,
თუ სუყველა იმას არ მტრობს
სასიკვდილოდ, არ ჰგონია!

ქვაბი და ქოთანი.

ერთხელ ქვაბი და ქოთანი
დაძმობილდნენ, დამეგობრდნენ
და მოყვრობით ერთმანეთის
თანასწორად ამაყობდნენ.

სად თიხა! და სად სპილენძი!
სხვა და სხვაა სული ღირსება!
მაგრამ ძმობა-მეგობრობა
როდი იცის განსხვავება.

ქოთანი ქვაბს, ქვაბი ქოთანს
ერთი წამიც არ შორდება!
თითქმის, ერთი უმეოროდ
ცეცხლსაც აღარ ეფიცება.

მაგრამ ერთხელ შორ მგზავრობის
მოუარა ქვაბს ხუმტურმა

და ქოთანმაც თან წაყოლა
აჩიემა უბედურმა.

ჩაჯდნენ ერთად გვერდი-გვერდით
კმაყოფილი, მხიარული,
მაგრამ გზა კი ცუდი შეხვდათ
და ურემიც დანჯღრეული,

ვერ დამაგრდნენ მეგობრები.
ეხლებოდნენ გვერდით-გვერდსა.
ქვაბს რა უჭრის! — მაგრამ, ვაი,
საწყალ ქოთნის მუცელ-ფერდსა!

ბეწვზე მიდგა მისი საქმე:
სულს ვერ ითქვამს — რაღა, კვდება!
მაგრამ მაინც მისს მეგობარს
თან მაჰყვება არ შორდება.

არ გაველოთ ჯერ შუა გზა,
რომ ქოთანი გაიბზარა,
დაიმტვრა და იმ ქვაბმა კი
გზა მშვიდობით მოიარა!

თავისს ტოლთან მეგობრობა
კაცს ყოველთვის შევერგება,
მაგრამ თუ დიდს გამოუდგა,
ქოთანივით გადაჰყვება.

ვუტყარი და ობობა.

(დედა-ზარღლი).

ვაქარმა გამოიტანა
გასასყიდად დარაია
და დილიდან საღამომდი
დუქნის კარი ჰქონდა ღია.

ბუზებივით ეხვევოდნენ
ფაცა-ფუცით მუშტორები გარს.
აღარ ქონდა მოცალემა,
ესხმებოდა თავბრუ ვაქარს.

ეს რომ ნახა დედა-ზარღლმა,
შეეხარბა, დასწყდა გული,

რადგან მასაც საფეიქრო
თვითონ ჰქონდა გამართული.

სთქვა: „მე უფრო წმინდას ვქსე-
ლავე,

ერთი ორად ფასს დავაკლებ,
მუშტრებს ჩემსკენ გაღვიბირებ
და იმ ვაქარს გავასაწყლებ.“

მთელი ღამე ქსელს აბამდა,
და გული რომ გაიჯერა,
წამოსყუბდა ვითომ დახლზე,
ვაქრად ყელი მოიღერა.

ეგონა თუ ყველა მუშტრებს
ვერ აუვიდოდა იმ ღღეს,
მაგრამ არვინ მოდიოდა
და ცოცხით კი ჩამოცოცხეს.

გაუკვირდა: „ახა ღმერთო!
საღლა არის სამართალი?
მე რომ უფრო წმინდათა ვქსოვ
ვერ ატყობენ? სად აქვსთ თვალი?“

გაიგონა ეს ფუტკარმა,
და სიცილით მიუბრუნდა:
„ცხადია, რომ წმინდათა ჰქსოვ,
მაგრამ მაინც ვის რათ უნდა?“

რომ არც ათბობს, არც ჩაიციმის,
არც ვარგია საკერავად,
შორიდან კი თვალს ატყუებს...
მხოლოდ, მარტო... სანახავად.“

ზოგი ნიჭიც ამ გვარია,
შორიდან სჭრის და კარგია,
მაგრამ ახლოს უსარგებლო,
არავისთვის არ ვარგია.

უ ვ ლ ე ბ ი.

მწყემსმა შვლები შეიმწყვდია
ერთ დიდ გამოქვაბულში,

„თუ გავკეთდი... გავკეთდიო!“
გაიძრახა მან გულში.

„ღღის შემდეგ რა თქმა უნდა
ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყევს,
წავრეკამ და ამათ ერთად
მიუმატებ შინ ჩემ თხებს.“

საკვებიც ღვთით იმდენი მაქვს
რომ ეყოფათ ზამთარში
და უნდა მოშინაურდენ,
არ გამოუშვებ კარში.“

სთქვა: და კიდევ აასრულა,
თავს ევლება მწყემსი შვლებს!
ღღისით ასჯერ მიდის ჰხედავს,
ეფერება ვით შვილებს.

თივას აძლევს ერთი ორად,
ერთი ორად აკლებს თხებს,
გარეულის მოტრფიალე
შინაურებს აწუხებს.

მაგრამ მისმა საცადელმა
უბრალოდ ჩაუარა:
არც ერთმა იმ შველთაგანმა
გული არ აიყარა.

და თავის ძველ სამშობლოზე
თურმე გულში ჰფიქრობდენ
და როცა დროს იშოვნიდენ
გაქცევას აპირობდენ.

და მართლაც რომ გაზაფხულზე
რომ გამოუშვეს ყველა,
მოკურცხლეს ისევ მთებისკენ,
სუყველამ თავს უშველა.

შინაურს რომ გარეულზე
გასცვლი ასე ძნელია
და მისგანვე რომ წააგებ,
ესეც უეჭველია.

გლეხი და ცხვარი.

გლეხმა ცხვარზე საჩივარი
შეიტანა სამჯავროში,
მელა იყო მოსამართლედ
არჩეული იმა დროში.

მომჩივანს და მოპასუხეს
გამოჰკითხა ყველა წვრილად,
რადკან საქმის გამოკვლევა
არ უყვარდა მას გულ-გრილად.

გლეხს უბძანა: „რას უჩივი
ამ საბრალო ცხოველსაო?

ტყუილები არ არგია
აქ, სამართლის მთხოველსაო!

„მოახსენა: რას მიბძანებ?!
აღვიარებ სიმართლესო:
აღარა ვარ ქურდებისგან!..
ამომადგეს ამიკლესო!..

ქათმებს მპაჩვენ უმოწყალოდ
აგერ ერთი ხანიაო,
გავსკდი გულზე! აღარა ვარ!
ველარ ამიტანიაო!

დღეს მივასწარ საქათმეში
აღიონზე ამ ცხვარსაო,
რომ ჰსუნა და ბურტყელსა და ძვლებს!..
ველარ იტყვის უარსაო.“

ცხვარმა უთხრა: „არ ვყოფილვარ
მე აქ ამის მეტათაო!..
ისიც მხოლოდ კუნტრუშის დროს
შევბტი უცაბედათაო.

თვარა ისე რა მინდოდა,
რა ხელი მაქვს ქათმებთანო?
მოწმეთა მყავს მთელი ჯოგი,
წარმოვადგენ მათ თქვენთანო.

და ან კი რად მეჭირვება
ან ფული, ან მოწამეო?

ბალახს ვცოხნი, ხორცის ქამას
მოვახერხებ განა მეო?“

მელამ გულში ჩაიცინა,
სთქვა: „ცხადია შენ იპარავ!
ბანზე სიტყვას ტყვილად აგდებ,
მით ნაქურდალს ვერ დაჰფარავ!

ვინ გგონივარ, რომ მატყუებ!
ტყვილა თავს ნუ იკატუნებ,
რაც აქამდი გიხტომია
აწ კი იმდენს ვერ იხტუნებ.

ქათმის გემო მეც კი ვიცი:
კარგია და გემრიელი!
და შენც რომ ის დაგეჭიროს,
დაგეწოდა განა ხელი?

რომ ქურდი ხარ, ცხადი არის!
აღარ უნდა დამტკიცება!“
უბრძანა და დაადგინა
მართლ-მსაჯულმა განჩინება:

დაჰკალით და გაატყავეთ!
ამოიღეთ ოთხში ცხვარი!..
ხორცი მსაჯულს, ტყავი გლეხსა!..
და მოისპოს საჩივარი!..

ბ უ ლ ბ უ ლ მ ბ ი.

მეჩიტე ბუღბუღს იქერდა,
სადაც კი შეეყრებოდა
და გალიაში ამწყვდევდა,
მათი ხმა ენატრებოდა.

ცალ-ცალკე გალიაში მას
ჰყავდა სუყველა ჩასმული,
მაგრამ არ სტვენდა არც ერთი,
მკვდარი რომ ჰქონდათ მათ გული.

ერთმა მათგანმა იფიქრა,
რას მარგებს მწუხარებო?

ნათქვამი არის ძველთაგან:

„ჭირს უნდა გამაგრებაო!!

რაც შემძლია ვეცდებო,
ხმატკბილად ვიქიკიკებო;
თავს შევაყვარებ და მაშინ
კარი გამიღოს ეგებო!

მართლაც, დაიწყო გალობა
დაუცხრომელად ხმა ტკბილად;
მაგრამ შრომამ და იმედმა
მას ჩაუარა სულ ტყვილად:

სხვა, როგორც მისი ჟრგები
გაუშვა პატრონმა ყველა
და ერთგულ მოქიკიკეს კი,
ალარაფერი ეშველა.

პატრონს მოსწონდა, უყვარდა
მისი ერთგული მღერალი.

და მიტომ უფრო სიფრთხილით
მაგრად ჩაჰკეტა საწყალი.

ვინც გვიყვარს მას ვერ ველევით,
თავს დავსტრიალებთ ვით ჯარა
და იმას კი არ დავეძებთ,
მასაც ვუნდებვართ თუ არა?

ძ უ ნ წ ი

მიწაში დამარხულ დიდ-განძს,
ეშმაკი დაეპატრონა;
უთვალყურებდა, რომ მის მეტს
სხვას ალარავის ეპოვნა.

ტარტაროზისგან ბრძანება
მას მოუვიდა უეცრად;
რომ ჯოჯოხეთში ახლავე
გამოცხადდიო მსახურად.

რადას იზამდა! უჩრობას
ვერ გაბედავდა ცხადია!

და თანაც შიშობს: ვაი თუ
მოჰპარონ, რაც აბადია.

სახლის პატრონი ჰყავდა მას.
ძუნწი რამ სამაგალითო
და იმას უთხრა: „აგავსებ
მარგალიტით და თვალითო!“

უჩვენა განძი დიდ ძალი,
შენია, მოიხმარეო!..
სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეთ
მხოლოდ მე აღმიარეო!

შეჰკრეს პირობა, ეშმაკიც
სასამსახუროდ წავიდა
და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა
როდესაც ვადა გავიდა.

სიმდიდრეც ისევ დაუზვდა,
არ იყო ხელშეხებულო!..

და ძუნწი აწვა ლოდვივით,
მკვდარი და გაშეშებული.

ვინც ვერ მოიხმარს სიცოცხლით,
იმას რათ უნდა ქონება,
იმის ავლას და დიდებას
ეშმაკი ეპატრონება!

მგელი და პატარა თაგვი.

ერთხელ მგელმა, საძაგელომა,
მოიტაცა სადღაც ცხვარი
და ნადავლით გადიარა
სულ ძუნძულით მთა და ბარი.

შეიტანა უტყუ-ტყეში
და გულ-მშვიდად მიჰყო ხელი;
ძვლებს ჰკვრებდა და ქონს ჰყლობავდა,
ჩაიგემრიელა ყელი.

მართალია, სულ ხევეია,
მაგრამ სულ ვერ მოერია;

რაც მორჩა და ვერ შესჯამა
ბუჩქის ძირში მიათრია.

და თვითონ კი მეთვალყურედ
წამოაუწვა შორი ახლოს,
რომ ვერავინ ვერ გაბედოს,
მისს საუზმეს ხელი ახლოს.

ამ ღროს, თურმე სუნი ეცა,
გაჩნდა თავგი იქ პეტარა,
მიცუტუნდა სხვის სუფრასთან,
ცოტა ქონი მოიპარა.

მეთვალყურემ ალაღ ბედზე
შეატანა უცბად თვალი,
მოჰყვა „ვაი-უშველებელს“
და დაიწყო მან ღრიალი:

„ქურდი! ქურდი! მტაცებელი!
ჩემი დამქცევ-დამლუპველი!
აბა ვინ ხართ?.. არ გაუშვათ,
მაგ საძაგელს სტაცეთ ხელი!“

მაგრამ ქონი რომ წაიღო,
სოროშივე თავგი შეძვრა,
და მგელმა კი გულ მოსულმა
მაინც მთა და ბარი შესძრა.

ჩვენშიაც კი ბევრი არის...
— ვინ არ იცნობს ამ მგელ-კაცებს,
მაშინ მხოლოდ ღრიალებენ,
სხვა თუ რამეს მოიტაცებს.

გლეხების საუბარი.

„გამარჯობა ივანე!“ — გაგიმარჯოს გოგილო...
როგორა ხარ? რასა იქ? ხომ კარგად ხარ ძმობილო?
— მე რომ ვარ, იმისთანა შენს მტერსა და ორგულსა!..
ლამის თავი მოვიკლა და შემოვასკდე გულსა.

— რათა? რა დაგემართა, შე კაცო, მაგისთანა?
— ბედმა დაუნდობელად შიგ გულში დამკრა დანა.
გადამეწვა სახლ-კარი... აღარ დამრჩა ნამშრალი...
ჭირნახულიც თან გაჰყვა... დავრჩი ხახა გამშრალი.

სამოწყალოდ დარჩენილს დამეკარგა იმედი.
აი, ღმერთმა დასწყევლოს ჩემი ოხერი-ბედი! —
წრეულ საკაიდლოდ დავბატოე სტუმრები,
(ჩვენებურ ჩვეულებას აგრე ნუ ეხუმრები!)

იმ დიდ-დღეს გვაფიწყდება გლეხებსაც ვარამ-ჭირი!
საკლავები დავსწყვიტე, ქვევრებს უნახე ძირი:
მოყვარეს მოვულხინე, ზვალი დაუყენე მტერს:
ვქეიფობდით, ვიმღერდით მალალ მრავალ-ქაშიერს.

შეხარხოშდენ სტუმრები, მეც მიწია ნუნუამ
ღამი.. ვიძახოდი... სულ დავსკლი, რაც ქვევრი მაქვს ამაღამ,
წავბარბაცდი მარანში ღვინის ამოსატანად,
ჟინჯღალს მივაქანებდი თამამად-ლოთიანად;

თურმე გავარდნილიყო ნაპერწკალი იმავ ღროს,
ეშმაკის შენაბერი მოსდებოდა ფუტუროს!..
ჩვენ რაღას გავიგებდით, სანამ არ აპრიალდა?
თავი ძლივს დავახწიეთ, მეტიც აღარ დავგცალდა.“

ივანემ სთქვა: ეჰ, ბედმა აღარც მე გამიტანა
და შიგ ყელში გამირჭო მან სასიკვდილო დანა.
მეც შარშან დღეობაში, ჯერზე რომ მოვილხინე
და დამთვრალი სტუმრები სუყველა წავაძინე,

გულშია ვსთქვი: მძინარებს, რაღად უნდა სინათლე?
ცეცხლი მივაქრ-მოვაქრე და ხელად დავაბნელე:
მერე კარში გავედი ეზოში გასავლელად,
გზა ზეპირად ვიცოდი, არ მქ-ნდა საეჭველად;

მაგრამ, დახე ეშმაკსა, თურმე მიქცია მხარი,
გადავარდი კიბეზე, მუხლი ქვაზე დავჰკარი!..
როგორც იქნა გადავრჩი სიკვდილს... მაგრამ მაინც რა...
ბედმა ისე გამწირა, რომ სულ დამასაპყარა!..

ამ ღროს იმათ იქავე გვერდში უდგათ სისონა,
მომჩივრების ყბედობა არაფრად მოეწონა,
და უთხრა: „ეგვები განა ბედის ბრალია?!
მარცხი ყველგან თან დასდევს როცა კაცი მთვრალია:

ქკუას რომ გამოაცლის, დაუბნევს გზა და კვალსა!
დაუბნელებს თვალის ჩინს, გააბრუებს საწყალსა;
მაშინ ხომ სულ ერთია მისთვის დღე, თუ ღამეა!..
და თქვენც ბედს რას აბრალებთ თქვენს მარცხს, ჩემო ძამია!

კატის კნუტი და შოშია

ერთ ოჯახში შინ გაზრდილი
გალიაში ზის შოშია;

როცა უნდა, მიფრენ-მოფრენს,
არც სწყურია და არც შია!

ბედი სწყალობს... არაფერში
არ აკლია ღვთის წყალობა.—

თუმც არ იცის ბუღბუღივით
და შაშვივით მან გალობა.

მაგრამ არ სწუხსს.. მცირე ნაკლი
გულზე ლოდად არ აჩნია;
მაგიერად ჭკუას ჩემობს,
თავი ბრძენად შიანია.

იმ ოჯახში კატის ქნუტიც
იზრდებოდა ხატაური:
ბრიყვი იყო, არ იცოდა
ჯერ ხელობა მან კატური.

უყურებდა ყველას კარგად,
მეგობრულად კარგის თვალით,
გაუჭირვლად თავს ირჩენდა,
სხვის მონარჩენ-ნასუფრალით.

მოეწონა შოშიანსაც
და დაუწყო მეგობრობა,
თუმც იცოდა, რომ მათ ჯიშში
სუყოველთვის იყო მტრობა.

ერთხელ კატას მოშივნოდა,
არ ექმიათ როგორღაცა,
და ვერც თვითონ გაებედა,
რომ ძალათი მოეტაცა.

მაშინ მისმა მეგობარმა
უთხრა დიდი საყვედური:
„მეტად ვწუხვარ, რომ აქამდე
ბრიყვი ხარ და უსუსური

სხვის შემყურეს, შენ და თავად
არაფერი შეგიძლია!
ჭკვიანებს კი ამ სოფელში
არაფერი არ აკლია.

ვისი ხათრი? რისი ცოდვა?
და ან რის პატიოსნება?
დამიჯერე, რომ ეს ყველა
სიზმარია და ოცნება!

სადაც ნახო და მოასწრო
მოსახვექად სტაცე ხელი!

საიქიოს ან ვის მისდევს,
ეს ცხოვრება, ეს სოფელი?

აი ახლა შენ რომ გშია,
უქმელობა გულს გიღონებს,
ნეტავ ვისი იმედი გაქვს?
და ან ვინ რას გაიგონებს?

უხეიროვ! გალიაში
ვერა ჰხედავ აგერ ბუღბუღს?
მოსდე კლანჭი, გამოგლიჯე,
ჩაკვრიხე და იჯერებ გულს!..

გაბედა და აასრულა,
რაც ურჩია მეგობარმა,
მაგრამ ის რომ არ იკმარა,
გაგეშილმა, უმაძღარმა,
მიუბრუნდა მისევე მოძღვარს,
მადლი უთხრა, გაახარა,
და თან კრუტუნ-კულის ქნევით
ბრჭყალები კი გაუყარა!

— ასე არის, — ვინც ისურვებს
ცუდ-განზრახვით სხვისთვის ავსა,
იცოდეთ, რომ არ შერჩება,
გადახდება მასვე თავსა.

კატა და ბუღბუღი.

კატამ შეიპყრო ბუღბუღი, —
ჯერ გაუყარა ბრჭყალები,
და მერე უთხრა კრუტუნით:
„ბუღბუღო, გენაცვალები!

ყველგან გაქებენ მგალობლად,
მეც ბევრისაგან მსმენია!
ერთი ჩემთანაც იმღერე,
ნუ შეჭკრთი, რასა გრცხვენია!

ნუ გეშინია!.. არ შეგქამ,
ელოდე ჩემგან წყალობას,

თუ ჩემთან არ იუცხოვებ
და იწყებ ახლაც გალობას“.

რა ქმნას ბუღბუღმა, ტყვე
ქმნილმა,
თუმცა კატაკი ეფერება?
ტყავს აძრობენ და სისხლი სდის...
იტანჯვის!.. რა ემღერება?

ქვალსა და რბილში გაუჯდა
აუტანელი ტკივილი...
ბედს სწყევლის... გამწარებულმა
დაიწყო მხოლოდ ჭყვილი.

მაშინ დასცინა ციციუნამ:
„ახლა მე აღარ მჯერაო!..
ჩემმა ცინდლებმაც იციან
ემაგისთანა მღერაო!

არ ვარგებულხარ მომღერლად,
წყალობას ნულა ელიო!!
ახლა იმასაც გამოვსცდი,
თუ ხარ შენ გემრიელიო“

ეს უთხრა, იქვე ჩაჰკვრიხა
და მითი გული იჯერა!
ძნელია კატის კლანჭებში
ბუღბუღლის სტვენა-სიმღერა!.

ორი ძალღი.

ფანჯრის პირად დაკუცქულა
გოშია ყელ-მოდერებით,
და დაბლიდან მურა-ძაღლი
ეკითხება გაშტერებით:

„ჩემო ძველო აზნანაგო!
როგორა ხარ და რა დღეში,
მის შემდეგ რაც ჩვენ გავშორდით...
და შეხვედი სასახლეში?

— ქვეშაგებად ბალიში მაქვს,

არც მაკლია სმა და ჭამა,
ყველა, დიდი და პატარა
მეფერება ვით დედ-მამა.

ერთი სიტყვით ყოველ გვარად
ვარ კმაყოფილ ბედნიერი!
ახლა შენიც მითხარ რამე:
ხშირად ხოლმე ხარ მშიერი?

— ნულარ მკითხავ? მისთანა მტერს,
რაც მე საქმე მემართება,
ჩემ ხელობას ზედ ვაკვდები...
კუჭი მაინც არ მიძლება.

უსამართლოდ მეპყრობიან,
შრომას არად არ მიგდებენ,
თუ უდროვოდ წამცდა ყველა
კეტის ცემით გამაგდებენ.

შენ მაგრე რად გიფასებენ,
ერთგულელებს, თუ სხვა ძალას?
— იმად რომ სულ ყალყზე ვდგები,
გადავდივარ ყირამალას!..

ეს უთხრა და შეაქცია
ზურგი თვის ძველ-მეგობარსა,
დაჩაგრულსა, გულ ნატყენსა,
და შიმშილით ცოცხალ-მკვდარსა.

ცხოვრებაშიც ასე არის,
ვინ დაეძებს ჭკუის ძალას?
მალლა მალლა ის მიცოცავს,
ვინც გადადის ყირამალას.

თევზების ცეკვა.

პირუტყვების ხელმწიფობა.
ლომის არც თუ ზღაპარია:
ზღვა და ხმელი, მთა და ბარი
სუყველა მას აბარია.

დიდებული მეფე არის...
მის ხელშია სამართალი,
ვინც ურჩობას გაუბედავს,
ვაი მაშინ მისი ბრალი!

მოხელეებს პირუტყვები
ირჩევენ და ის ამტკიცებს,
მაგრამ დასჯით კი მარტო სჯის,
ასამართლებს და აფიცებს.

ერთხელ წყლების მოურავად
აირჩიეს ყველგან მელა;
თურმე ქრთამით იმ ეშაკმა
მიიბირა თვისკენ ყველა.

ლომ-ბატონმაც დაამტკიცა
ის თევზების მეთვალყურედ.
და უბრძანა: „თქვენც სიფრთხილით
და ერთგულად მემსახურეთ.“

მელამ მეფის სამსახურში
მოიმატა ერთი სამად,
როცა ერთი გლეხი-კაცი
მოიკიდა ნათლიმამად.

გლეხი ბადით თევზებს იჭერს,
არ ვინ უშლის ნადირობას,
სანამდი რომ არ იმტყუნებს
და არ გასტყებს მას პირობას,
ნანადირევს ნახევარ წილს
ის უგზავნის მოურავსა,
და თვითონ კი მოურავი
არ იმდაბლებს ქურდათ თავსა.

ერთხელ, როცა მეგობრები
მასპინძლობას აპირობდენ
და თევზებიც იქვე გობზე
საცოდავად ფართხალობდენ,

წამოადგათ ლომი თავზე
და უბრძანა გლეხს: „მითხარო:
აქ რა გინდა? ამ ღამეში
რას აკეთებ და ვინ ხარო?“

ათრთოლებულს გლეხს მუც
ჩაუფარდა შიშით ენა,
მაგრამ მელამ მის მაგიერ
ლომს ზრდილობით მოახსენა:

„ეს, ბატონო, მდივანია!
ჩემგან არის აყვანილი,
რადგანაც მეტად ერთგულია,
მეთვალყურე გახლავსთ ფრთხილი!

— ჰმ!.. ამ ცეცხლის თაობაზე
რატომ არას მეთუზნები?
— თქვენ გელოდით ხელმწიფეო...
გავაჩაღეთ ჩირალდნები?.

— ეს თევზები რაღას ნიშნავს,
რომ შევიტყოთ არ იქნება?
— თქვენ გიცდიან, ბატონო, რომ
მოგილოცონ მობძანება.

— თუ მაგრვა, რატომ ასე
გამწარებით ფართხალობენ?

— ნამეტანის სიხარულით
აქ რომ გხედვენ თამაშობენ!..

ამოდენი ცბიერება
ლომმა ველარ მოითმინა;
მოურავსაც და მდივანსაც
ერთად ბლღვირი აადინა:

და უბრძანა: „რასაც ამბობთ,
ცხადი არის, ყველა მჯერა,
მაგრამ იმით ცეკვა-თამაშს
დაამშვენებს თქვენი მღერა.“

ეს რომ ბრძანა, გაგულისდა,
აეზუძგა ფაფარ-ძუა,
და ორივე აამღერა
ბრკყალეებსა და ბრკყალებს წუა.

დაბეჩებული ლომი.

კბილები დასძვრა, ბრჭყალები
დასცვდა,
დაჩაჩნაკდა, დაბერდა ლომი,
და მხოლოდ სიზმრად აგონდებოდა
თვისი ნავარდი და ძველი ომი.

ველარც ჰყვიროდა, მხოლოდ
ღრინავდა,
ჩაჰგუბებოდა ნაღველი გულში
და საცოდავად შამბნარის პირად
მარტოკა ეგდო გამოქვამულში.

ეს პირუტყვებმა რომ გაიგონეს,
დრო შეურჩიეს, მოიციეს გული
და ძველი ჯავრის ამოსაყრელად
გარს შემოედვენ განრისხებული.

ზოგმა დატორა, ზოგმა წიხლი
ჰკრა,
ზოგმა ურჩინა, ზოგმა უკბინა!
რალა გზა ჰქონდა? შეურაცყოფა
უნდა ეტვირთა და მოეთმინა.

მაგრამ როდესაც ვირი მივიდა
და მოემზადა, რომ წიხლი ეკრა,
მაშინ კი მეტად შეწუხდა ლომი
და გულ-მოკლულმა ეს გაიფიქრა:
„ამას რას ვხედავ?... რა დღეს
მოვესწარ?!“

ვაი შენ, ჩემო საბრალო თავო?
ამ ვირის წიხლებს ის არ მერჩია,
რომ აქამდისაც მომიკვდარეყავო?“

ლ ლ ა ვ ი.

ერთ მდინარეში თევზები
სცხოვრებდნენ სიამ-ტკბილობით

და ეპყრობოდნენ ერთმანეთს
თეზისა წესზე ზრდილობით:

არც ვინმე მტერი ჰყოლიათ,
არც ვისმე ემტერებოდნენ
და თავის ნება სურვილით
სსურავდნენ... ქვებში ძვრებოდნენ.

მაგრამ ეს წუთის სოფელი
მარადის ვისმე ახარებს?
რაც მოუცია წლობითა
წუთობით სულ ჩაამწარებს!

დალახვროს ღმერთმა!.. როგორ-
ლაც

გაუჩნდათ ღლაღვი ყლაპია,
კულ-წვრილა, ფაშვა და თავიც
ზედ გამოქრილი ხაპია!

გადაემტერა თევზებსა,
აღარ შეხედა მის ღმერთსა,
გაუსვა ხელი წვრილ-თევზებს,
დღეს ერთს ჰყლაპავდა, ხვალ ერთსა.

დღეს-ხვალიობით ნელ-ნელა
გაანახევრა-გააწყო
და მაინც ხარბი მუცელი,
არ იქნა, ველარ გააძლო.

უჩივლეს სასამართლოში,
წამოაყენეს ღლაღვიცა,
და მოახსენეს მსაჯულებს
მისი კარგიც და ავიცა.

მსაჯულათ იყო ერთი თხა,
ვირი და ერთიც მელია,
სცნეს დამნაშავედ ღლაღვი და
მაგრად ჩაჰკიდეს ხელია.

გადაუწყვიტეს სიკვდილი:
რომ სხვებიც შევაშინოთო,
სხვა გვარად სიკვდილს ისა სჯობს,
დიდ ხეზე ჩამოვკიდოთო.

მაგრამ მეღამ სთქვა, რას ბრძანებთ?

დამნაშავეა ძნელიო
და ეგ ცოტაა... არ კმარა
მაგისტვის ეგ სასჯელიო!

სჯობს, ქვეყნის დასანახავად,
ჩვენ დავადგინოთ დღეს ესო:
წყალში ჩავაგდოთ პირ და პირ,
რომ იქ ჩაიღრჩოს — ჩაღპესო.

დათახმდენ სხვებიც და ღლავი
გობით წაიდეს სხვა ხევში,
და აასრულეს კანონიც:
გადაუძახეს მორევში.

ამ გვარად სასტაკობითა
გადააქარბა ყველასა
და ის კი არ ვინ იცოდა
რა აზრი ჰქონდა მელასა.

თურმე პირობა შეეკრა
დამნაშავესთან მსაჯულსო:
სწირეო, როგორც ვიწირავს,
ნუ გადუდგები. შენ სჯულსო.

შიში აწ ნულა გექნება,
გაჰკარ — გამოჰკარ კბილიო!
მაგრამ შენს ნანადირევში
მეც კი დამიდგ წილიო.

მ ა ზ ა რ ი.

აქ მოდი, ჩემო ძმისწულო,
სადა ხარ, სად იმალეები?
მოდი, ისწავლე ვაქრობა,
გამოახილე თვალეები!!

დამბალი ჩითი რომ გვეგდო
ამდენ ხანს საექველადო,

ის მივაჩიე ერთს სულელს
და გავასადე ხელადო!”

ასე უამბო ვაქარმა
თავის მოსწავლე ძმისწულსა
და ხელში ატრიალებდა
სიამოვნებით იმ ფულსა.
ძმისწულმა უთხრა: „ესთქვათ, კარგი,
დამბალი რომ მივიცია,
მაგრამ მოგებას არც შენ ხარი
ვერ ხედავ, ჩემო ბიძია?”

ეგ ფული არას გარგია,
ყალბია, არ აიღებენ!...
სხვის გაბრიყვებას რომ სცდილობ,
შენც მაგრე მოგაჯყუებენ!”

სამართმეველი.

სასტუმროში ამხანაგთან
გავათიე ერთხელ ღამე.
ვისიამეთ, მაგრამ დილას
კი წავგემწარდა ის სიამე.

დილით ადრე, — ალიონზე,
გულის ძილში რომ ვიყავი;
ყურში რაღაც შემომესმა,
უცბად თავი წამოვყავი.

ჩემ მეგობარს, თვალცრემლიანს,
გამწარებულს არ ეძინა;
ხელში დიდი სამართებლით,
ღამჯდარიყო — სარკის წინა.

კენესოდა, იქყანებოდა,
მოდიოდა მთლიათ ანთება;
მივძახე: ჩემია ძპაო!
რა გკირს? და რა გემართება?
მიპასუხა: „წვერს ვიპარსავ,
ეს მიჭირვებს საქმესაო!”

სამართებლის ბრალი არის
სულ ეს ტანჯვა და კვნესაო!

რომ დავხედე სამართებელს,
მე სიცილმა ამიტანა:

სამართებლის მაგიერად
ხელში შემპრჩა ბლაგვი-დანა.

ეგ რა სამართებელია?
გაოცებით მივაძახე—
რად გინდა, რომ მაგ სასხლევეთ
გაიფუქო პირის სახე?

ისე იფხეკ, თითქოს მართლა,
საქალამნე იყოს ტყავი,
ჩაიხედე მაგ სარკეში
რა ხარ და რა სანახავი?

რა სჯობია სამართებელს
გაღესილს და გამოჩალბულს?
მაგრამ შენ კი, ჩემო ძმაო,
სულ უბრალოდ იწუხებ გულს!

არ დაუჯდა ჩემი რჩევა,
აცხვირულმა მიპასუხა:

მართალია ამ სასხლევემა
დამტანჯა და შემაწუხა,

მაგრამ მაინც სამართებელს
გამოვტყდები მიჩრჩევნია!
ვერ ვენდობი სამართებელს,
ბასრი არის—მეშინია!...

ვინც კარგსა და სასარგებლოს
რიგიანად ვერ მოიხმარს
ის მოუა, რა თქმა უნდა,
რაც საბრალო ჩემ მეგობარს!

თრითინა

ბორბლებიან გალიაში
ჩაემწყვდიათ თრითინა,

ფეხებს ვერ იკავებდა
ვერც უკან და ვერც წინა.

ვერც ახერხებდა ჯდომას
და ვერც სადმე წვებოდა
და ძალა უნებურად
ბორბლის ტრიალს ჰყვებოდა.

ვითომ კიდევ გარბოდა,
მაგრამ იქვე რჩებოდა;
თემობა იყო, ხალხი
იმას მისჩერებოდა;

როგორც სათამაშოსკენ,
მისკენ რჩებოდათ თვალი,
ჰკვირობდენ: რათ ხტუნაესო?
და გაჰქონდათ ხარხარი.

იქვე მახლობლად ხეზე
შემომჯდარიყო მტრედი.
თრითინას კვიწიალმა
დაასხა... თავბრუ-რეტი.

და ჰკითხა: „სახლიკაცო,
მაგრე რას ტრიალობო?
მეც თვალებს მიბრჰყვიალე
და შენც ტყვილა წვალობო!

უპასუხა: ხომ მხედავ,
რომ მოცლილი არ ვარო?
პატრონს ვყავარ შიკრიკად
და იმას ვახლავარო.

არცა ვსვამ და არცა ვჭამ,
არ მაქვს მოცალეობა:
აი ასე ძნელია
დიდი კაცის ხლებაო!

მტრედმა უთხრა სიცილით:
ღმერთმა კი მოგცესო!
მაგრამ, ტყვილად გიყურებ,
ვერ გავიგე მეც ესო:
გარბი ორამონალებ,
რაც ძალი გაქვს, ხტინარო,

მაგრამ შორს ვერ მიდინარ,
სულ ერთ ადგილს გდინარო! —

ზოგი ერთი კაცია
სულ შრომობსა და წვალობს,
მაგრამ წინ კი ვერ მიდის,
სულ ერთ ადგილს ფართხალობს.

ლომი, არჩვი და მელა.

გამოდგომოდა ლომი არჩვს,
მისდევდა გამწარებული,
არც არჩვი არის სისწრაფით
ლომზე ნაკლებად ქებული;

ერთ ამუხლს კიდევ აჯობებს
თუ კლდეში დაიმალება,
მაგრამ ხანგძლივი სირბილით
ადვილად დაიღალება.

და ახლაც ტრიალ მინდორზე
ლომი დაირჩენს მოედანს;
ჰა, სადაც არის, დასწვდება
და გაუერთებს ძვალსა და კანს.

მაგრამ, დახედეთ არჩვის ბედს,
წინ თხრილი დახვდათ ვაება,
არჩვი გადახტა და ლომი
შეჩერდა, თითქო დაება.

ველარ გაბედა გახტომა,
თავის განწირვა ძნელია;
მაგრამ სად იყო სად არა,
გაჩნდა იქ კულა მელია.

და მოახსენა: „ბატონო,
ვინ თქვენ და ვინ ეგ შიშოი!
განთქმული არის სიმარდე,
თქვენი და იერიშოი!

მე გეტყვი, გაგიჭირდებათ?!
გადახტით, რალას უყურებთ?
თუ აპატივეთ ერთს, მწრე
სხვებსაც ვერ მოიმსახურებთ!

გაბრიყვდა ლომი... დათანხმდა,
შეხტა და შეინავარდა!
უნდოდა გადამხტარიყო
და უფსკრულ ხრამში ჩავარდა.

ისე დაიმტვრა საბრალო,
რომ ძვალიც არ შერჩენია
და მისი უბედურება
არც იმის ვეზირს წყენია.

ის ქირისუფლად ჩავიდა,
დაბლა მკვდარს გამოეცხადა;
იტირა, დიდხანს იგლოვა,
ალაპიც გადაუხადა.

მთელი თვე ტანსა უწმენდა,
ენას უსვამდა ძალზედა
და არც მოშორდა სანამდი
არ დაიყვანა ძვალზედა!

ორბი და გუბული.

ერთიხელ ორბმა გუგული
დაამტკიცა ბულბულად;
შეიფერა გუგულმაც,
ვარდზე დაჯდა დიდგულად.

სთქვა: „მეტი რალა მინდა,
ბულბულივით ვისტვენო,
გავაკვირვებ ქვეყანას
და თავს გამოვიჩინო!“

თავის ხრინწიანის ხმით
დასძახა არე მარეს,
გაიგონეს ჩიტებმა,
სიცილი დააყარეს.

გაგულისდა მღერალი:
„ამას როგორ ბედვენო?
ბულბულობა, რომ მომცეს,
განა ვერა ხედვენო?“

ორბს შესჩივლა: „ბატონო!
დიდებულო, სვიანო!
თქვენი ურჩი ჩიტები
მკიცხვენ, დამცინიანო!“

ორბმა უთხრა: „რა გიყო?
რომ გიშველო მზა ვარო,
მაგრამ რა შემოძლია!
ღმერთი ხომ არა ვარო?“

როგორც მეფე, მე გაძლევ
გარეგან წყალობასო
და ყელში ვერ ჩაგიდებ
ბულბულის გალობასო“.

შევარდენი და მატლი.

შევარდენმა, მალლა-მფრენმა
ხის წვეროში მატლი ნახა,
გაუკვირდა: „სიდან-სადო?“
და დაცინვით გადმოძახა:

„ვინ იცის თუ რა წვალეებით
ამოსულხარ ამ სიშორეს?
მინამდი კი დაცოცავდი,
ედებოდი ღობე-ყორეს.“

მაგრამ აქაც საშიშია,
უნდა იყო მარად ფრთხილად;
ქარმა თუ შტო შეარხია,
გადაგისვრის ძირს ადვილად.“

მატლმა უთხრა: კი შეგშვენის
ხუმრობა და ეგ სიცილი;
მაგარი გაქვს რადგან ფრთები
და ნავარდობ კმაყოფილი.

მაგრამ აღარც მე ვარ—უშნო!
საგულესაც მაქვს მე გული,
და პატარა მაგარ შტოზე
მარჯვეთა ვარ მიტმასნული.

მალლა ასვლა შესაძლოა
სხვა გვარადაც—სულ სხვა წესით:
ერთი აღის შევარდენის ფრთით
და მეორე ცოცვა-ქლესით.

მუშა და კვიცი.

ერთხელ მუშა ქერს სთესავდა
ხნულში, აქით-იქით ჰყრიდა,
კვიცმა პატრონს თვალი მოჰკრა,
რას შვრებაო?—გაუკვირდა.—

ჩვენ უჭკუოდ მივაჩნივართ,
გვეძახიან უგნურ—მხეცებს,
მაგრამ კაცის მოქმედება
პირუტყვსაც კი გააცეცებს.

აი ეხლაც, რისთვის აბნევს
უსარგებლოდ ამდენ ქერსა,
რომ არავის არ არგია,
არც ძოყვარეს და არც მტერსა?

ის არ სჯობდა მე მეჭამა,
და ან ლურჯას, ჩვენს ბედაურს?
ან საკენკად მისცემოდა
ჩვენს ქათმებსა და ინდოურს?

თუ სიძუნწით ვერ იმეტებს,
არ სჯობდა რომ შეენახა?
იჰ, რა ვუთხრა?.. ვინც პირველად
კაცს „ჭკვიანი“ დაუძახა!..

გაიარა ცოტა ხანმა,
ქერ-ჯეჯილი აბიბინდა
და სამკალი რომ შეიქნა
ჩვენი მუშაც აფოფინდა.

მომკო ღროზე და გალეწა,
მოსავალიც კარგი ნახა
და საკვებად ზამთრისათვის
ისევ ცხენებს შეუწახა.

კაციც ხშირად პირუტყვია,
როცა სწუნობს ღვთის განგებას! —
რა ფასი აქვს უგნურების
ან გონებას და ან ქებას?!..

ღარიბი მდიდარი.

ვინც მოხმარება არ იცის
ნეტავ რათ უნდა ქონება?
ეშმაკებისთვის აგროვებს,
გათანტული აქვს გონება.

სიცოცხლე წამწარებულსა
არც სმა უვარგა, არც ჭამა;
მოწამლული აქვს სურვილი
და მოშხამული გულის თქმა.

სხვებისთვის ოხერ-ტიალი,
ველარც თავის თავს არგია,
მოკვდება, ოხრად დარჩება
ქონება... სხვისი ბარგია!

ეს რომ იციან და მაინც
გულს არ იტეხენ მდიდრები?!
რასა ჰვავს მათი სიცოცხლე?!
რალა ცოცხლები!.. რა მკვდრები!..

რომ რამე მქონდეს, ცხოვრებას
მეფურად გავატარებდი,
მტერსაც კი, არ თუ მოყვარეს..
მივცემდი... გავახარებდი.

სხვა რა შემრჩება ამ ქვეყნად?
მოკვდები, ყველა გაქრება!
ვის წაუღია იმ ქვეყნად
ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრება?

ნათელი, ქეშმარიტება,
ეს მდიდრებისთვის ბნელია,
მართალი უთქვამსთ, რომ „ქკუ“
ძნელი რამ საპოვნელია!“

ასე ფიქრობდა ღარიბი,
ქილოფზე წამოწოლილი;
ოცნებით წატყუებულსა,
არ მოსდიოდა რა ძილი.

უეცრად გაჰოცებდა
ვილაც ადამის სახითა,
ჯოჯობეთური განძრახვით
და ეშმაკური მახითა.

უთხრა: „მე შენი ბედი ვარ,
რამ შეგაშინა მაგრეო?
ბედსა გწევ... არაფერს გერჩი,
და გული გაიმაგრეო.

მიგიხვდი რასაც ფიქრობდი,
მომწონს განზრახვა შენიო,
მინდა დაგიტკბო სიცოცხლე,
და დაგიტაფლო დღენიო.

ამას ჰხედავო? — უჩვენა
ქისა ნაქსოვი უბრალო —
შიგ ერთ ოქროს მეტს ვერ ნახავ,
ასჯერაც დაატრიალო.

რომ ამოღებ იმ ერთს კი,
მაშინ მეორეც გაჩნდება..
არ მოაკლდება თვითოსა
და არც სხვა მიეპატება.

შიოს მარანი — ქისაა,
საუნჯე დაუღეველი —
სულ თვითო თვითოთ აჭკრიფე,
ჩაჰყავი ხოლმე შიგ ხელი..

და როცა გული გაგიძრეს,
გეყოს წყალობა უფლისა,
წყალში ჩააგდე, ან დასწვი,
ნულა ვექნება ეგ ქისა!

ნებაც არა გაქვს დხარჯვის,
სანამ არ იზამ ამასა!

მერე კი... რომ მოიშორებ,
მიჰყევ სმასა და ქამასა.

გადასცა ქისა და უცბათ
გაუჩინარდა სტუმარი!..
ღარიბიც თვალებს აქყეტდა:
ხომ არ არისო სიზმარი?

ბოლოს მოვეგო გონებას,
ათრთოლდა სიხარულითა,
წამოიმკლავა საჩქაროდ,
საქნარს მიუჯდა გულითა.

ცალხელში ქისა უჭირავს,
მეორეთი ჰკრეფს ოქროსა,
ფაცა-ფუცშია... არ ჰკარგავს
არც ერთი წამით ის ღროსა.

იძახის: გათენებამდი
მოვასწრებ გამდიღრებასო
და მეტი აბა რა უნდა
ჩემ შვება ნეტარებასო

იღებს ხელ-მარდად ოქროებს,
აგროვებს ხორა ხორადა,
მდიღრდება და თან გულის თქმაც
ეზრდება ერთი ორადა.

გათენდა—ამბობს ამ ღამემ
რა მალე გაიარაო:
სალამომდინაც ვაგროვებ,
თორემ ეს არა კმარაო!

დაღამდა, მაინც მუშაობს
თავს ვერ ანებებს შრომასა,
სასწორ-საზომი არა აქვს
საბრალოს სურვილ-ნდომასა.

არც დაღამებას დაეძებს,
არც დასდევს გათენებასა,
ჰკრეფავს და ჰკრეფავს ოქროებს,
არ ექებს მოსვენებასა.

ტკბილად ვერას სქამს, არ სძინავს,
იძახის: ცოტა კიდევო!
მეორეთ სადღა ვიქნები,
ამ ბედის გადამკიდევო.

ღლე ღლეს გაუბრძის და თვე-თვეს,
ღარიბი განსაცდელშია;
ვერ შელევია იმ ქისას
ვერც ხარჯავს, რაც მის ხელშია.

დაჰკნა, ჩამოხმა ჩირივით,
გაყვითლდა ოქროსაგვითა
და მაინც ვერ შეეღია
ქისას ცოცხალის თავითა!

დაეცა მის ძველ ქილობზე,
სული ამოხდა დატანჯულს
და ღია დარჩა თვალები,
თვითქოს უჭკვრეტსო ოქროს ფულს.

ფოლადი.

უტარო და უქარქაშო
ხმალი ეგდო საღაროში,
რკინა იყო ხორასნისა
განთქმული რამ თავის დროში.

ახლა ან კი ვინ იცნობდა
წმინდა ფოლადს დაეანგულსა?
მივიწყებულ-მიგდებული
ასქდებოდა თავისს გულსა.

ერთხელ ნახა იქ პატრონმა,
უცბად ხელი დაატანა
და, ურგები როგორც რამე,
გასაყიდად გაატანა.

აატარეს, ჩაატარეს,
არ მოჰკიდეს ხელი არსად,
სანამ გლყებმა არ იყიდა
სულ უბრალო ჩალის ფასად.

სთქვა: წაუღებ სახლში ბავშვებს
ხეების ტყავ გასაძრობად,
თვარა ასე რა შეილია!

ვის რათ უნდა? რა ოხრობად?

რომ ჩაიგდეს ხმალი ხელში,
ყმაწვილებმა გაიხარეს,
გაუკეთეს ხის ქარქაში
და ხის ტარში გაუყარეს.

ხან ჩიჩქნიდენ წვერით მიწას,
ხან ურტყამდნენ ღობე ყორეს,
წარა-მარა ჩახა-ჩუხით
პირი ყუას გაუსწორეს.

თავგმა უთხრა: „ერთხელ ხლმებზე
ბევრი ქება მსმენიაო

და შენ მაგრე რომ გიყურებ,
შენ მაგიერ მრცხვენიაო!

აბუჩად ხარ აგდებულო,
პატივიც კი აგხადესო
და ბალღების უსუსურის
სათამაშოდ გაგხადესო!“

უპასუხა: მართალი ხარ!
განა მაგას ვინ არ გრძნობსო?
ეგ იმისი სირცხვილია,
ვინც ავს და კარგს ვერა სცნობსო.

რომ იცოდენ ჩემი ფასი,
მომიხმარდენ სხვა გვართო,
და ახლა კი მაგათ თვალში
აღარ ვღირვარ არც ფარადო!

მ ი რ ი.

გლენ-კაცს ერთი ვირი ჰყავდა,
კარგი ვირის პირობაზე,
უვლიდა და იურვებდა
ყოველ კვირის კვირობაზე.

რომ სთქვას კაცმა, ღირსიც იყო,
პატრონს მისთვის რომ მოეგლო:
ოჯახისთვის კარგი იყო,
ყველაფერში სასარგებლო.

არაფერს არ უარობდა,
გამრჯე იყო ის საწყალი,
ხან წისქვილში დადიოდა,
ხან მოჰქონდა შეშა, წყალი.

პატრონმა სთქვა ერთხელ: „ამ
ვირს,

ჩემს სახედარს და საბარგოს,
ყელზე ზარას ჩამოგვიდებ,
რომ შორს აღარ დამეკარგოს.

სთქვა და კიდევ აასრულა,
ვირსაც ჯილდო მოეწონა,
რადგანაც მას ორდენებზე
ბევრი რამე გაეგონა.

გადიდკაცდა, გაამაყდა,
გაიბერა ყურ პანტურა,
მაგრამ ბედი-კი იმ დღიდან
იმ სულელმა დაიმდურა.

აღრე ჩუმად სხვის ბაღსა და
მინდვრებში რომ დადიოდა,
ვერავინ ვერ ტყობილობდა,
და არცა ვინ რას ერჩოდა.

და ახლა-კი ზარის ხმაზე,
სადაც ნახეს, დაიჭირეს;
მიაყოლეს ქვა და კეტი,
დასცხეს ზურგზე, აატირეს!

აიბუფს საცოდავი.
მშველელი რომ აღარ ჰყავდა,
ჩამოყარა ძირს ყურები
და სიმშლით გაძვალ-ტყავდა.

მგელი და კატა.

ტყიდან მგელი გამოიგდეს,
არის ყეფა და ყიჟინი!..

ვინ დაზოგავს იმ საცოდავს?
ვის არა სჭირს მისი ჟინი?

გააძრობენ ცოცხლადვე ტყავს,
თუ ჩაიგდეს სადმე ხელში,
მაგრამ მგელმა გზა უქცია,
შემოიქრა შიგ სოფელში.

უნდოდა, რომ სხვის ეზოში
შემძვრალიყო ცოდვის შვილი,
მაგრამ ყველგან ჭიშკრის კარი
იყო მისთვის დაკეტილი.

არ იცოდა რაღა ექნა,
დააფჩინა შიშით ხახა,
აიხედა და ღობეზე,

კატა ცუცქდა, დაინახა,

შეეხვეწა: ვერ უყურებ,
სასიკვდილოდ მდევენ მეო?
და თუ ძმა ხარ, მომეხმარე,
მიმასწავლე ვისთანმეო!

ეგებ გლეხი ვინმე იცი
გულ-კეთილი მოწყალეო,
რომ გადავრჩე ამ ღვთის რისხვას,
დავიმალო იქ მალეო!..

—მიღი აგერ გოგოასას,
ღია რომ აქვს სახლის კარი.

—არა, მასთან ვერ მივბედავ:
შეუქამე მაკე ცხვარი.

—შეუხვიე მაშ პეტრესთან!
კეთილია... კარგი კაცი.

—ვერც იმასთან!—გაზაფხულზე,
დაუგლიჯე დიდი ვაცი.

—მაშ ისევ სოლომანასა
შეეხვეწე, შეევედრე!

—რაღა პირით, რომ მაგისიც
შარშან დიდი ხბო ვიხვედრე?

—მაშ ისევ ქვრივ სალომესს
მიდი! —თავი შეიფარე!

—გამწყურალი მყავს იმის შემდეგ,
რაც გოქები მოვიპარე...

—დალოცვილო, რომ იცოდი
ამ სოფელში ყველას სძულდი,
რაღა პირით და იმედით
ისევ აქეთ მოძუნძულდი?

სჩანს, არავინ გაგიკითხავს,
თავს უშველე, წადი მალე,
და თუ რამე დაგემართოს,
ის შენ თავსვე დააბრალე.

გ ვ ე ლ ი.

ერთხელ გველი, გულ-მოკლული,
შეევედრა შემოქმედსა:

„მე ქვემძრომი მიტომა ვარ,
რომ ვშიშობ და ვმაღავ ქედსა.

დიდი არის, თუ პატარა,
ყველა მტრულად მე მიყურებს,
სუსტი გარბის, და ძლიერი
ქვასა და კეტს მისუსურებს.

აშას მიტომ, რომ ვსისინებ,
ხმა არა მაქვს... არ ვარგია;
და ამითი უმიზეზოდ
ყველგან ნდობა დამკარგვია.

რომ მქონოდა მე ნაზი ხმა,
ან ბულბულის ტკბილი ენა,
მე ვიცოდი მაშინ ქვეყნად
ჩემი თავის გამოჩენა. —

მაგრამ რაღა გაეწყობა,
როცა გყავარ დაჩაგრული!

სხვებს შევნატრი, და ჩემთვის კი არსად არის სიხარული.—

შეებრალა შემოქმედსა,
აუსრულა მას სურვილი;
მიანიჭა ბუღბულის ხმა
და გალობა მისი ტკბილი.

ასრიალდა ხეზე გველი,
ბუღბულივით დაისტვინა;
და ბატები მისმა სტვენამ
ყოველ კუთხით მოაფრინა.

ახლოს დაჯდენ, რომ ეგონათ
ჩვეულებრივ იქ ბუღბული,
მაგრამ როცა დაინახეს,
შიშით გადუბრუნდათ გული.

აფრთქილდენ, გადაფრინდენ
და შორიდან იწყეს მზერა;
თავს იქერდენ შორს და ფრთხილად,
თუმც მოსწონდათ კი სიმღერა.

გველმა ჰკითხა: „რად გარბიხართ?
რითი ვარ მე საშიშარი,
მაშინ როცა ჩემი მღერით
დამტკბარია მთა და ბარი?“

უპასუხეს: კარგად მღერი,
მაგრამ მარტო ევ არ კმარა;
ჩვენ გვაშინებს, პირში რომ გაქვს,
ის წყეული შხამ-ისარა.

კაკარჭინი (თევზია).

ერთმა ვინმემ აუზებში
წვრილი თევზი გაიჩინა:
ლორქო, ჩხამა, თევზ-ნაფოტა,
გველანა და კაკარჭინა.

მათ რომ ჰქონდა, იმისთანა
არ ნახულა სხვაგან ბინა;

აქ მოშენდნენ და გამრავლდენ,
მაგრამ მარტო სულ ჭიჭყინა.

გაჭირვება ქვეყანაზე
არ ენახათ,—არ იცოდენ!..
უზრუნველად, უშფოთველად
ცურავდენ და მალლა ხტოდენ.

ერთხელ პატრონს უცნაურმა,
რალაც ფიქრმა გაუარა:
ოციოდე ქარ ულაპია *)
იმავე ტბაში გადაყარა.

მეგობარმა გაიკვირვა—
ეს რა ქენი ძამიაო?!
არ იცი, რომ ქარ ულაპია
არის თევზის ჭამიაო?

რასაც ეგ მაგ წვრილ თევზს უხამს
იმისთანა დღე თქვენს მტერსო,
სულ ჩაულაპავს — სანაშენოდ
არ დასტოვებს არც ერთ ღერსო!

მეპატრონემ გაიცინა:
კარგად ვიცი მეც ყველაო,
მაგრამ ვინ გითხრა, რომ მე მსურს.
დახმარება და შველაო?

კაცის გული დაფარული,
ბნელი არის და უძირო,
და მიტომაც მისი ეცევა
როდი უნდა გაიკვირო!

ჩანჩქარი და ვიძა.

მალლიდამ გადმოქუხარებ
ჩანჩქარმა უთხრა ვეძასა:
ადამიანის ხასიათს
ვერც კვალს გაუგებ, ვერც გზასა!

*) კბილბასრი თევზი.

მე მესმის, როცა სტუმრები
 მომდიან სანახავადა,
 მიტომ რომ სასიამოვნო,
 კარგი ვარ ჩემდა თავადა;

თეთრად ვჩუხჩუხობ რძესავით,
 ოცნების ცივი მღულარე;
 ღაღადღავარ, ჩამიმღერია,
 ყურს მიგდებს მთელი ეს არე.

შენ კი სულს ჰლაფავ, ოდნად
 რომ მიიპარები ნელ-ნელა, —
 მიწასაც ძლივს თუ ატყვიხარ
 და გარს გეხვევა სუყველა.

ვეძამ მიუგო სიმდაბლით:
 „რასაცა ბრძანებ ცხადია
 თქვენ რომ გაქვთ, ის გარეგნობა
 ვინ მომცა?... არ მახადია!“

მაგრამ მნახველებს თქვენზე მეტს
 მე მხოლოდ მითი ვიზიდამ,
 რომ სამკურნალო გახლავარ
 და არა გასარაობი რამ,..“

ლომი.

ბატონი ლომი დაბერდა,
 ტყავი დააჰკნა ძვალზედა;
 მუხლებში ღონემ უმტყუნა,
 ბინდი ეკვროდა თვალზედა.

ვერ ახერხებდა წოლასა,
 სიამით აღარ სძინავდა
 და კლდებზე წოლით გვერდები
 სტკიოდა, მწარედ ღრინავდა.

რომ გაუჭირდა ბოლოს დროს,
 მან დაუძახა ვეზირებს:
 მგელსა და დათვისა ბაჯგვლიანს
 და იმათ მაგვარ ნადირებს.

უბრძანა: რბილი საგები
 დღეიდან მეჭირვებაო,
 და მომიმზადეთ მისთანა,
 როგორც მეკადრებაო!

რომ შევაწუხო, არ მინდა
 ქვეშევრდომები ყველაო,
 კარგს იზმენ ბეწვს თუ მომცემენ
 დათვი, მგელი და მელაო.

მათ მოახსენეს: რას ბრძანებთ,
 თქვენ შემოგვევლეთ გარსაო,
 თუ რამეს გარგებსთ, ტყავზედაც
 არ მოგახსენებთ ვარსაო.

თქვენ სამეფოში, ბატონო,
 ვინ დაიზოგავს თავსაო,
 მაგრამ თქვენ ქვეშაგებად კი
 სჯობს სხვასა ვთხოვდეთ ტყავსაო?

რბილ მატყლიანი ბევრი გყავს
 არჩვი, ირემი, შველიო;
 ხარჯს არ იხდიან არც ერთი,
 იმათ ჩავავლოთ ხელიო!

ერთხელ რომ ტყავი გავაძროთ,
 არა უჭირს რა არც ერთსა,
 და თქვენ კი რბილად დაწვევით
 გაითბობთ მუცელს და ფერდსა!

ლომს მოეწონა იმათი
 ნათათბირ — ნავეზირალი;
 წამოაყენეს სუყველა
 შეშინებული მტირალი.

ტყავი გააძვრეს ხელ-და ხელ
 მშვიდ და უწყინარ ნადირებს!
 და ბეწვიც არ დაჰკარგვიათ
 დიდ — დიდ ბანჯგვლიან ვეზირებს.

მთავრობაც, ლომის არ იყოს,
 დიდებს უჯერებს... არა მტრობს...
 და პატარაებს იბრიყვებს,
 გაუკითხავად ტყავს აძრობს.

სამი გლახი კაცი.

პეტერბურგში სამუშაოდ
წასულიყო სამი გლახი;
რომ იშოვეს ცოტა ფული,
შინისკენვე დაჰკრეს ფეხი.

გზაში ცოტა დაილაღენ
და შიმშილმაც მოუარათ,
მაგრამ რაკი ფული ჰქონდათ,
არ ჩააგდეს ის სულ არათ.

როცა ღამის გასათევად,
შეუხვიეს ერთ სოფელში,
როგორც იქნა საწუწქნარაც
ცოტა რამე იდგეს ხელში:
„შიჩ“ და „ქაშა,“ რუსის გლეხის
სიმდიდრე და ღვთის წყალობა,
როგორც ქირში, ისე ღზინში,
საყველ-პურო მასპინძლობა.

ამისთანა მცირე ვაზშამს
შემოუსხდენ გარს მგზავრები
და ჰფიქრობდენ მუცელ-კუჭის
მოტყუებას ცოცხალ-მკვდრებში.

ერთს იმათგანს თითქოს რაღაც
გაახსენდა უნებურად
და ამბავი ჩამოაგდო
ლაშქრობაზე ოსტატურად:

მართლა იცით რა გავიგე?
რამ ჩამაგდო ცოტა შიმშილი?
თურმე ჩვენი სახელმწიფო
არის ჩხუბის ანგარიშში.

მაგრამ ჯერ კი არ ვინ იცის,
დამარცხების ვის უპირობს?
ამას მართლ მე კი არა,
ბევრი, თურმე, სხვებიც ჰფიქრობს.

მეორემ სთქვა: რა თქმა უნდა,
რომ ჩამტვრევს ცხვირპირს თათრებს,

თვარა სხვებზე ტყვილა ხელის
განძრევასაც არ იკადრებს!

მესამემ სთქვა: არა ძმაო!
არ იქნება ეგ მართალი:
ახლა უფრო ჩინეთისკენ
გვიჰყვითა ყველას თვალი.

— შენ რა იცი? — შენ კი ბევრი?
შენზე მეტი? რატომ არა?
სსუ! გაჩუმდი! ნუ ტრაბახობ!
მე ვარ, თუ შენ, მეტიზარა?

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა
თავთავისას არ უთმობდენ;
დაავიწყდათ ყველაფერი,
ბაასობდენ და ლაყობდენ.

სანამ ამ ორ ამხანაგს
ლაპარაკი ჰქონდათ ცხელი,
იმ მესამემ გაათავა,
რაც კი ჰქონდათ იქ, საქმელი!

ზოგიერთი კაცი ხშირად
სხვის საქმეზე გაცხარდება
და თავის სავალდებულო
იმავე დროს ავიწყდება.

მ წ ყ ე მ ს ი.

სოფლის მწყესსა გაბრიელსა
ეკარგება ცხვრები ხშირად.

ისიც ტირის, და იფიცავს:
„მგელიაო!.. გაჩნდა ქირად...“

გაწუწკლა და გაიგეშა,
დაძუნძულობს უშიშრადო;
აღარც მწყემსს და აღარც ძაღლებს
აღარ აგდებს არაფრადო!“

სხვებსაც სჯერათ და ამბობენ:
„ცხადი არის! — მგელიაო!“

თუ ერთხელვე დაეჩვია,
მოგერება ძნელიაო!“

გამოვიდნენ სოფლელები,
ჩაესაფრენ ყველგან მტერსა.
ოღონდაც კი ის მოეკლათ,
არ იზოგდენ არაფერსა.

გაიერთეს დღე და ღამე,
მოიარეს მთა და ველი,
მაგრამ მაინც ვერსად ნახეს,
მიიმალა სადღაც მგელი.

იქ იქნება!.. აქ იქნება!
იქით წადი!.. აქეთ წამო!“
იძახოდნენ და უკვირდათ,
ცამ ჩაყლაპა თუ მიწამო?!

რა იცოდნენ იმ საწყობებმა,
რომ იმათი წუწკი მგელი
თვითონ მათი მწყემსი იყო,
საცოდავი გაბრიელი!..

თურმე აღრე ბატონისას
მზარეულად ყოფილიყო
და ახლაც კი მწყემსობაში
ძველ-ხელობას ხელი მიჰყო.

არ უნდოდა დავიწყება!
ვარჯიშობდა ყოველ-დღესა
და ქურდულად ღამ-ღამობით
ამზადებდა სამწვადესა!

ორი ბავშვი.

ერთხელ თედომ უთხრა ილოს:
კლასში მისვლას კი მოვასწრებთ
და ურიგო არ იქნება
თუ როცა ცოტა წაბლსაც მოვჰკრებთ.

ისემც კარგი დაგემართოს;
მაგრამ ხე რომ მალაღია?

რომ ვერ შევალთ?—ეჰ რას ამბობ;
ხერხი მისი წამალია.

მიეყუდე მიდი შენ ხეს!
გამიკეთდი საფეხურად!
მე შევალ და რასაც დავჰკრებ,
თანასწორად გავყოფ ძმურად.

დათანხმდენ და ჩვენი თედოც
თავს მოვეგლო წაბლის წვეროს:
ჰკრეთესა და სჭამს იქ თავისთვის,
უნდა გული გაიჯეროს!

დაბლისაკენ კი ჩენჩოს ჰყრის,
მოზიარე თუმც იქ ჰყავდა...
და საბრალო ჩვენი ილოც
შეცქეროდა, ნერწყვს ჰყლაპავდა.

ბევრსა ვხედავთ ცხოვრებაშიც
თედოსავით აცოცებულს;
აღარ ახსოვს მისი მომხრე,
მარტო თვითონ იჯერებს გულს!

ლომი და თაგვი.

ლომს უთხრა თაგვი: „ბატონო!
მხეცების დიდო მთავარო,
სათხოვარი მაქვს და თქვენ წინ
მუხლებ-მოყრილი ვდგავარო.

უსახლკარო ვარ, ღარიბი,
დავეხეტები ობლადო
და ნებას ვითხოვ, დავსახლდე
აქ სადმე თქვენს მახლობლადო!
რა დაგაკლდებათ მითი თქვენ,
ჩვენ რომ მესობლად დავდგეთო?
ვინ იცის ერთხელ როდისმე
ვგებ მეც გამოვადგეთო.“

ლომს ვაუკვირდა და უთხრა:
„გეყოს ეგ თავის გდებო!“

მე შენისთანა უძლური
აბა რად დამქირდებაო?

რომ მეორედაც წამოგცდეს
მაგ გვარი სისულელეო,
ვერ გადამრჩები ცოცხალი,
ახლა კი თავს უშველეო!“

შეშინდა პატარა თავგი,
რისხვა რომ გადაეცალა,
მოჰკურცხლა კუდის-ბზეკითა,
წრიბინით გაიცანცალა.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ
ლომი თოკებში გაება
და თავს რომ ვედარ უშველა,
შეჰქნა ღრიალი, ვაება!..

და სთქვა: „გაი რომ ის თავგი
აქ ჩემთან აღარ არიო!

ვერ გაუძლებდა მის კბილებს
ვერც თოკი, ვერც ბაწარიო!

მე ჩემმა მედიღურებამ
გულზე ლახვარი დამასო!
„ჩემზე უძლური რას მარგებს“ —
წურავინ იტყვის ამასო!“

გუგუღლი და მამალი.

„შენი ყივილის ჳირიმე,
რა კარგად ჰგალობ, მამალო!.
ნეტავ სულ შენთან მამყოფა,
ყური დაგიგდო მალმალო!“

— „შენ რაღა ჩემზე ნაკლე ხარ,
მაგას რას ამბობ, გუგუღლო?!
ვინ დაგიწუნებს გალობას,
თუ არ უგრძნობი, უგუღლო?“

— რას ამბობ? ვინ მალირსებდა
რომ შენისთანა მეც ვიყო?

ერთ რამეთა ჳლირს, მერწმუნე,
შენი მალალო „ყიყლიყო.

სამოთხის ჩიტის გალობა
შენთან რა გასამხელია?!
ვისაც არ ესმის, იცოდე,
უმეცარი და ხელია!“

— „კი, მაგრამ შენსას არ იტყვი?
რითი გჯობია ბუღბუღლი?
„კაფე, კაფეო, რომ ჳკივი
თან მიგაქვს სული და გული!“

ასე ამკობდნენ ერთმანერთს
მამლაყინწა და გუგუღლი,
და ყურს უგდებდა მათ ტრაბახს
ჳივჳავი გაკვირვებულო.

უთხრა: „რას ამბობთ? მოგცლიათ!
გინდ ჩაიხლიჩოთ ყელიო,
ღმერთმა ხომ იცის, არა ხართ
არც ერთი მგალობელიო!“

მამალი ამკობს გუგუღლსა,
გუგუღლი აქებს მამალსო, —
ამით ერთმანეთს ორივე
უხდიან სესხსა და ვალსო.

დიღებუღლი.

ერთხელ თურმე დიდებულ კაცს
სააქაო მოეწყინა
და უნდოდა რომ ჳქონოდა
საუკუნო მყუდრო ბინა.

ჩაესვენა სამარეში
გულზე ხელებ დაკრებილი
და ჳეციერ სამსჯავროში
გამოცხადდა ჳვეყნის შვილი.

მაშინ ჳკითხეს მსაჯულებმა:
„ვინა ხარ და სადაური,

რა ბარგით ხარ ჩამოსული,
რა მოაგიძღვის სამსახური?!”

თაყვანი სცა მოსამართლეთ,
ფეხებამდე დაჰკრა თავი;
მოახსენა: „იმ ქვეყანას
მე ვიყავი ერისთავი.

ჩემზე იყო მონდობილი
მთელი ხალხის ბედის წერა,
მაგრამ რათგან ვსნეულობდი,
მაწუხებდა გულის ძვერა,

საერისთვო სხვას მივინდი
თავი რომ არ შემეწყინა,
ჩემთვის ვიყავ მოსვენებით —
ვსვამდი, ვსტამდი და მეძინა.

მდივნის ვიყავ მოიმედე!...
დამშვიდებით მქონდა გული;
განჩინებას ხელს ვაწერდი,
მხოლოდ თვალეზ-დახუჭული.“

„რაო?“ ჰკითხა მოსამართლემ,
„ზარმაცობდი შენ იმ სოფელს
და ფიქრობდი, რომ მაგისტვის
მოგცემდენ აქ სასუფეველს?“

არა! თუ არ ჯოჯოხეთში,
სხვაგან არ გაქვს შენ აქ ბინა!“
ეს რომ უთხრა, სხვა მსაჯულმა
შეხედა და გაიცინა.

სთქვა: „ვერ ხედავ, რომ ყოფილა
ეს საბრალო სულელიო?
და იმ სოფელს რომ საქმისთვის
მოეკიდა მას ხელიო,

ხომ სულ აურ-დაურევედა
უქონელი ქონებისო?...
ეს ცოდვა რომ ასცდენია,
ღირსი არის ცხონებისო!“

ვგონებ, ახლაც ბევრი იყოს
მსაჯული და ერისთავი,
რომ ვერ ასცდეს სასუფეველს,
შიგ პირდაპირ შერგოს თავი.

ლ ხ ი ნ ი.

შიმშილობის დროს ბატონმა ლომმა
გამართა ლხინი და წვეულება,
რაც რომ ერთხელვე წესად დაედვა
აღარ მოშალა ის ჩვეულება.

სხვა და სხვა მხრიდან, ყოველი კუთხით
პატეისაცემელ სტუმრებს იბარებს,
რომ გულ-გახსნილად და თავ-მომწონედ
რიგზე დაუხვდეს ოთხ-ფეხა-სტუმრებს.

რალა თქმა უნდა, რომ სასახლეში
სტუმრობა ყველას იამებოდა
და ბატონ-მეფეს დიდის სიმდაბლით
ყველა მათგანი იახლებოდა!..

დანიშნულ დროზე, როგორც რიგია,
გამოწყობილი მოვიდა ყველა,
ჩამორჩა მხოლოდ იმათში სამი:
მაჩვი, ტყის-ბუძვი და კუდა მელა.

ზღარბს გზა დაებნა, გასაგრილებლად
მაჩვამაც ჯერ თურმე ტანი იბანა
და მელიასი, მოგებხენებათ,
სხვა და სხვა საქმემ დააგვიანა.

როცა მოვიდნენ, სუფრაზე ისხდენ,
შუა ჭამამდი იყვენ მისული

და გვიან მისულ დაღალულ-სტუმრებს
შემშვილ-წყურვილით ხდებოდათ სული.

თვით ლომის გვერდით, ფართო ადგილზე,
რო არვინ იჯდა, მათ თვალი მოჰკრეს
და მიაშურეს პირ და პირ მარდათ
ჩვენთვის არისო! ალბათ, იფიქრეს.

გადაეღობა წინ ვეფხი, უთხრა:
კი ნუ სულელობო!.. რად მიდიხართო?
აქ ლომთან სპილო უნდა დაბრძანდეს,
და თქვენ რომ გკითხონ, ვინა გდიხართო?

და კისრა-კოსრით გამოგისტუმრონ,
სირცხვილ-სიმწარე გამოსცადოთო...
არ გირჩევიათ, სადმე კუთხეში
დაჯდეთ ნასუფრალს მოუცადოთო?

როგორ არ იცით, რომ მეფის გვერდით
დიდკაცებსა აქვს მხოლოდ ბინაო.
და ვისაც არ ჰსურს კუთხეში ჯდომა
ის უნდა ხოლმე დარჩეს შინაო.

დათვის წვაულობა.

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები;
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:
ტურა, მელა, კატა, მგლები.

უკეთესი მასპინძლობა,
უნდა ესთქვათ, რომ არ ნახულა:
რა საკმელი! რა სასმელი!
რა იყო, რომ იქ არ დგებულა?

გადაჰკრეს და სადღეგრძელო
სათვითავოდ გააჩინეს.

სამადლობელს სავსეს სვამდენ,
წვეთი არვის შეაჩინეს.

გახაღისდა დათუნია,
მოლხენით რომ სხვებიც ნახა,
თვისის ბოხის მაღალ-ბანით
„სუფრულიც“ კი შემოსძახა.

გაოცებულს იმის სტუმრებს
მარტო ესეც არ აკმარა;
გადმოახტა სუფრას თავზე
და ლეკურიც დაუარა.

მელაკუდამ ტაში დაჰკრა:
„ამფერ! ჩემო დათუნაო!
როგორ გშვენის ეგ დავლური,
მაღაყები და ხტუნვაო!“

მაშინ მგელმა წაჩურჩულა:
„მელავ! ტყუილს ნუ ამბობო!
სასაცილოდ დაძუნძულებს,
და შენ მაგრე რად ამკობო?“

მაგრამ მელამ უპასუხა:
„ბრიყვი ხარ და სულელიო!
რას დავეძებ მაგის თამაშს?
მე სხვა რამეს მოველიო.

მოვუწონებ, — იამება,
გაბრიყვდება ამ ქებითო,
და ჩვენ კი რა გვენადვლება,
ვანშმადაც აქ დავრჩებიო.“

პოეტი და მდიდარი.

ერთხელ წალაპარაკდენ
პოეტი და მდიდარი;
წადგნენ შემოქმედის წინ,
მიართვეს საჩივარი.

ერთი შიშველ-ტიტველი
ყვითლად იყო გამხმარი,

მეორე-კი მსუქანი,
ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი.

სთქვა პოეტმა: „უფალო,
რა შეგცოდნე მისთანა,
რომ უმართლოდ შავ ბედმა
დამამწარა ქვეყანა?“

დავდივარ უსახლ-კარო,
მეტად გაჭირვებული,
გაკიცხული, ყველასგან
ამოთვალწუნებული.

ამ კაცს კი თავის თავად
თუმც არა შეუძლია,
მაგრამ შენი წყალობა,
მაინც რომ არ აკლია?!

პატივს სცემენ ყოველგან,
მიაჩნიათ ბობოლად!
აოვის ხდიან ამ ქვეყნად
ამის ცალად და ტოლად.

მოდის, ნუ გეწყინება!
ხადლაა სამართალი?
მართლა უთქვამსთ: „სამართალს
დაუდგეს ორივე თვალი?“

შემოქმედმა უბრძანა:
„პოეტო, შემცდარი ხარ!
ვერა ჰგრძნობ, როს მაგაზე
შენ უფრო მდიდარი ხარ?“

ეგ მოკვდება, შვილის შვილს
ალარ გაახსენდება,
შენი ღვაწლი კი მარად
ლამპარივით ენთება!

ერთი დგმა მეორე დგმას
გადასცემს მოწიწებით
და გახსენებენ მარად
ქებითა და დიდებით!

დღეს რომ პატივს ვერ გცემენ,
თუმცა ეს მართალია,

მაგრამ ეს მხოლოდ მათი
უგნურების ბრალია.

და თვითონ მაგ მდიდარსაც
ავ-კარგი რომ ესმოდეს,
შენ უნდა შეგნატროდეს,
თვისს ბედს-კი ემღუროდეს!“

შ ა ლ ა ბ ი

ერთ ბომონში კერპი იდგა
გამოქანდაკებული,
სიბრძნითა და წინასწარ-თქმით
სახელ განთქმული—ქებული.

ყოვლის მხრით მოდიოდა
ხალხი სანახავად,
სათაყვანოდ, საკმეველად,
რჩევის საკითხევად.

თავს აყრიდენ ოქროს და
ვერცხლს
ია-ვარდის კონებით,
როდესაც ის შეტყუვლებდა
მუცლით, თავ მოწონებით.

ერთხელ უცბათ გაჩერჩეტდა,
თითქოს ეკითხა ცოდვა.
დაებნა მას გზა და კვალი
და იწყო რალაც ბოდვა.

ჰკვირობდენ და ვერ გაიგეს,
თუ რად დაჰკარგა ძალა?
მაგრამ საქმე ასე იყო:
ქურუმი გადაიცივალა,

ის, რომელიც კერპის მუცლით
ჰკვიანურად იძახდა,
და მის ნაცვლად სხვა რამ ჩასვეს
სულელი.. საქმეც წახდა.

პატარა მუხა.

ერთ ტყეში პატარა-მუხა
წამოიზარდა ნელ-ნელა.
დიდ-შტოიანი ხეები
გარს ეხვეოდენ სუყველა.

არ აკარებდენ ცივ ნიავს
არათუ ბუქსა და ქარსა.
სცდილობდენ არ დაეჩაგრა
არც ზაფხულს და არც ზამთარსა.

ბრიყვს როდი ესმის სიკეთე
არც ზრუნვა მამაშვილური
და ძლიერს ტევა-უბრალოდ
ხშირად ემდურის უძლოური!

და მუხაც ასე მოიქცა:
სისწორ-სიმართლეს უმტყუნა;
და მაგიერად მადლობის
ხეები აითვალწუნა,

სთქვა გუნებაში: ცხადია
დიდები მემტერებიან,
მიშლიან თავისუფლად ზღას
და მიტომ მეფარებიან.

გზას არ მაძლევენ, ადგილი
დაუქერიათ გარშემო,
სუყველა იმათ უნდება
აღარა რჩება საჩემო!

ვერც გამიშლია შტოები,
ველარც გამიდგავს ფესვები!
ვინ იცის, კიდევ რამდენხანს
ასე წკნელივით ვესვები?!..

ეს რომ არ იყოს მაშინ მეც
დიდ-მუხად გადაიქცეოდი
და ვაჯობებდი სუყველას,
არა თუ დავეწეოდი.“

ასე ჰფიქრობდა საბრალო,
ჯერ ნორჩი, გამოიუცდელი

და თან სცდილობდა დიდების
გატეხილიყო სახელი.

ერთხელ გლენ-კაცმა მახლობლად,
იქ გაიარა ცულითა,
მუხამ შენიშნა, გახარდა,
ათრთოლდა სიხარულითა.

და უთხრა: შოჩს რაღათ მიხვალ
ასაკაფავად ტყისაო?

აქ შეგიძლია აიღო
ახო გინდ ასი დღისაო.

ხომ ჰხედავ ამდენ ხე წკნელსა,
რომ მეხვევიან მე გარსო;
დაუშვი დიდი ხეები,
მერე აკაფავ წვრილნარსო.

მე კი დამტოვე ყანაში
ჩეროსთვის, საგრილებლადო;
მეც ერთგულებას გაგიწევ
თავს შემოგწირავ მსხვერპლადო!

დაუჯდა რჩევა, საყანეს
ვერ შეამჩნია მან წუნი და
და რომ აწმინდა ჩირგვნარი,
დიდებს დაუწყო კაკუნი.

აიღო ახო და ხე-ტყე,
არ დარჩენია არც ერთი,
გარდა პატარა მუხისა...
მაგრამ გაუწყრა მას ღმერთი:

ტიტველი ყანა რომ დარჩა
და აღარ ჰქონდა საქარე,
ნამეტან სიცხე-სიცივით
დაადგა მუხას სიმწარე.

მზეც გადამეტად აქერდა,
წვიმა ატანდა ძალასა,
და ქარიც ისე არხევდა,
როგორც ლელწამს და ჩაღასა!

ერთხელ ამოტყდა გრიგალი,
რომ არ ნახულა მისთანა;

ეძგერა მუხას, მოხარა,
ყირაზე გადაიყვანა.

მივიდა გველი და უთხრა:
ჩემო პატარა მუხაო!
ხომ ხედავ ბედმა ვიმტყუნა,
დაგჩაგრა, შეგაწუხაო?

მაგრამ, რომ შენი ბრალია,
თუ გინდა, მოგცემ ფიცსაო!
„მგელი წაიღებს ყოველთვის
დედის წინ წასულ კვიცსაო“.

რა გაჩქარებდა? „უტკივარს
რისთვის იტკენდი თავსაო?“
აბა, სთქვი: დიდი ხეები
რას გიშვრებოდენ ავსაო?

პირ იქით ხელსაც უწყობდენ
გაზდას და ვახარებასო,
და სიხარულით ელოდენ
შენს დროზე დამთავრებასო!“

ყველას აქვს თავ-თავისი დრო
სალხენს, თუ სამწუხაროსა!
„ერთი წაგა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა!“

დიდი ხეებიც მის დროზე
წაიქცეოდა ყველაო!
შენ დაიჭერდი მათს აღაგს
უშიშრად, ნელა ნელაო.

და მაშინ ვერას გიზამდენ
ვერც დარი, ვერც ავდარიო
და კიდევ შეგერგებოდა
ზაფხული, გინდ. ზამთარიო!

ისინიც ტყვილა გასწირე
და შენც უდროოდ წახდიო:
და სატირალი მოყვრისგან,
მტრის სასაცილოდ გახდიო!“

ასე მოუვა ვინც არის
უდროოდ თავ მომწონეო!..

„შენ გეუბნები რძალო და
მულო კი გაიგონეო!“

პ ე კ ე ლ ა.

ქალაღდის გველი ჰაერში
ბავშვებმა ააფრიალეს,
თითქო ღრუბლამდე ასული
მიატრი-მოატრიალეს.

გადმოიხედა მაღლიდან,
ცაში მცურავმა ნელ-ნელა
და დაინახა მინდორში,
დაბლა პატარა პეპელა.

და ჩამოსძახა: აქ რომ ვარ
ცხადთა გული გწყდებო
და აღმა ფრენა ეს ჩემი
გენატრებ-გეხარბებო!

პეპელამ ნახად შესძახა:
გარწმუნებ, სულაც არაო!
მე რაც მაქვს, იმას ვსჯერდები!
როდი ვარ მეტიჩარაო!

მაგ შენ მაღალ ბედს ბევრად სჯობს
ჩემი დაბალი ბედო:
მე აქ ვფრენ სრულს ჩემ ნებაზე,
შენ კი არ გიშვებს კედო!

მანდაგმგელი.

ვინც კი გვაქებს და გვადიდებს,
ჩვენც ის მოგეწონს და ის გვიყვარს
და პირდაპირ სიმაართლის მთქმელს
მიუკეტავთ ხოლმე ჩვენ კარს.

„ეს ჩემია! „ის სხვისია!..
მე ეს მინდა .. და ის არა!“

საზოგადო საქმეებში
გავიძახით წარა-მარა.

ერთ საყდარში, ერთი მღვდელი
როცა სამწყოს არიგებდა,
იოანე ოქროპირზე
ნაკლებ აღარ ქადაგებდა.

მისი სიტყვა მახვილივით
ესობოდა გულს და სჭრიდა,
მთელი მრევლი მოწიწებით
სინანულის ცრემლსა ჰღვრიდა.

ერთი ვილაც იმათ რიცხვში
გულ-მაგარი გაერია,
ყურს უგდებდა, მაგრამ ტყვილად
წარბიც კი არ შეუხრია.

გაუკვირდათ სხვებს და ჰკითხეს:
„შენ არ მოგწონს, მგონიაო!“
— რასა ბრძანებთ? მაგისთანა
არსად გამიგონიაო!

— მაშ რატომ შენც არ გატყვია
ნიშან., რამ ცრემლისაო?
— იმიტომ რომ არ გახლავართ
აქაური მრევლისაო!

მეღვინე კატრინი და თაგვი.

თუ კი ვერ შეინახავ,
რას გარგია შეძენა?
და მიტომაც ვაჭარმა
ბელელი აიშენა.

შეიტანა, დაკრძალა.
იქ სარჩო და საკვები
და რომ ვერ შეეპარონ
შიგ როგორმე თაგვები,

მცველად და მეთვალყურედ
კატები დააყენა,

დაიმშვიდა მით გული...
მორჩა და მოისვენა!

მაგრამ არ გაუმართლდა
მეთვალყურების ნდობა,
და იმ დაცულ—ბელელში
მაინც განჩნდა ქურდობა.

ვერ მიასწრეს ვერც ერთხელ...
ვერ ჩაავლეს ქურდს ხელი!
და რადგანც ვერ გაიგეს:
ვინ იყო? და რომელი?

გაგულისდა ვაჭარი!
დაჰკარგა რისხვის ზომა
და სუყველასი ერთად
მან დასჯა მოინდომა.

შეეშინდათ კატებს და
სუყველა გადავარდა;
მოგეცათ ღვთის წყალობა,
თაგვებს ეს გაეხარდა!

რომ ველარა ჰხედავდენ
მცველსა და მეთვალყურეს,
დაიბრიყვეს ბელელი
და სულ გაანადგურეს.

ვინც რომ ერთის მიზეზით
ყველას ერთად უწყრება,
ის „ვაის“ გაეყრება
და „აუის“ შეეყრება.

მუხა და ლეჩხაში.

(წინანდელი ნათარგმნი ვარიანტი, იხ. 9 კვ).

მუხამ უთხრა ერთხელ ლერწამს:
„საწყალო და უბედურო!
ემართლები სწორედ შენს ბედს,
რომ დაჰგმო და დაემღურო!

სისუსტით და მსუბუქობით
აქეთ იქით იღუნები:

რომ გიყურებ, მებრალები,
შენის ცოდვით ვიწვი, ვდნები.

აბა ერთი შემომხედე!...

თავი ცამდის მიბჯენია,
გრიგალი და ქარიშხალი
ჩალადაც არ მიმაჩნია!

კლდე-სალივით მაგარი ვარ
და სვეტივით ამართული!...
რას მიქვიან კრძალვა-შიში?
საგულეს მაქვს მარჯვედ გული.

შენ-კი, ჩემო თვალის ჩინო,
გაწირული გაქვს ეგ თავი;
ქარიშხალად და გრიგალ ქარად
გეყოფა შენ თვით ნიავი.

ეგრე სუსტი ფოლორც ადგილს
წყლის პირად ვინ გაგაჩინა?
არ გერჩია, რომ ჩემს ახლოს
გქონებოდა ჩრდილში ბინა?"

ლერწამმა ეს უპასუხა:

„გმაღლობ, ჩემო დიღო მუხა!
მაგრამ შენმა გულ-ჩვილობამ
ტყვილა რაზედ შეგაწუხა?

მართალია, რომ ნიავეც
კი შემანძრევს და გადამხრის,
მაგრამ ვიცი, დიდი ქარიც
ძირიანად ვერ ამომთხრის.

შენ-კი უფრო მეტი გმართებს
სიფრთხილედ და მორიდება,
თორემ ნახავ, ერთხელც არის,
ეგ სიმტკიცე არ შეგერჩება.“

ეს რომ უთხრა, მოიღრუბლა,
ამოვარდა უცბად ქარი...
გაავდარდა ელვა ქექით,
და შეიძრა მთა და ბარი!

ქარიშხალმაც ის ლერწამი
გადახარა-გადმოხარა,
მაგრამ იმ დროს დიდი მუხა
კი სრულიად ამოთხარა.

სამ-ცოლიანი

(წინანდელი ნათარგმნი ვარიანტი, იხ. გვ. 15)

ერთი ვიღაც ცოდვის შვილი,
პირველ ცოლს რომ არ დასჯერდა,
მოიყვანა მეორე და...
მესამეზე ჯვარს იწერდა.

მეფემ რომ სცნო ეს ამბავი,
განრისხდა და ასე ბრძანა:
„მიკვირს, ასე რად დაეცა
და რამ გარყვნა ეს ქვეყანა?

სტაცეთ ხელი დამნაშავეს,
მიიყვანეთ სამსჯავროში
და სასჯელი გადუწყვიტეთ
საარაკო ყოველ დროში,

თვარა თვითონ მსაჯულებს მე
იმათ ცოდვებს გაუდიდებ,
და მცირედის სისუსტვისთვის
სულ თხებსავით ჩამოვკიდებ!“

მსაჯულები სამსჯავროში
შიშის ზარმა აიტანა,
იფიქრეს და ბოლოს დასდევს
განჩინება ამისთანა:

„ეგ ღვთის რისხვა დამნაშავე,
რომ საოცრად დაისაჯოს,
საჭიროა, რომ ცოლები
სამივ ერთად მიესაჯოს!“

ხალხმა ერთ ხმად დაიძახა
„რა უქნიათ იმ მსაჯულებს?
ახლა მეფე სწორეთ მათზე
აკრაქუნებს რისხვით კბილებს!

და სუყველას გაიმეტებს.
ჩამოაღრჩობს დღეს თუ ხვალა!“
მაგრამ მითი ფიქრი წახდა,
საქმე სულ სხვებ შვიცვალა.

დამნაშავემ სამი ცოლი
ერთად რომ ვერ აიტანა,
სთქვა: „ამ ყოფას სიკვდილი სჯობს!“
და გაირქო ყელში დანა.



ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ყვაფი და მელა	3	30. გამეღეღები და ძაღღები
2. მუხა და ლელწამი	3	31. ღღაფი და კატა
3. ყვაფი და ქათამი	4	32. კრიკინა და ჭიანჭველა
4. მომღერღები	5	33. მგელი და გუგული
5. პატარა კოლოფი	5	34. მამალი და მარგალიტი
6. ბაყაყი და ხარი	6	35. ყვაფის ბახალა (ბარტყი).
7. წუნია გასათხოვარი	6	36. ვირი და ბუღბული
8. პარნასი	8	37. გღები გაჭირებაში ჩავარღნიღი
9. კრელი ცხვრები	9	38. სპიღო და ფინია
10. ყვაფიღ-ქონღარა	10	39. მგელი და მისი ლეკვი
11. ცეცხღი და ეწერი	10	40. სოფღელი და მელა
12. ნარჩიტა და ბუჭღი	11	41. მაიმუნი
13. მგელი და კრავწ	11	42. ბუზი და ლომი
14. მაიმუნები	12	43. ლომის აღზრღა
15. ჭინჭრატა (ღობემძვრალა)	13	44. მოხუცი და სამი ახალგაზღდა
16. ვირი	13	45. ბატები
17. კაცი და მელა	14	46. ღორი
18. ბუ და ვირი	14	47. კვარტეტი
19. მაიმუნი და სათვალე	15	48. ყვაფი
20. სამ ცოღა	15	49. ძაღღი
21. უღრმთოღება	16	50. ფესვები და ფოთღები
22. ბაყაყები	17	51. მგელი და მელა
23. თავადი და ბრძენი	18	52. არწივი და თხუნელა
24. ბოჭკა	19	53. გეღი, კალმანი და კიბო
25. მგელი საძაღღეში	19	54. დათვი და მეუღაბნოე
26. ღელე	20	55. შოშია
27. მელა და მაჩვი	21	56. გღები და ავაზაკი
28. კურღღელი ნადირობაში	21	57. გღები და გვეღი
29. ორი მტრეღი	22	58. ცნობის მოყვარე

	83'		83.
სოფლები და მდინარე	45	100. ტიტლიკანა	70
მონადირე ლომი	46	101. მგლები და ცხვრები	71
ავახაკი და მეურმე	47	102. ცხვრები და ძაღლები	71
ცხენა და მხედარი	47	103. თავთავი	71
გულ კეთილი მელა	48	104. დასაფლავება	72
მწყერი და მტრედი	48	105. მახეში გაბმული დათვი.	73
მსოფლიო ყრწილობა	49	106. მეწისქვილე	73
ხარი და ძაღლი	49	107. გველი და გლეხი	74
ჭირვეული თამადა	49	108. ღორი მუხის ქვეშ	75
თაგვი და ვირთხა.	50	109. მელა და ვირი	75
ყმაწვილი და ლანდი	50	110. გველი და კრავი.	75
თრითინა	51	111. ქვაბი და ქოთანა	75
ყურყუმალაები	52	112. ფუტკარი და ობობა	76
ქალბატონი და მოახლეები	54	113. შვლები	77
ალმასი და რიყის ქვა	55	114. გლეხი და ცხვარი	78
ქვა და მატლი	56	115. ბუღბუღები	78
მეფუტკრე დათვი.	56	116. ძუნწი	79
სარკე და მაიმუნი	57	117. მგელი და პატარა თაგვი	79
მწყემსი და კოლო	57	118. გლეხების საუბარი	80
გლეხი და სიკვდილი	57	119. კატის კნუტი და შოშია	81
სვია	58	120. კატა და ბუღბუღი	82
ცილის მწამებელი და გველი	59	121. ორი ძაღლი	83
სიკვდილი და გლეხი	59	122. თევზების ცეკვა	83
მომდურავი ბაყაყი	60	123. დაბერებული ლომი	85
ღრუბელი	61	124. ღლაფი	85
მათხოვარი და ჩედი	61	125. ვაჭარი	86
ლომი და მგელი	62	126. სამართებელი	86
ხურო მელია	62	127. თრითინა	87
მგელი და მეცხვარეები	63	128. ლომი, არჩვი და მელა	88
გუგული და გვრიტი	63	129. ორბი და გუგული	88
სავარცხელი	64	130. შევარდენი და მატლი	89
ორი ბოჩკა	65	131. მუშა და კვიცი	89
ძუნწი და დედალი	65	132. ღარიბი მდიდარი	90
ალკიდოს	65	133. ფოლადი	91
აპელესი და ჩოჩორი	66	134. ვირი	92
ბავშვი და გველი	67	135. მგელი და კატა	93
მგელი და წერო	67	136. გველი	93
ბუზი და ფუტკარი	67	137. კაპარკინი	94
კრავი	68	138. ჩანჩქერი და ვეძა	94
კაცი და გველი	69	139. ლომი	95
მელა და ყურძენი	69	140. სამი გლეხ-კაცი	96

141. მწყემსი	96	149. ქადაგი	10
142. ორი ბავშვი	97	150. პატარა მუხა	10
143. ლომი და თაგვი.	97	151. პეპელა	10
144. გუგული და მამალი	98	152. მქადაგებელი	10
145. დიდებული	98	153. ბელის პატრონი და თაგვი	10
146. ლხინი	99	154. მუხა და ლელწამი (ვარ.)	10
147. დათვის წვეულება	100	155. სამ-ცოლიანი (ვარ.)	10
148. პოეტი და მდიდარი	100		

ზეცდომის გასწორება:

- 5 გვ. ლექსში ყვავი და ქათამი ქვეიდან 14 სტრიქ. დაბეჭდილია: იმედობა კი უმტყუნეს—უნდა იყოს: იმედებმა კი უმტყუნეს.
- 9 გვ. ლექსში ჭრელი ცხვრები—ზევიდან მეოთხე სტრ. დაბეჭდილია: ერთიანად მოანდომა—უნდა იყოს: ერთიანად მოინდომა.
- 16 გვ. ზევიდან მეოთხე სტრიქ. დაბეჭდილია: ბრძანა: ვფიცავ ჩემსა ჩხესა! უნდა იყოს: ბრძანა: ვფიცავ ჩემსა მხესა.
- 25 გვ. ლექსში ღლაფი და კატა—ქვეიდან მე 17 სტრიქ. დაბეჭდილია: რა ყოფილა—უნდა იყოს: არ ყოფილა.
- იმავე გვერდზე ლექსის სათაური დაბეჭდილია: კრიკინა და კიანჭველა—უნდა იყოს კრიკინა და კიანჭველა.
- 30 გვ. სათაური დაბეჭდილია: სოფელი და მე ლა—უნდა იყოს: სოფლელი და მელა.
- 31 გვ. ქვეიდან 11 სტრიქ. დაბეჭდილია: რა-დაც რიგი—უნდა იყოს: სადაც რიგი...
- 35 გვ. ლექსში ბატები—ქვეიდან მესამე სტრიქონზე დაბეჭდილია: აგდებულად დღეს გვე
- პყრობა—უნდა იყოს: აგდებულად დღეს გვეპყრობა.
- 42 გვ. მე 14 სტრიქ. ქვეიდან დაბეჭდილია: იტიალოს უმიზნ ოთ—უნდა იყოს: იხეცლეს უმიზნოთ.
- 46 გვ. ზევიდან მეორე სტრიქ. დაბეჭდილია: დი წლის მადლიერა:—უნდა იყოს: დი წყლის მადლიერა.
- 48 გვ. სათაური დაბეჭდილია: მწყერი და მტრე უნდა იყოს: მწყერი და მტრელი.
76. გვ. ლექსში ქვაბი და ქოთანი მეცხრე სტრიქონზე დაბეჭდილია: ქვაბს რა უჭირს უნდა იყოს: ქვაბს რა უჭირს.
- 78 გვ. ლექსში გლეხი და ცხვარი ქვეიდან თორმეტე სტრიქ. დაბეჭდილია: რომ ჰს და ბურტყლსა—უნდა იყოს: რომ ჰსუ და ბურტყლსა.
- 95 გვ. ლექსში ლომი პირველ სტრიქ. დაბეჭდილია: ატონი ლომი—უნდა იყოს: ბატონი ლომი.